ევროკავშირი საქართველოსთვის

სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში არსებული სოციალური სერვისების საბაზისო კვლევა

რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევების ანალიტიკური ანგარიში

10/2022

კვლევა მომზადებულია ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება ინკლუზიური და მწვანე პოსტ-კოვიდ აღდგენისთვის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს CENN, და ის, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

კვლევის ავტორი: სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი (ISSA)

სარჩევი

შესავალი 4
მეთოდოლოგია 8
- რაოდენობრივი კვლევა 8
- თვისებრივი კვლევა 9

ძირითადი მიგნებები 11
- მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ადამიანების იდენტიფიკაცია 11
- შემოსავლები 25
- ხარჯები 29
- არსებული გამოწვევები 30
- კოვიდ 19-ის გავლენა მოსახლეობაზე და დახმარება ადგილობრივი ხელისუფლებისგან 34

თავი 2. განათლება 36
- სკოლამდელი/ზოგადი განათლება 36
- პროფესიული და უმაღლესი განათლება 38

თავი 3. ინფორმირებულობა მუნიციპალური სერვისების შესახებ 40
თავი 4. სოციალური და ჯანდაცვის სერვისები 42
- სოციალური სერვისები 42
- ჯანდაცვის სერვისები 50
- საჭიროებები ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის მხრივ 62
- ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამოქალაქო სექტორის როლი 63

თავი 5. სხვა სერვისებით (ჯანდაცვისა და სოციალურის გარდა) სარგებლობა 65
თავი 6. სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობა.. 70
თავი 7. კომუნალური ინფრასტრუქტურა. 71
- ელექტროენერგია 71
- გაზმომარაგება 72
- წყალმომარაგება 73
- საირიგაციო სისტემა 78
- საკანალიზაციო სისტემა 80
- ნარჩენების გატანა 82
- დასუფთავება 84

თავი 8. კლიმატის ცვლილებები და მისით გამოწვეული ჯანმრთელობის პრობლემები 87
თავი 9. უსაფრთხოება 92
თავი 10. ელექტრონული სერვისები 95
თავი 11. მუნიციპალური ხელისუფლების მართვასა და საჯარო აქტივობებში მონაწილეობა 97
- ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა 97
- ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურებთან კომუნიკაცია 106
- საჯარო აქტივობებში მონაწილეობა 108
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობით კმაყოფილება 110

თავი 12. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობა 113
თავი 13. რესპონდენტთა ზოგიერთი სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებელი 119

შესავალი

HRBA არის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის საფუძვლებზე შემუშავებული კონცეპტუალური ჩარჩო, რომლის გამოყენება როგორც ადვოკატირების, ასევე სამართალწარმოებისა და მიზნობრივი პროგრამების შემუშავების დროსაა შესაძლებელი[1]. HRBA მიდგომით შესაძლებელია ვალდებულებების, უთანასწორობის, მოწყვლადობის, დისკრიმინაციული მიდგომების გამოაშკარავება როგორც საკანონმდებლო ჩარჩოში, ასევე არსებულ პრაქტიკაში.

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა ეყრდნობა ხუთ ძირითად სამუშაო პრინციპს, რომლებიც PANEL (Participation, Accountability, Non-discrimination and Equality, Empowerment, Legality) სახელით არის ცნობილი.

- **მონაწილეობა(Participation)**-ადამიანებსაქვთუფლება,ჩაერთონიმგადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც უშუალოდ ეხება მათ უფლებებსა და კეთილდღეობას და/ ან უფლება აქვთ ჩართონ სხვა ადამიანები, რომლებიც გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარებათ. მონაწილეობა უნდა იყოს აქტიური, დამოუკიდებელი, გააზრებული და ხელმისაწვდომი, მათ შორის იგულისხმება ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობაც იმ ფორმითა და ენით, რომელიც გასაგებია სამიზნე ჯგუფებისთვის.

- **ანგარიშვალდებულება (Accountability)** - გულისხმობს ადამიანის უფლებათა სტანდარტების ეფექტიან მონიტორინგს, ასევე ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების აღკვეთის ეფექტიან მექანიზმებს.

- **დისკრიმინაციის აკრძალვა და თანასწორობა (Non-discrimination and Equality)** - ასაკით, გენდერული იდენტობით, სექსუალური ორიენტაციით, ეთნიკური კუთვნილებით, ჯანმრთელობის მდგომარეობით, ეკონომიკური მდგომარეობით ან სხვა ნიშნით დისკრიმინაციის ყველანაირი ფორმის აკრძალვა. განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ადამიანების იდენტიფიცირებაზე, რომელთა წინაშე არსებობს დამატებითი ბარიერები საკუთარი უფლებების დასაცავად.

- **გაძლიერება (Empowerment)** - ადამიანები და მათი უფლებების დამცველი ჯგუფები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ საკუთარი უფლებების შესახებ და მოიპოვონ მხარდაჭერა პოლიტიკისა და პრაქტიკის ფორმირების პროცესში, რომელიც პირდაპირ უკავშირდება მათი უფლებების რეალიზებას.

- **კანონთან შესაბამისობა (Legality)** - ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები ჰარმონიულად უნდა ერწყმოდეს ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ ეროვნულ და საერთაშორისო კანონებს.

2021 წელს გაეროს განვითარების ფონდის (UNDP) მიერ ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ

1 European Commission, Applying the Human Rights Based Approach to international partnerships, Brussels, 30.6.2021 - https://international-partnerships.ec.europa.eu/system/files/2021-07/swd-2021-human-right-based-approach_en.pdf

საქართველოს რეგიონებში, განსაკუთრებით კი სასოფლო ტიპის დასახლებებში, საბაზისო სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა შეზღუდულია. სოციალურად დაუცველ და მარგინალიზებულ სოფლად მცხოვრებ თემებს, ძირითადად, არ აქვთ წვდომა ისეთ აუცილებელ სერვისებზე, როგორებიცაა კომუნალური სერვისები (ცენტრალიზებული წყალმომარაგება, გაზმომარაგება, საკანალიზაციო და საირიგაციო სისტემა, ნარჩენების გატანა, დასუფთავება და ა.შ.). პრობლემურია, აგრეთვე, ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა და ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა. აღნიშნულ კვლევაში აღწერილია, რომ სოციალური და ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლები სწორედ ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთშია. გამოკითხულთა უმრავლესობა აღნიშნული მომსახურებით არ ან ვერ სარგებლობს:

- მუნიციპალური სოციალური სერვისები: ქვემო ქართლი (65%), სამცხე-ჯავახეთი (63%)
- მუნიციპალური ჯანდაცვის სერვისები: ქვემო ქართლი (94%), სამცხე-ჯავახეთი (93%)

კვლევამ გამოავლინა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა ცენტრალური წყალმომარაგებით სარგებლობს (78.6%). ამასთან, გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (55.1%) მათ დასახლებაში ცენტრალური საკანალიზაციო სისტემის არსებობაზე მიუთითებს. იმ გამოკითხულთა უმრავლესობა (95%) კი, ვის დასახლებაშიც ცენტრალური საკანალიზაციო სისტემა ფუნქციონირებს, აღწერს, რომ მისი სახლი ამ სისტემაზე მიერთებულია. მეორე მხრივ, აღნიშნული კვლევა გამოკვეთს კომუნალური ინფრასტრუქტურით სარგებლობის პრობლემურ გამოცდილებასაც. აღწერილია, რომ ცენტრალური წყალმომარაგებით მოსარგებლეთა საშუალოდ მეხუთედი როგორც სამცხე-ჯავახეთში (18%), ისე ქვემო ქართლში (20%) წყალმომარაგების გრაფიკით თითქმის ყოველთვის უკმაყოფილოა.[2]

მოსახლეობისთვის, მათ შორის სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში მცხოვრებთათვის, სახელმწიფო (ცენტრალური) და მუნიციპალური მომსახურების ეფექტიანი მიწოდება კვლავ ერთ-ერთ გამოწვევად რჩება. დაბალია მოქალაქეების ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილების მიღებისას. ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის მიხედვით, თუკი ქვემო ქართლში 2019 წლის მონაცემებით ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობა 28%-ს უტოლდებოდა, 2021 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 15%-მდეა შემცირებული. მსგავსი შედეგი განპირობებულია მერიისა და საკრებულოს საქმიანობაში ჩართულობის შემცირებით. მერია: 2019 – 22%, 2021 – 9%, საკრებულო: 2019 – 47%, 2021 – 34%. სამცხე-ჯავახეთის შემთხვევაში კი მოქალაქეთა მონაწილეობის ზოგადი შეფასება ბოლო 2 წლის განმავლობაში არ შეცვლილა (2019 – 15%, 2021 – 15%). აღნიშნულ რეგიონში ცვალებადია მერიისა და საკრებულოს საქმიანობაში მოსახლეობის ჩართულობა- მერია: 2019 – 9%, 2021 – 13%, საკრებულო: 2019 – 37%, 2021 – 21%. მსგავსი შედეგები მოწმობს, რომ მოქალაქეები, ძირითადად, არ მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სამოქალაქო აქტივიზმსა და საჯარო პროცესებში ჩართულობა დაბალია.[3]

2 გაეროს განვითარების ფონდი, „საზოგადოებრივი მომსახურებებით საქართველოს მოსახლეობის კმაყოფილების დონის კვლევა“, 2021

3 ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი, http://www.lsgindex.org/ge/analysis/

აღნიშნული შედეგებზე გავლენა კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამაც მოახდინა. საგანგებო მდგომარეობისა და კარანტინის გამო გართულებული იყო მოქალაქეების ადგილობრივ თვითმმართველობაში მონაწილეობა. 2020 წელს საქართველოს თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (ათეას) მიერ ჩატარებული კვლევა -„მუნიციპალური მართვის გამოწვევები COVID-19 პანდემიის პირობებში“ - აჩვენებს, რომ პანდემიის პირობებში სრული დატვირთვით ვერ ფუნქციონირებდა მოქალაქეთა ჩართულობის ისეთი ინსტრუმენტები, როგორებიცაა: დასახლების საერთო კრება და მერის მრჩეველთა საბჭო. დასახლების საერთო კრების მოწვევას ხელი შეუშალა საზოგადოებრივი შეკრების აკრძალვამ, ხოლო საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეჩერების გამო მერის მრჩეველთა საბჭოს წევრების შეკრება გართულდა. მეორე მხრივ, კვლევაში აღწერილია, რომ პანდემიის პირობებში ელექტრონული ინსტრუმენტების მუშაობის მხრივ პრობლემები არ გამოკვეთილა.[4]

მოსახლეობის ჩართულობის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ მოქალაქეთა საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე დაფუძნებული სრულფასოვანი სერვისების შეთავაზება მხოლოდ ცენტრალიზებული მმართველობის პირობებში შეუძლებელია. ამდენად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უფლებამოსილების ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებს შორის გადანაწილება. ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით, სხვადასხვა უფლებამოსილება ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებზეა დელეგირებული.[5] მაგალითად, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ კანონის 36-ე მუხლი[6] აღწერს დელეგირებულ სერვისებს: სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება, მათ შორის საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებსა და საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, გადამდები დაავადებების გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება და ა.შ.; აღნიშნული უფლებამოსილებისთვის საჭირო ფინანსური რესურსების ოდენობა კი საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით განისაზღვრება.

სოციალური სერვისების მიღების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების როლი, რომელთაც შეუძლიათ, ხელი შეუწყონ მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ არსებული რეალობა უფრო გაართულა, განსაკუთრებით კი ისეთი ადამიანებისთვის, როგორებიცაა: ეთნიკური უმცირესობები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, იძულებით გადაადგილებული პირები, ხანდაზმულები და ა.შ. პანდემიამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, რომელიც აქტიურად მიიღებს მონაწილეობას ადგილობრივი პოლიტიკის შემუშავებასა და მმართველობაში, რითაც ხელს შეუწყობს უფლებებზე დაფუძნებული პოლიტიკის ჩამოყალიბებას და მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით კი მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ადამიანებისთვის, სოციალურ სერვისებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას.

---

4 საქართველოს თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია (ათეა), „მუნიციპალური მართვის გამოწვევები COVID-19 პანდემიის პირობებში“, 2020

5 ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, „მუნიციპალიტეტის დელეგირებული უფლებამოსილება არის სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს უფლებამოსილება, რომელიც მუნიციპალიტეტს გადაეცა კანონის საფუძველზე ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, სათანადო მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფით.“ (საქართველოს ორგანული კანონი - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 15, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=62

6 საქართველოს კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ, მუხლი 36, https://matsne.gov.ge/ka/document/view/21784?publication=38

კვლევა შეეხებოდა სამიზნე რეგიონების კონკრეტულ მუნიციპალიტეტებში სოციალური, ჯანდაცვისა და კომუნალური სერვისებით უზრუნველყოფის მხრივ არსებული ვითარების შესწავლას. ამასთან, განხილულ იქნა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების მუშაობა და მათ საქმიანობაში მოსახლეობის ჩართულობა.

მეთოდოლოგია

კვლევის მიზანს წარმოადგენდა სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში სოციალური სერვისებით უზრუნველყოფის არსებული მდგომარეობის შესწავლა. ამასთან, მნიშვნელოვანი იყო ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების, ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების ჩართულობის განსაზღვრა. კვლევის ფარგლებში შეფასდა სამიზნე მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ადამიანების წვდომა სხვადასხვა სოციალურ, ჯანდაცვის, კომუნალურ სერვისებზე და, აგრეთვე, მათი ჩართულობა, ერთი მხრივ, ადგილობრივი თვითმმართველობების, ხოლო, მეორე მხრივ, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობაში.

კვლევა მოიცავდა როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ კომპონენტებს.

რაოდენობრივი კვლევა

კვლევის სამიზნე რეგიონებს წარმოადგენდა სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი. კვლევამ მოიცვა სამცხე-ჯავახეთის 2 მუნიციპალიტეტი (ახალციხე და ნინოწმინდა) და ქვემო ქართლის 6 მუნიციპალიტეტი (მარნეული, დმანისი, ბოლნისი, წალკა, თეთრიწყარო, გარდაბანი). რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა პირისპირ გამოკითხვის მეთოდით. მასში მონაწილეობა მიიღეს სამიზნე მუნიციპალიტეტებში მცხოვრებმა 18 წლის ან მეტი ასაკის ინდივიდებმა.

გამოყენებულ იქნა **ალბათური შერჩევის** მეთოდი, კერძოდ, კლასტერული შერჩევა პირველადი სტრატიფიკაციის მეთოდით სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონების მუნიციპალიტეტებში. იმისათვის, რომ ორივე რეგიონში ცდომილება 5%-ზე ნაკლები ყოფილიყო (95%-იანი სანდოობის დონე), სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში თანაბარი 600-600 ინტერვიუ ჩატარდა. ცალკეულ მუნიციპალიტეტში (სტრატებში) გამოსაკითხ პირთა რაოდენობა კი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ოდენობის პროპორციულად განისაზღვრა.

სტრატიფიკაციის შემდგომ განხორციელდა კლასტერიზაციის პროცესი, რომლის ფარგლებში გამოიყო პირველადი (PSU), მეორეული(SSU) და საბოლოო შერჩევის წერტილები (FSU):

- პირველადი შერჩევის წერტილი: სააღწერო უბნები მუნიციპალიტეტების სასოფლო და საქალაქო ტიპის დასახლებებში;
- მეორეული შერჩევის წერტილი: შინამეურნეობა;
- საბოლოო შერჩევის წერტილი: 18 წლის ან მეტი ასაკის ადამიანები.

შინამეურნეობები შეირჩა ბინებს/სახლებს შორის ინტერვალის განსაზღვრით, რომელიც განსხვავდებოდა სასოფლო და საქალაქო ტიპის დასახლებებში. რაც შეეხება რესპონდენტების შერჩევას შინამეურნეობებიდან, გამოყენებულ იქნა ალბათური შერჩევის მეთოდი, კერძოდ, რესპონდენტები შეირჩნენ კიშის ცხრილის (Kish Table) გამოყენებით.

სულ კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 1200 რესპონდენტი (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

	ინტერვიუების რაოდენობა	ცდომილება (95%-იანი სანდოობის დონე)
სამცხე-ჯავახეთი		
ახალციხე	380	
ნინოწმინდა	220	
სულ სამცხე-ჯავახეთში	**600**	**4%**
ქვემო ქართლი		
ბოლნისი	110	
გარდაბანი	165	
დმანისი	40	
თეთრიწყარო	45	
მარნეული	205	
წალკა	35	
სულ ქვემო ქართლში	**600**	**4%**
სულ	**1200**	**2.8%**

გამოკითხვა ჩატარდა სტრუქტურირებული კითხვარით. სამიზნე რეგიონების ეთნიკური შემადგენლობის გათვალისწინებით, შემუშავებული კითხვარები ითარგმნა როგორც სომხურ, ისე აზერბაიჯანულ ენებზე.

თვისებრივი კვლევა

ფოკუს-ჯგუფები:

კვლევის ფარგლებში 8 ფოკუსჯგუფი ჩატარდა ქვემო ქართლის ექვს (მარნეული, გარდაბანი, წალკა, თეთრიწყარო, ბოლნისი და დმანისი) და სამცხე-ჯავახეთის ორ (ახალციხე, ნინოწმინდა) მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობასთან. რესპონდენტებმა დისტანციურად, „ზუმის“ პლატფორმის მეშვეობით, მიიღეს მონაწილეობა ფოკუსჯგუფებში.

4 ფოკუს-ჯგუფი ეთნიკურად ქართველებთან (თეთრიწყარო, დმანისი, ბოლნისი, ახალციხე), ხოლო 4 - ეთნიკურ უმცირესობებთან - აზერბაიჯანელებსა (გარდაბანი, მარნეული) და სომხებთან (წალკა, ნინოწმინდა) ჩატარდა. რესპონდენტები წინასწარ შედგენილი რეკრუტირების ფორმის მეშვეობით შეირჩნენ. ფოკუს-ჯგუფში მოსახვედრად მონაწილეებს რამდენიმე კრიტერიუმი უნდა დაეკმაყოფილებინათ. კერძოდ, საცხოვრებელი მუნიციპალიტეტების მიხედვით უნდა ყოფილიყვნენ ეთნიკურად ქართველი, სომეხი ან აზერბაიჯანელი. მონაწილეთა ნახევარს უნდა ჰქონოდა მუნიციპალური, სოციალური და ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობის გამოცდილება; ერთი ნაწილი უნდა ყოფილიყო სოფლის, ხოლო მეორე ნაწილი ქალაქის მაცხოვრებელი; რესპონდენტთაგან დაახლოებით ნახევარი მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი სხვადასხვა სოცია-

ლური ჯგუფის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო, როგორებიცაა: სოციალურად დაუცველები, შშმ პირები, იძულებით გადაადგილებული პირები, ომის ვეტერანები, საპენსიო ასაკის პირები, მრავალშვილიანი ოჯახის წევრები, მარტოხელა დედები და სხვები. აღნიშნული კრიტერიუმების გარდა, ფოკუს-ჯგუფების შემადგენლობა მრავალფეროვანი იყო ასაკობრივი ჯგუფების, დასაქმებისა და ოჯახური მდგომარეობის მიხედვით. დაცული იყო მონაწილეთა გენდერული ბალანსი. თითოეულ ფოკუს-ჯგუფში საშუალოდ 8 რესპონდენტი მონაწილეობდა და საერთო ჯამში 64 ადგილობრივი მოსახლე გამოიკითხა. თითოეულ სამიზნე მუნიციპალიტეტში 1 ფოკუს-ჯგუფი ჩატარდა.

ფოკუს-ჯგუფები დაახლოებით 1 საათი და 30 წუთი გაგრძელდა და ჩაიწერა მათი აუდიო/ვიდეო მასალა. შეხვედრის დაწყების წინ მონაწილეები ინფორმირებულნი იყვნენ როგორც კვლევის მიზნისა და ამოცანების, ისე მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ.

<u>სიღრმისეული ინტერვიუები:</u>

კვლევის ფარგლებში 17 სიღრმისეული ექსპერტული ინტერვიუ და 1 ჯგუფური ინტერვიუ ჩატარდა. 8 სიღრმისეული ინტერვიუს რესპონდენტები სამიზნე მუნიციპალიტეტებში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლები იყვნენ. 8 ინტერვიუ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ჩატარდა. 1 ინტერვიუს რესპონდენტი ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის პოლიტიკის სამმართველოს ხელმძღვანელი იყო, ხოლო სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წარმომადგენლებთან ჯგუფური ინტერვიუ ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა მარნეულის, ბოლნისის, ახალციხისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების სოციალურმა მუშაკებმა მიიღეს.

სიღრმისეული ექსპერტული ინტერვიუები დაახლოებით 1 საათი გაგრძელდა და ჩაიწერა მათი აუდიო/ვიდეო მასალა. შეხვედრის დაწყების წინ რესპონდენტები ინფორმირებული იყვნენ როგორც კვლევის მიზნისა და ამოცანების, ისე მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ.

ძირითადი მიგნებები

<u>მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ადამიანების იდენტიფიკაცია</u>

ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტების/ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ჩაღრმავებული ინტერვიუების ფარგლებში მიუთითებენ, რომ მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ადამიანების განსასაზღვრად, მათთვის მიზნობრივი დახმარებები რომ გაიცეს, ძირითადად, ე.წ. „სოციალურ სარეიტინგო ქულას“ იყენებენ, რომელიც ოჯახს ენიჭება სოციალური მოწყვლადობის ხარისხის გასაზომად. რესპონდენტთა შეფასებით, გამონაკლისს წარმოადგენენ ონკოლოგიური პაციენტები, რომელთაც ჯანდაცვის სერვისის მისაღებად არ მოეთხოვებათ სოციალური სარეიტინგო ქულა.

სამიზნე მუნიციპალიტეტებში მოქმედი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების აზრით, არაქართველებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მოწყვლადობის დამატებით კრიტერიუმად შეიძლება ჩაითვალოს ქართული ენის არცოდნა/არასათანადოდ ცოდნა. შესაბამისად, მოწყვლად მდგომარეობაში არიან ქართული ენის არმცოდნე/არასათანადოდ მცოდნე ეთნიკური უმცირესობები, რაც ქმნის საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და ინტეგრაციის პრობლემას. აღინიშნა, რომ მარნეულში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მნიშვნელოვანი ნაწილი თურქულ და აზერბაიჯანულ წყაროებს იყენებს ინფორმაციის მისაღებად, რაც მათ გაუცხოებას საქართველოში კიდევ უფრო მეტად აღრმავებს. ინტეგრაციის დაბალი დონე, თავის მხრივ, დეპრივაციასთან დაკავშირებულ მოვლენებს წარმოშობს (მაგალითად, უმუშევრობას, სიღარიბეს, ემიგრაციას და ა.შ.). ქვემო ქართლის რეგიონის სოციალურმა მუშაკებმა მოწყვლად მდგომარეობაში მყოფ ადამიანებად მიიჩნიეს აზერბაიჯანული ეროვნების არასრულწლოვანი გოგონები, რომლებსაც ადგილობრივი თემი და ტრადიცია ავალდებულებს ადრეულ ქორწინებას, რაც მათ ართმევს განათლების და ეკონომიკური დამოუკიდებლობის შესაძლებლობას.

<u>მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური გამოწვევები</u>

სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა აზრით, ეთნიკურ უმცირესობებში ბევრია ისეთი, ვისაც ქართული ენის შესწავლის სურვილი აქვს, თუმცა ასეთი შესაძლებლობები საჯარო/უფასო პროგრამების ფარგლებში მცირეა (1+4).

სახელმწიფო პროგრამა მხოლოდ უმაღლესი განათლების მიღების მსურველ არაქართველ ახალგაზრდებს ემსახურება. თვისებრივ კვლევაში, კერძოდ ფოკუსჯგუფებში, მთავარ სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებად უმუშევრობა, სიღარიბე, პირველადი მოხმარების პროდუქტებზე (სურსათი, მედიკამენტები) ფასების ზრდა და კომუნალური გადასახადების გაძვირება დასახელდა. ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი შრომისუნარიანი მოსახლეობა, განსაკუთრებით ახალგაზრდები, დასაქმებისა და საკუთარი თავის რეალიზაციის მიზნით საზღვარგარეთ მიდიან. ეთნიკურად ქართველი ახალგაზრდები თბილისში ამჯობინებენ მიგრაციას, განსაკუთრებით ისინი, ვისაც უმაღლესი განათლება აქვს.

ფოკუსჯგუფებში მონაწილე ეთნიკური უმცირესობების ერთი ნაწილის შეფასებით, ქართველებთან შედარებით, მათ დასაქმების ნაკლები შესაძლებლობები აქვთ. ამის მიზეზად მათი სოციალური ინტეგრაციის დაბალი ხარისხი დასახელდა, მთავარი მიზეზი ქართული ენის ცუდად ცოდნა ან არცოდნაა.

ფოკუს-ჯგუფებში მოსახლეობის შემოსავლების ძირითადი წყაროები დასახელდა: საჯარო და კერძო სამსახურებში დასაქმებით მიღებული შრომითი ანაზღაურება და სახელმწიფო სოციალური დახმარებები; დისკუსიებში მონაწილე სოციალურად დაუცველებმა აღნიშნეს, რომ შესაძლებლობის შემთხვევაში, ერთჯერადად არაფორმალურად საქმდებიან, რადგან ოფიციალურად დასაქმების შემთხვევაში სოციალურად დაუცველის სტატუსის დაკარგვის საშიშროების წინაშე დადგებიან და მცირე, მაგრამ სტაბილური შემოსავლის გარეშე დარჩებიან.

როგორც წესი, მოწყვლად მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს ადეკვატური ანაზღაურებით სამსახურის საპოვნელად შესაბამისი ცოდნა, კვალიფიკაცია და კავშირები არ აქვთ.

რაოდენობრივი კვლევის მონაცემები აჩვენებს, რომ სამიზნე რეგიონების მოსახლეობა როგორც სუბიექტური აღქმის, ისე ობიექტური მაჩვენებლების (ოჯახების შემოსავლების) მიხედვით, ეკონომიკურად მოწყვლადია. კერძოდ, სამცხე-ჯავახეთში გამოკითხულთა უმრავლესობა (70%-მდე), ხოლო ქვემო ქართლში ყოველი მეორე გამოკითხულის შემოსავლები მხოლოდ საკვებისა და ტანსაცმლის შეძენას ხმარდება. რაც შეეხება კონკრეტულ შემოსავლებს, იმის გათვალისწინებით, რომ (სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით) სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში ოჯახების საშუალო რაოდენობა დაახლოებით 4 წევრს შეადგენს, ხოლო საარსებო მინიმუმი ასეთი ოჯახებისთვის თვეში დაახლოებით 340 ლარია, ოჯახების საშუალო შემოსავლების საფუძველზე (MEAN სამცხე-ჯავახეთში შეადგენს 1070 ლარს, ხოლო ქვემო ქართლში - 893 ლარს) შეიძლება დავასკვნათ, რომ სამიზნე რეგიონების მოსახლეობის უმრავლესობის შემოსავლები საარსებო მინიმუმს აჭარბებს, თუმცა ვერ აღწევს ეკონომიკური მდგომარეობის საშუალო დონეს.

რაოდენობრივმა გამოკითხვამ აჩვენა, აგრეთვე, რომ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობაში დასაქმებულთა წილი (45%) მნიშვნელოვნად აჭარბებს ქვემო ქართლის რეგიონში (35%) დასაქმებულთა წილს (თვითდასაქმებულების ჩათვლით). შესაბამისად, **უმუშევართა წილი** უფრო მაღალია ქვემო ქართლში (21%), ვიდრე სამცხე-ჯავახეთში (16%). უნდა აღინიშნოს, რომ უმუშევრობის ეს მაჩვენებლები ახლოსაა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2021 წლის მონაცემებთან (ქვემო ქართლი - 25%; სამცხე-ჯავახეთი - 15%).

ამასთან, რაოდენობრივი გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ სამცხე-ჯავახეთში რესპონდენტთა 6%-ის, ხოლო ქვემო ქართლში გამოკითხულთა 18%-ის ოჯახები სოციალურად დაუცველის სტატუსს ატარებენ. გარდა ამისა, სამცხე-ჯავახეთში გამოკითხულთა 0.5%, ხოლო ქვემო ქართლში გამოკითხულთა 3% აცხადებს, რომ მათ ოჯახებს აქვთ იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი.

<u>კოვიდ-19-ის გავლენა მოსახლეობაზე</u>

როგორც ფოკუს-ჯგუფებმა აჩვენა, კოვიდ-19-მა მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება გამოიწვია. პანდემიამ განსაკუთრებით უარყოფითი გავლენა მოსახლეობის იმ ნაწილზე იქონია, რომელიც მომსახურების სფეროში იყო დასაქმებული. პანდემიამ სხვა სფეროებზეც იქონია უარყოფითი გავლენა, კერძოდ: ა) სოფლის მეურნეობაზე, რადგან პროდუქციის რეალიზაციის პრობლემა შეიქმნა და ბ) განათლებაზე, რადგან დისტანციურმა სწავლებამ გააუარესა განათლების ხარისხი.

ფოკუს-ჯგუფების მონაწილე მოწყვლად მდგომარეობაში მყოფმა ადამიანებმა აღნიშნეს, რომ პანდემიის დროს ადგილობრივი ხელისუფლებისგან ერთჯერად დახმარებებს იღებდნენ, როგორებიცაა: ფულადი დახმარება, საკვები პროდუქტით უზრუნველყოფა ადგილზე მიწოდებით და სხვა.

მთლიანობაში ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ადამიანები კოვიდ-19-ის პანდემიის დროს ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან გამოჩენილი ყურადღებით კმაყოფილნი არიან. თუმცა, რესპონდენტთა ერთმა ნაწილმა აღნიშნა, რომ იმაზე მეტი საჭიროება შეექმნათ პანდემიის დროს, ვიდრე ამას ხელისუფლების მხრიდან გაწეული დახმარება უზრუნველყოფდა.

<u>განათლება</u>

რაოდენობრივმა კვლევამ გამოავლინა, რომ შესასწავლი მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში როგორც სკოლამდელი, ისე ზოგადი განათლების დაწესებულებები ფუნქციონირებს (საჯარო საბავშვო ბაღები - 74%, საჯარო სკოლები - 98%), თუმცა ამ ინსტიტუტებით სარგებლობის მაჩვენებელი მაღალი არ არის (სავარაუდოდ, იმის გამო, რომ გამოკითხული რესპონდენტების ოჯახებში საბაღე ან სასკოლო ასაკის ბავშვები არ ცხოვრობენ). ზოგადი ტენდენცია შენარჩუნებულია საკითხის რეგიონულ ჭრილში განხილვისასაც. თუმცა აღსანიშნავია, რომ ქვემო ქართლში საჯარო ბაღის არსებობაზე გაცილებით ნაკლები რაოდენობა (64%) მიუთითებს, ვიდრე სამცხე-ჯავახეთში (84%). საჯარო საბავშვო ბაღით მომსახურების მაჩვენებელი სამცხე-ჯავახეთში 18%-ს უტოლდება, ხოლო ქვემო ქართლში - 14%-ს. სამცხე-ჯავახეთში გამოკითხულთა 41% საჯარო სკოლის მომსახურებით სარგებლობს, ხოლო ქვემო ქართლში ეს მაჩვენებელი 44%-ია. საჯარო საბავშვო ბაღითა თუ საჯარო სკოლით მოსარგებლე რესპონდენტთა ძირითადი ნაწილი მომსახურებით კმაყოფილია.

სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისგან განსხვავებით, გამოკითხულთა უმრავლესობა აღწერს, რომ მათ მუნიციპალიტეტში/ქალაქში არც პროფესიული სასწავლებელი (59%) და არც სახელმწიფო დაფინანსების მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (68%) არ არსებობს. პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლებით სამცხე-ჯავახეთი მეტად გამოირჩევა, ვიდრე ქვემო ქართლი. მართალია, მცირეა მოსარგებლეთა რაოდენობა (პროფესიული სასწავლებელი - 2.7%, N=13; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - 8%, N=24), მაგრამ, ძირითადად, კმაყოფილნი არიან (პროფესიული სასწავლებელი - N=8, უმაღლესი საგანმანათ-

ლებლო დაწესებულება - N=15). უკმაყოფილების მიზეზებს შორის ცალკეულ შემთხვევებში გამოვლინდა: პედაგოგების კვალიფიკაცია, სასწავლო პროგრამების სიმცირე, არააქტუალური სასწავლო პროგრამები, მმართველობა, ბიუროკრატია, საფასური.

ინფორმირებულობა მუნიციპალური სერვისების შესახებ

ფოკუს-ჯგუფებში მუნიციპალური სერვისების შესახებ ინფორმაციის მიღების რამდენიმე ძირითადი წყარო დასახელდა: მასმედიის საშუალებები, ძირითადად ადგილობრივი ტელე და რადიო მაუწყებლები, სოციალური მედია, განსაკუთრებით „ფეისბუკი", მუნიციპალიტეტების ოფიციალური ვებგვერდები და არაფორმალური კავშირები (ნათესავებს, მეზობლებს და ა.შ. შორის ინფორმაციის გაცვლა).

სოციალური და ჯანდაცვის სერვისების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა, განსაკუთრებით ეთნიკურ უმცირესობებში - აზერბაიჯანელებსა და სომხებში- იჩენს თავს, რადგან ენობრივი ბარიერისა და ნაკლები ინტეგრაციის გამო ინფორმაციის მიღების შესაძლებლობები ქართველებთან შედარებით მცირეა.

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხულთა მხოლოდ 17% ფლობს ინფორმაციას ქალთა ოთახების შესახებ, მათგან 5%-ს აღნიშნული სერვისით უსარგებლია (სამცხე-ჯავახეთი - 3%, ქვემო ქართლი - 8%). ამ მომსახურების შესახებ ინფორმირებულობის დონე დაბალია, რადგან რესპონდენტთა უმრავლესობა ქალთა ოთახებით მოსარგებლე პირებს არ იცნობს (73%).

სოციალური სერვისები

რაოდენობრივი გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ რესპონდენტთა ძირითადი ნაწილი (81%) მუნიციპალური სოციალური მომსახურებებით არ სარგებლობს. სახელმწიფო (ცენტრალური) მომსახურებებით არ სარგებლობს გაცილებით მცირე რაოდენობა (26%). ზოგადი ტენდენცია შენარჩუნებულია ორივე რეგიონში - სამცხე-ჯავახეთშიც და ქვემო ქართლშიც. მაღალია იმ რესპონდენტთა წილი, რომელიც არცერთ მუნიციპალურ (სამცხე-ჯავახეთი 88%, ქვემო ქართლი - 75%) სოციალურ სერვისს არ იყენებს. სახელმწიფო სერვისებს არ იყენებს რესპოდენტთა დაახლოებით თანაბარი რაოდენობა (სამცხე-ჯავახეთი - 24%, ქვემო ქართლი - 29%). კვლევაში მონაწილე პირთა მიერ დასახელებულ მუნიციპალურ სოციალურ სერვისებს შორის შედარებით გამოიკვეთა ერთჯერადი (ფულადი ან სხვა სახის) დახმარებით (6%) და სოციალურად დაუცველი ბავშვების და ახალშობილების მხარდაჭერის პროგრამით (4%) მოსარგებლეთა ჯგუფი; სახელმწიფო (ცენტრალური) მომსახურებებს შორის კი - ასაკობრივი პენსია (29%), სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევა (20%), კომუნალური სუბსიდიები (18%). რესპონდენტები, ძირითადად, დროულად იღებენ ნებისმიერი სახის დახმარებას (როგორც მუნიციპალურს, ისე ცენტრალურს) და, ამდენად, გაწეული მომსახურებით კმაყოფილნი არიან (მუნიციპალური სერვისებით კმაყოფილია საშუალოდ 63%, სახელმწიფო (ცენტრალური) სერვისებით კი - საშუალოდ 70%). სახელმწიფო სერვისებით სარგებლობის შემთხვევაში, რეგისტრაციის პროცედურების თვალსაზრისით, როგორც სამცხე-ჯავახეთში,

ისე ქვემო ქართლში პრობლემურ კატეგორიად დასახელდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის ბავშვების) პენსიის მიღების პროცესი. სამცხე-ჯავახეთში გამოკითხულთა 27% და ქვემო ქართლში გამოკითხულთა 33% მიუთითებს, რომ რეგისტრაციის პროცედურა იყო ძალიან რთული ან რთული.

ჯანდაცვის სერვისები

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხულთა უმრავლესობა არც მუნიციპალური (89%) და არც სახელმწიფო (ცენტრალური) (54%) ჯანდაცვის მომსახურებით არ სარგებლობს. ზოგადი ტენდენცია შენარჩუნებულია ორივე რეგიონში - სამცხე-ჯავახეთშიც და ქვემო ქართლშიც. მაღალია იმ რესპონდენტთა წილი, რომელიც არცერთ მუნიციპალურ (სამცხე-ჯავახეთი 94%, ქვემო ქართლი - 85%) თუ სახელმწიფო (სამცხე-ჯავახეთი - 61%, ქვემო ქართლი - 47%) ჯანდაცვის სერვისს არ იყენებს. კვლევაში მონაწილე პირთა მიერ დასახელებულ მუნიციპალურ სერვისებს შორის გამოიკვეთა უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა (7%), ხოლო სახელმწიფო სერვისებს შორის - სოფლის ექიმი (19%) და სასწრაფო გადაუდებელი დახმარება (14%). რესპონდენტები დროულად იღებენ ჯანდაცვის სერვისებსაც და, ძირითადად, კმაყოფილი არიან გაწეული მომსახურებით როგორც მუნიციპალურ (საშუალო მაჩვენებელი - 65%), ისე სახელმწიფო (ცენტრალურ) დონეზე (საშუალო მაჩვენებელი - 72%). პრობლემურად დასახელდა აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისები, რომელთა რეგისტრაციის პროცედურები შედარებით რთულია და რესპონდენტთა კმაყოფილების დონეც დაბალია.

ფოკუს-ჯგუფებმა აჩვენა, რომ სამიზნე მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები სოციალური და ჯანდაცვის მუნიციპალური სამსახურის სერვისებით მთლიანობაში კმაყოფილნი არიან. მათ მისაღებად არსებული პროცედურების გავლა მნიშვნელოვან სირთულეებთან დაკავშირებული არ არის.

სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებით არსებული საჭიროებები და გამოწვევები

ფოკუს-ჯგუფების თანახმად, სამიზნე მუნიციპალიტეტების მოსახლეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საჭიროება მედიცინის კვალიფიციური სპეციალისტისგან კონსულტაციის მიღებაა. კიდევ ერთი საჭიროება, რომელიც მოწყვლად მდგომარეობაში მყოფ რესპონდენტებში გამოიკვეთა, აუცილებელი მედიკამენტების ხელმისაწვდომობას უკავშირდება.

ფოკუს-ჯგუფების იმ მონაწილეებმა, რომლებმაც მუნიციპალური ჯანდაცვის სერვისებით ისარგებლეს, აღნიშნეს, რომ პოსტოპერაციული რეაბილიტაცია არ ფინანსდება, რაც მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან დანახარჯებთან არის დაკავშირებული.

კვლევა აჩვენებს, რომ ბავშვების ადრეული განვითარების კუთხით მუნიციპალიტეტებში გარკვეული სერვისების დანერგვაა საჭირო. მათ შორის დასახელდა ლოგოპედის მომსახურება. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის არსებობს ფსიქოლოგის და

ოკუპაციური თერაპევტის საჭიროებაც. მრავალშვილიან ოჯახებში მოსწავლეების სასკოლო ნივთებით აღჭურვის საჭიროება დასახელდა.

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, რომ არსებული საჭიროებები, რომელთა უზრუნველყოფა მუნიციპალური პროგრამებით არ ხდება, სამომავლოდ უნდა იყოს გათვალისწინებული და საამისოდ ბიუჯეტში გამოიყოს თანხები.

აღსანიშნავია, რომ ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების ძირითად ნაწილს სოციალური და ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობის მხრივ პრობლემები არ შეჰქმნიათ, თუმცა ეთნიკურ უმცირესობებთან ჩატარებულ ფოკუს-ჯგუფებში გამოიკვეთა მოსაზრება, რომ ქართველებისთვის მეტად ხელმისაწვდომია არსებული სერვისები, ვიდრე დანარჩენი ეთნიკური ჯგუფებისთვის. ამის ძირითადი მიზეზი ქართული ენის არცოდნა ან ცუდად ცოდნაა. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ თანაბარი ხელმისაწვდომობის პრობლემა უფრო მეტად უფროს თაობაში არსებობს, რადგან ქართულ ენას არ ფლობენ. სერვისების მისაღებად საჭიროა ქართულ ენაზე განცხადების მომზადება და დოკუმენტების შეგროვება, რაც ქართული ენის მცოდნის დახმარების გარეშე ეთნიკურ უმცირესობებს უჭირთ. ფოკუსჯგუფებში მონაწილე ეთნიკურ ქართველებს სერვისების თანაბარ ხელმისაწვდომობაზე საუბარი გაუჭირდათ, რადგან ეს საკითხი მათთვის აქტუალური არ არის.

სიღრმისეული ინტერვიუების ფარგლებში, სამიზნე მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა თქმით, მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც ფორმალურად სოციალური მოწყვლადობის სტატუსი არ აქვს (შესაბამისი სარეიტინგო ქულის არარსებობის გამო), რეალურად საჭიროებს სხვადასხვა დახმარებას, განსაკუთრებით დასაქმებისა და ჯანდაცვის სერვისების მიმართულებით. ჯანდაცვის სერვისებისთვის გამოყოფილი თანხა არ არის საკმარისი მოსახლეობის საჭიროებების სრულად დასაკმაყოფილებლად, საჭიროა მუნიციპალური ბიუჯეტის გაზრდა. ეს განსაკუთრებით ეხება პოსტოპერაციულ პერიოდში მედიკამენტური მკურნალობის უზრუნველყოფას.

ქვემო ქართლში მომუშავე სოციალურმა მუშაკებმა აღნიშნეს, რომ სერვისების მიღების კუთხით ბარიერს/დაბრკოლებას ქმნის იმ პროცედურათა სიმრავლე, რომელთა გავლაც უწევს მოქალაქეს სერვისების მისაღებად.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მოსახლეობა ამჯობინებს ფულადი დახმარების მიღებაზე შემოიტანოს განაცხადი, ვიდრე უშუალოდ რომელიმე სერვისის მიღების სურვილი გამოთქვას.

როგორც ადგილობრივი ხელისუფლების, ისე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები ვერ ასახელებენ რაიმე სტანდარტებს, რომლებიც არსებობს მუნიციპალიტეტებში სოციალური მომსახურების, ჯანდაცვის, ინფრასტრუქტურულ, საგანმანათლებლო და კომუნალურ სფეროებში. მათი განცხადებით, მუნიციპალიტეტები გაწერილი გზამკვლევებით არ ხელმძღვანელობენ და ცდილობენ სპონტანურად შემუშავებული გეგმის მიხედვით, შესაძლებლობის ფარგლებში, დაეხმარონ მოსახლეობას.

სხვა სოციალური პრობლემები

ფოკუს-ჯგუფებში გამოიყო ახალგაზრდებისთვის თავისუფალი დროის ნაყოფიერად გამოყენების პრობლემაც, რომლის მოგვარებაში ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობა მნიშვნელოვანია. აგრეთვე, ითქვა, რომ წარჩინებულ და მოტივირებულ ახალგაზრდებს მუნიციპალიტეტი მხარში უნდა დაუდგეს, რაც შესაძლოა სწავლის თანადაფინანსებაში, საცხოვრებლით უზრუნველყოფაში და ა.შ. გამოიხატებოდეს;

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა შეფასებით, მუნიციპალიტეტებმა დასაქმების ხელშემწყობი პროგრამები უნდა შეიმუშაონ, მაგალითად, დაუკავშირდნენ პოტენციურ დამსაქმებელს, დასაქმების ფორუმები დააორგანიზონ და ა.შ. რესპონდენტები ხაზს უსვამენ, რომ ამ ტიპის აქტივობებს ფორმალური ხასიათი არ უნდა ჰქონდეს და რეალური შედეგის მიღწევაზე უნდა იყოს ორიენტირებული.

კომუნალური ინფრასტრუქტურა

რაოდენობრივი კვლევის რესპონდენტთა დიდ უმრავლესობას (97%) ელექტროენერგია ფაქტობრივად 24 საათის განმავლობაში მიეწოდება (სამცხე-ჯავახეთი - 98%, ქვემო ქართლი - 93%). მისი სიმძლავრე კი როგორც ზამთრის, ისე სხვა სეზონებზე დამაკმაყოფილებელია.

საკვლევ დასახლებებში ცენტრალური გაზსადენი, ძირითადად, ფუნქციონირებს (სამცხე-ჯავახეთი - 79%, ქვემო ქართლი - 88%); რესპონდენტთა უმრავლესობას კი სწორედ ცენტრალიზებული სისტემიდან მიეწოდება გაზი. იმ გამოკითხულთა დიდი ნაწილი, რომელთა დასახლებაშიც ცენტრალური გაზსადენი არ არის, ყველა სეზონზე გაზის ბალონით სარგებლობს. მთლიანობაში გაზმომარაგების სერვისი პოზიტიურად ფასდება - რესპონდენტთა 78% კმაყოფილია (სამცხე-ჯავახეთი - 78%, ქვემო ქართლი - 78%).

რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე პირთა ნახევარზე მეტი (53%) შინამეურნეობის წყლით მომარაგების მიზნით სახლში (ბინაში) არსებულ ონკანის წყალს იყენებს (სამცხე-ჯავახეთი - 58%, ქვემო ქართლი - 48%), მეათედზე მეტი კი სახლის გარეთ მდებარე წყლის კომპანიის საერთო ონკანის წყლით სარგებლობს. გასათვალისწინებელია, რომ თუკი სამცხე-ჯავახეთში გამოკითხულთა შორის ყოველი მეხუთე სახლის გარეთ მდებარე წყლის კომპანიის საერთო ონკანის წყლით სარგებლობს, ქვემო ქართლში მაჩვენებელი 7%-მდეა შემცირებული. მეორე მხრივ, ქვემო ქართლში წყლის მომარაგებისთვის უმეტესად იყენებენ ჭას (19%) , ხოლო სამცხე-ჯავახეთში ჭის გამომყენებელთა წილი 1%-საც არ აღწევს. რესპონდენტთა 48%-ის შეფასებით, სასმელი წყალი თითქმის უწყვეტად არ მოდის (სამცხე-ჯავახეთი - 39%, ქვემო ქართლი - 58%) და ხშირ შემთხვევაში, უხარისხოა (38%). შინამეურნეობის წყლით მომარაგების მიზნით მიღებული წყლის ოდენობა შეფასდა როგორც საკმარისი, წყლის საფასური კი - ხელმისაწვდომი.

გამოვლინდა, რომ უმრავლეს დასახლებაში ცენტრალიზებული საირიგაციო (სარწყავი) სისტემა არ ფუნქციონირებს (72%) (სამცხე-ჯავახეთი - 85%, ქვემო ქართლი - 67%). აღნიშნული მომსახურების მიმღებ პირთა შეფასებით კი სისტემა გამართულად მუშაობს (67%), ამდენად, მათი კმაყოფილების ხარისხიც შედარებით მაღალია (45%) (სამცხე-ჯავახეთი 44%, ქვემო ქართლი - 45%).

საირიგაციო სისტემის მსგავსად რესპონდენტთა უმრავლესობა ცენტრალური საკანალიზაციო სისტემის არარსებობაზე მიუთითებს (65%) (სამცხე-ჯავახეთი - 52%, ქვემო ქართლი - 78%). პოზიტიური გამოცდილების მქონე რესპონდენტთა 90%-ის სახლი აღნიშნულ სისტემაზე მიერთებულია (სამცხე-ჯავახეთი - 96%, ქვემო ქართლი - 77%). სისტემა, ძირითადად, ფასდება როგორც გამართული და, ამდენად, მომხმარებელთა უმრავლესობა ცენტრალიზებული საკანალიზაციო სისტემით კმაყოფილია (71%) (სამცხე-ჯავახეთი - 78%, ქვემო ქართლი - 52%).

გამოკითხულთა 92%-ის გამოცდილებით, მათი დასახლებიდან/უბნიდან ნარჩენების გატანის პრაქტიკა არსებობს (სამცხე-ჯავახეთი - 99%, ქვემო ქართლი - 85%); მეტიც, თითქმის ყოველი მესამე რესპონდენტი მიუთითებს, რომ ნარჩენები ყოველდღიურად გააქვთ (სამცხე-ჯავახეთი - 34%, ქვემო ქართლი - 29%). სერვისით მოსარგებლე გამოკითხულთა 73% აღნიშნული მომსახურებით კმაყოფილია.

ყოველი მესამე რესპონდენტი მიუთითებს, რომ მათ დასახლებაში/უბანში ქუჩებს ასუფთავებენ, მეტიც, 42%-ის შეფასებით ამ პრაქტიკას ყოველდღიური ხასიათი აქვს. ქუჩების დასუფთავების პრაქტიკით, ქვემო ქართლთან (20%) შედარებით, სამცხე-ჯავახეთი (48%) გამოირჩევა. აღნიშნული სერვისით მოსარგებლეთა 75% მომსახურებით კმაყოფილია (სამცხე-ჯავახეთი - 79%, ქვემო ქართლი - 64%) . უკმაყოფილების ძირითად მიზეზებად კი მომსახურების ხარისხი, ჰიგიენური ნორმების დაცვა და სიხშირე განისაზღვრა.

რვავე მუნიციპალიტეტში ჩატარებული ფოკუს-ჯგუფებში გამოიკვეთა მოსაზრება, რომ ბოლო წლებში კომუნალური და საგზაო ინფრასტრუქტურა მუნიციპალიტეტებში გაუმჯობესდა. თუმცა, ამის მიუხედავად, დასახელდა პრობლემები, რომელთა მოგვარებაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ადგილობრივი მოსახლეობის ზოგად მდგომარეობას. სოფლის მეურნეობაში ჩართული პირებისთვის პრობლემურია გაუმართავი სარწყავი წყლის სისტემა, რომელიც მნიშვნელოვნად აფერხებს სოფლის მეურნეობის განვითარებას. აგრეთვე, პრობლემურია მოუწესრიგებელი საკანალიზაციო სისტემა, რომელიც ეკოლოგიური საფრთხის წინაშე აყენებს ზოგიერთ დასახლებას.

რვავე მუნიციპალიტეტში ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საზოგადოებრივი დაწესებულებები/სივრცეები ადაპტირებული არ არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის; რესპონდენტების ერთმა ნაწილმა აღნიშნა, რომ ბოლო პერიოდში აშენებული საჯარო დაწესებულებები ადაპტირებულია მობილობის შეზღუდვის მქონე პირებისთვის, თუმცა რესპონდენტებისთვის უცნობია ადაპტირება რამდენად შეესაბამება არსებულ სტანდარტებს, რადგან ადაპტირებული გარემოთი მოსარგებლე შშმ პირი არ უნახავთ.

კლიმატის ცვლილებები და მისით გამოწვეული ჯანმრთელობის პრობლემები

გამოკითხვაში მონაწილე პირთა უმრავლესობა (71%) კლიმატის ცვლილებების შესახებ ინფორმირებულია (სამცხე-ჯავახეთი - 74%, ქვემო ქართლი - 68%). რესპონდენტთა ძირითადი ნაწილი გარემოს ცვლილების კუთხით გვალვების, ნალექებისა და ქარების გახშირებაზე მიუთითებს. ქვემო ქართლში გვალვების გახშირებაა (27%) დომინანტური, ხოლო სამცხე-ჯავახეთში - ქარების გახშირება (24%).

გამოკითხულთა ძირითადი ნაწილი მიიჩნევს, რომ კლიმატის ცვლილებები არ იწვევს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ისეთ უარყოფით შედეგებს, როგორებიცაა: სხვადასხვა ტიპის ინფექციის გავრცელება, ვირუსული დაავადების წარმოშობა/გავრცელება, კიბოს ზრდა, სიკვდილიანობის ზრდა. თუმცა, მეორე მხრივ, დაახლოებით ყოველი მესამე რესპონდენტი მიიჩნევს, რომ კლიმატის ცვლილებები იწვევს გულის დაავადებისა (32%) და ინსულტის (31%) ზრდას, რაც გამოწვეულია უარყოფითად შეცვლილი გარემოთი.

რესპონდენტთა უმრავლესობა (60%) კლიმატის ცვლილებებს თავიანთი რეგიონისთვის მნიშვნელოვან საკითხად მიიჩნევს (სამცხე-ჯავახეთი - 49%, ქვემო ქართლი - 72%). მეორე მხრივ, ხაზგასასმელია, რომ სამცხე-ჯავახეთში გამოკითხულთა დაახლოებით ყოველი მეხუთე პირი გარემოს ცვლილებებს აფასებს, როგორც უმნიშვნელოს.

დასახლების დაგეგმარება/კეთილმოწყობა

კვლევაში მონაწილე პირთა დიდი ნაწილი (39%) მათი დასახლების დაგეგმარებით უკმაყოფილოა. უკმაყოფილებას უფრო მეტად ქვემო ქართლის (43%) რესპონდენტები გამოხატავენ, ვიდრე სამცხე-ჯავახეთის (35%). რესპონდენტთა უკმაყოფილების მიზეზად, ძირითადად, გზებისა და ტროტუარების მდგომარეობა, სკვერებისა და სპორტული ინფრასტრუქტურის ნაკლებობა დასახელდა. ამასთან, როგორც ჩანს, დასახლების დაგეგმარებისას შშმ პირთა საჭიროებები გათვალისწინებული არ ყოფილა, რადგან, რესპონდენტთა 56%-ის შეფასებით, შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემო არ არსებობს, ან არ იციან, არსებობს თუ არა (სამცხე-ჯავახეთი - 62%, ქვემო ქართლი - 50%); პრობლემურია პანდუსების არარსებობა, არაადაპტირებული შენობები და ტრანსპორტი ეტლით მოსარგებლე პირებისთვის.

უსაფრთხოება

რესპონდენტთა შეფასებით, მათ დასახლებაში მოსახლეობის უსაფრთხოება დაცულია (58%) (სამცხე-ჯავახეთი - 62%, ქვემო ქართლი - 54%). მეტიც, გამოკითხული პირები, ძირითადად, აღწერენ, რომ მათ საცხოვრებელ გარემოში არ ხდება ძარცვა/ყაჩაღობა (66%), ნარკოტიკების მოხმარება (59%), წვრილმანი ხულიგნობა (57%), ოჯახში ძალადობა (61%), ნაადრევი ქორწინება (67%); ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს ალკოჰოლის მოხმარებას (37%). ზოგადი ტენდენცია

შენარჩუნებულია საკითხის რეგიონულ ჭრილში განხილვისასაც. უმრავლესობა აღწერს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი პრაქტიკა მათ დასახლებაში გავრცელებული არ არის. აქვე გამოვლინდა, რომ ალკოჰოლის მოხმარება ქვემო ქართლში მეტადაა გავრცელებული (31%), ვიდრე სამცხე-ჯავახეთში (13%). უსაფრთხოების უზრუნველმყოფ ორგანოდ უმეტეს შემთხვევაში პოლიცია განისაზღვრა, ხოლო, ყოველი მესამე რესპონდენტის აზრით, მსგავს წესრიგს თავად მოსახლეობა ქმნის. სამცხე-ჯავახეთში უფრო გამოკვეთილია მოსახლეობის როლი (35%), ვიდრე ქვემო ქართლში (26%). ამასთან, სამცხე-ჯავახეთში უბნის უხუცესებს, როგორც უსაფრთხოების უზრუნველყოფის ალტერნატიულ წყაროს, შედარებით მეტი გამოყოფს (4%), ვიდრე ქვემო ქართლში (1%).

ელექტრონული სერვისები

გამოკითხვაში მონაწილე პირთა უმრავლესობა, როგორც სახელმწიფო (საკადასტრო ბაზა, ინფორმაცია ქონების/შემოსავლების შესახებ და ა.შ.) (90%) (სამცხე-ჯავახეთი - 90%, ქვემო ქართლი - 90%), ისე მუნიციპალური (96%) (სამცხე-ჯავახეთი - 97%, ქვემო ქართლი - 96%) ელექტრონული სერვისებით არ სარგებლობს. მუნიციპალური მომსახურებით მოსარგებლეთა ძირითად ნაწილს მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ვებგვერდი გამოუყენებია. მთლიანობაში, მართალია, ორივე დონეზე მოქმედი ელექტრონული სერვისებით მოსარგებლე რესპონდენტთა უმრავლესობა გაწეული მომსახურებით კმაყოფილია, თუმცა სახელმწიფო სერვისების შემთხვევაში კმაყოფილთა წილი უფრო ჭარბობს (სახელმწიფო ელსერვისი - 83%, მუნიციპალური ელსერვისი - 64%).

ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა

რესპონდენტთა 40%-ის აზრით, მოქალაქეები ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ მონაწილეობენ. არმონაწილეობის დონე გაცილებით მაღალია ქვემო ქართლში (53%), სამცხე-ჯავახეთთან შედარებით (27%). მეორე მხრივ, სულ მცირე, ყოველი მეოთხე რესპონდენტი მიუთითებს, რომ აღნიშნული პროცესი მოსახლეობის მოთხოვნებსა და საჭიროებებს არ პასუხობს (27%), (სამცხე-ჯავახეთი - 16%, ქვემო ქართლი - 37%), თუმცა ისურვებდნენ, რომ: ა) უფრო ხშირად შეხვდნენ მოსახლეობას; ბ) მუნიციპალიტეტის პრობლემების მოსაგვარებლად მეტი თანხა გამოიყოს; გ) მიმდინარე პროცესებზე მოსახლეობას მეტი ინფორმაცია მიეწოდოს. ყოველი მესამე რესპონდენტის შეფასებით, ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების ჩართულობის გაზრდაზე ორიენტირებული ღონისძიებები, ძირითადად, არ ტარდება.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში, ყველა ფოკუს-ჯგუფში აღმოჩნდნენ ისეთი წევრები, რომლებსაც ადგილობრივ ხელისუფლებაში მონაწილეობის ფორმების შესახებ არაფერი სმენოდა.

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა ერთი ნაწილი ვერ ხედავს ხელისუფლების მხრიდან მზაობასა და სურვილს, რომ მოსახლეობა ჩაერთოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. როგორც მონაწი-

ლეებმა აღნიშნეს, არაინფორმირებულობა არის არმონაწილეობის წამყვანი მიზეზი; მოსახლეობას არ აქვს ინფორმაცია მათი უფლებების შესახებ, კონკრეტულად, როგორ და რა გზებით შეუძლიათ ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში ჩართვა.

მოწყვლად მდგომარეობაში მყოფმა რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ მათი მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ჩართვის არც შესაძლებლობა და არც მოტივაცია არ აქვთ;

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივ პოლიტიკაში სოფლის მოსახლეობის ჩაურთველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბარიერი ცენტრამდე მისასვლელი შორი მანძილია. ეთნიკურ უმცირესობებში ჩაურთველობის დამატებით ფაქტორად ენის ბარიერი და ზოგადად ინტეგრაციის დაბალი ხარისხი დასახელდა. ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებრივი ცხოვრებიდან გარიყულობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები სიღრმისეული ინტერვიუების ფარგლებში, ადასტურებენ, რომ მოსახლეობის მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში დაბალია. განსაკუთრებით პასიურობენ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები და ქალები. ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი კვლავ ქართული ენის არცოდნა ან არასათანადოდ ცოდნაა.

ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურებთან კომუნიკაცია

რაოდენობრივმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან მოსახლეობის კომუნიკაცია დაბალია: გამოკითხულთა უმრავლესობას (82%) ბოლო 2 წლის განმავლობაში მათთვის კონკრეტული პრობლემის მოგვარების მიზნით არ მიუმართავს (სამცხე-ჯავახეთი - 84%, ქვემო ქართლი - 80%). საპირისპირო გამოცდილების მქონე პირებს კი ბოლო 2 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტისთვის შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით მიუმართავს: სხვადასხვა სოციალურ/მოწყვლად ჯგუფთან (შშმ, ბავშვები, ხანდაზმულები, უსახლკაროები, იძულებით გადაადგილებული პირები) დაკავშირებული გარემოს გაუმჯობესება, ინფრასტრუქტურული პრობლემები (გაზმომარაგება, წყალმომარაგება, ელექტროენერგია და ა.შ.), სოციალური საკითხები (სოციალური დახმარება, უმუშევრობა და ა.შ.), ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული საკითხები. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ, 40%-ის გამოცდილებით, თვითმმართველობას არცერთი პრობლემა არ მოუგვარებია.

სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები მოსახლეობის ჩაურთველობაზე პასუხისმგებლობას მუნიციპალურ ხელისუფლებასაც აკისრებენ, რამდენადაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დროულად არ აკეთებენ განცხადებას შეხვედრების შესახებ, ხოლო თუ ასეთი განცხადებები კეთდება, ინფორმაციას მხოლოდ ვიწრო წრე იღებს, რადგან მოსახლეობასთან უშუალო (პირდაპირი) საკომუნიკაციო არხები შეზღუდულია, ხოლო ფორმალურ არხებს (მაგალითად მუნიციპალიტეტების ვებგვერდებს) ცოტა იყენებს. ამის შედეგია ის, რომ, სამოქალაქო სექტორის შეფასებით, მუნიციპალური ბიუჯეტების როგორც შედგენის, ისე ხარჯვის გამჭვირვალობა დღემდე პრობლემაა.

ადგილობრივი ხელისუფლების (მაგალითად ახალციხის მუნიციპალიტეტის) წარმომადგენლების განცხადებით, სოციალური სერვისების სისტემა გახდა ელექტრონული - მოსახლეობას საშუალება მიეცა ადგილზე მისვლის გარეშე შეიტანოს განაცხადი და მიიღოს პასუხი. თუმცა, მეორე მხრივ, ელექტრონული კომუნიკაციის უნარ-ჩვევები და შესაბამისი ტექნიკური უზრუნველყოფა მოსახლეობაში (განსაკუთრებით უფროსი ასაკის მქონე დასახლებებში) პრობლემაა.

საჯარო აქტივობებში მონაწილეობა

ბოლო 1 წლის განმავლობაში რესპონდენტთა უმრავლესობას (57%) არცერთ სამოქალაქო/საჯარო აქტივობაში მონაწილეობა არ მიუღია, განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთში (65%), (ქვემო ქართლში ასეთია 50%). რესპონდენტები სამოქალაქო/საჯარო აქტივობებში სხვადასხვა მიზეზით არ მონაწილეობენ, ესენია: დროის უქონლობა, განცდა, რომ მათი აქტივობა არაფერს შეცვლის და სხვ.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობით კმაყოფილება

არსებული გამოცდილების გათვალისწინებით, გამოკითხულთა 39% კმაყოფილია თვითმმართველობის ორგანოების მუშაობით (სამცხე-ჯავახეთი - 48%, ქვემო ქართლი - 30%), თუმცა პრობლემად იკვეთება თანამშრომლების კვალიფიკაციის დონე, ნეპოტიზმი, მოსახლეობასთან პასიური კომუნიკაცია და სხვ.

რეგრესიული მოდელის მიხედვით მუნიციპალიტეტის საქმიანობით უფრო მეტად კმაყოფილი არიან ის რესპონდენტები, რომლებიც: ა) ქალაქის მაცხოვრებელია; ბ) ზედა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელია; გ) ვისაც ბოლო 2 წლის განმავლობაში ადგილობრივი თვითმმართველობისთვის ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული საკითხების გამო მიუმართავს; დ) ვისაც ბოლო 1 წლის განმავლობაში დასახლების საერთო კრებაში მიუღია მონაწილეობა.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

რაოდენობრივ გამოკითხვაში მონაწილე პირთა უმრავლესობა (94%) მუნიციპალიტეტში არსებული სამოქალაქო ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციას არ ფლობს (სამცხე-ჯავახეთი - 91%, ქვემო ქართლი - 96%). ინფორმირებულ რესპონდენტთა უმრავლესობა (59%) მიიჩნევს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა აღნიშნული ორგანიზაციების საქმიანობაში მონაწილეობს. აღმოჩნდა, რომ რესპონდენტებს ბოლო 1 წლის განმავლობაში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული არცერთი მომსახურებით არ უსარგებლია; ძირითად მიზეზად კი მსგავსი სერვისებით სარგებლობის საჭიროების არარსებობა დასახელდა. მეორე მხრივ, გამოიკვეთა, რომ ინფორმირებული რესპონდენტები უმეტესწილად სოციალური სერვისებით სარგებლობენ

(19%), თუმცა, საგულისხმოა, რომ მსგავსი გამოცდილება ქვემო ქართლში გამოკითხულ პირებს არ აქვთ. იმის გათვალისწინებით, რომ გამოკითხული პირები აღიქვამენ სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობისა და მოქალაქეთა მოთხოვნების/საჭიროებების შესაბამისობას, ძირითადად, კმაყოფილნი არიან მუნიციპალიტეტში აღნიშნული ორგანიზაციების მუშაობით (73%) (სამცხე-ჯავახეთი - 89%, ქვემო ქართლი - 58%).

ფოკუს-ჯგუფებმაც აჩვენა, რომ მონაწილეებში მწირი ინფორმაცია არსებობს სამიზნე რეგიონებში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესახებ. რესპონდენტებს ძირითადად ისეთი ორგანიზაციების შესახებ სმენიათ, რომლებიც შეჭირვებულ ოჯახებს მატერიალურად ეხმარებიან, ეთნიკურ უმცირესობებს სთავაზობენ ქართული ენის კურსებს, იურიდიულ მომსახურებას და ა.შ.

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობას მთლიანობაში დადებითად აფასებენ, თუმცა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობის უარყოფით მხარეზეც გაამახვილეს ყურადღება და აღნიშნეს, რომ ზოგიერთი ორგანიზაციის მიმართ ნდობა დაბალია, რადგან ისინი აზერბაიჯანულ თემს, მისი რელიგიური იდენტობიდან გამომდინარე, აღიქვამენ, როგორც „ჩამორჩენილს“. აგრეთვე, ცალკეულმა რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ხელისუფლებასთან ოპოზიციაში მყოფ ორგანიზაციებად არიან მიჩნეულნი და ამ მიზეზით მათთან თანამშრომლობას ერიდებიან.

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეების აზრით, საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა, უპირველესად, ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემების მოგვარებაზე უნდა იყოს ორიენტირებული. მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მუშაობა გააძლიერონ მუნიციპალიტეტების მერიებსა და საკრებულოებთან და მათ ახალი იდეები და გამოსავლის გზები შესთავაზონ არსებული პრობლემების დასაძლევად.

თავი 1. მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა

მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ადამიანების იდენტიფიკაცია

სიღრმისეული ინტერვიუების ფარგლებში ქვემო ქართლის რეგიონის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოწყვლადი ადამიანების ტიპები/კატეგორიები განსაზღვრეს. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი პირების განსასაზღვრად ისინი ძირითადად ე.წ. „სოციალურ სარეიტინგო ქულას" იყენებენ, რომელიც ოჯახს ენიჭება მოწყვლადობის ხარისხის გასაზომად. გამოიკვეთა, რომ დახმარებების პაკეტი მოიცავს ორ კატეგორიას - სოციალურ დახმარებებს და ჯანდაცვის პროგრამების სერვისებს. სოციალური დახმარების მიმღებ მოწყვლად ადამიანებს შორის არიან: ხანდაზმული და მარტოხელა ადამიანები, სოციალურად დაუცველი პირები/ოჯახები; ობოლი და მეურვეობას მოკლებული ბავშვები, მრავალშვილიანი ოჯახები, ომის მონაწილე ვეტერანები, დევნილები. ხოლო ჯანდაცვის პროგრამის სერვისები ეხება მძიმე და ქრონიკული დაავადების მქონე პირებს, დიალიზის საჭიროების მქონე პირებს, მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, უსინათლო ადამიანებს, ონკოლოგიური დაავადებების მქონე პირებს.

სამცხე-ჯავახეთში მოქმედმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებმა რეგიონში მყოფი შემდეგი მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ადამიანები გამოკვეთეს: მარტოხელა მოხუცები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ეთნიკური უმცირესობები, ეკომიგრანტები - სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახები/პირები.

ახალციხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სოციალური მოწყვლადობის სარეიტინგო ქულის საფუძველზე გაიცემა დახმარებები ჯანდაცვის პროგრამით, ხოლო სოციალური დახმარებების მხრივ გავლენას ახდენს როგორც სარეიტინგო ქულა, ასევე პირის სტატუსი (მაგალითად შშმ პირის სტატუსი).

> *„ჯანდაცვის მიმართულებით დახმარება მეტად ორიენტირებულია ქულებზე, მაგრამ სხვა მიმართულებით დახმარებები არა მხოლოდ ქულებით, არამედ სხვა მიზეზებითაც განისაზღვრება. თუ შეზღუდული შესაძლებლობების მქონეს სტატუსი აქვს, ფინანსური დახმარება გვაქვს მათთვის ყოველთვიური ან კვარტალური, ამ შემთხვევაში ქულა არაფერ შუაში არ არის." (ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი ახალციხიდან).*

ახალციხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მოწყვლად მდგომარეობაში მყოფ ადამიანებად მიიჩნევენ მათ, ვინც სახელმწიფოს მხრიდან რეგულარულ მხარდაჭერას საჭიროებს. რესპონდენტთა თქმით, მუნიციპალიტეტებში არსებულ ყველა პროგრამას აქვს განსაზღვრული კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც ესა თუ ის პირი ჩაითვლება მოწყვლად მდგომარეობაში მყოფ პირად. მაგალითად, ონკოლოგიური პაციენტების შემთხვევაში მუნიციპალიტეტში არსებული სერვისებით სარგებლობისთვის არ არის საჭირო სოციალური მოწყვლადობის სარეიტინგო ქულა.

ქვემო ქართლის, გარდაბნის მუნიციპალიტეტის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლები მოწყვლად მდგომარეობაში მყოფ ადამიანებად მიიჩნევენ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს, რადგან მათი დიდი ნაწილი არ ფლობს ან არასათანადოდ ფლობს ქართულ ენას, რაც მნიშვნელოვანი გამოწვევაა მათთვის.

> *„დიდი გამოწვევის წინაშე დგანან ეთნიკური უმცირესობები. ის, რომ მათ არ იციან სახელმწიფო ენა, ბევრ პრობლემას უქმნით“ (ახალგაზრდული ცენტრი - გარდაბნის მუნიციპალიტეტი).*

იგივე პოზიცია აქვთ მარნეულის მუნიციპალიტეტში მომუშავე სოციალურ მუშაკებს - ისინი მოწყვლად მდგომარეობაში მყოფ ადამიანებად ეთნიკურ უმცირესობებს განიხილავენ, განსაკუთრებით არასრულწლოვან გოგონებს, რადგან მათ ადრეულ ასაკში დაოჯახებას ავალდებულებენ. ასეთი ვალდებულება, რომელიც ხშირად ძალდატანებით ქორწინებას გულისხმობს, გოგონებს განათლების მიღების შესაძლებლობის გარეშე ტოვებს და ართმევს დამოუკიდებლად ცხოვრების საშუალებას.

> *„მოწყვლად ჯგუფებში აუცილებლად შევიყვანდი ეთნიკურ უმცირესობებს, კონკრეტულად ახალგაზრდა გოგონებს, რომელთაც ადრეულ ასაკში აიძულებენ გათხოვებას. ამის შემდეგ კი ისინი კარგავენ ყველა საშუალებას, რომ ჰქონდეთ საკუთარი ცხოვრება და მიიღონ განათლება“ (სოციალური მუშაკი).*

შემოსავლები

ყველა მუნიციპალიტეტში ჩატარებულ ფოკუს-ჯგუფებში ძირითადად შემოსავლის შემდეგი წყაროები გამოვლინდა:

- **საჯარო სამსახურში დასაქმებულთა ანაზღაურება**, როგორებიცაა: საგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებებში, მუნიციპალურ სამსახურებში, სამართალდამცავ ორგანოებში და ა.შ. მიღებული შრომითი ანაზღაურება;
- **სახელმწიფოსგან მიღებული სოციალური დახმარებები**, როგორებიცაა: ასაკობრივი პენსია, სოციალური დახმარება, შშმ პირის პენსია, ომის ვეტერანის პენსია, მუნიციპალური ერთჯერადი ფულადი დახმარებები და ა.შ.

> *„ჩემი ძირითადი შემოსავალი არის სოციალური დახმარება, 3 ბავშვი მყავს მცირეწლოვანი და ამიტომ ვიღებთ, სხვა ისეთი არაფერი არ მაქვს“ (34 წლის ქალი, სოციალურად დაუცველი, ეთნიკურად ქართველი, ახალციხე)*

რესპონდენტებს შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც კერძო კომპანიებში არიან დასაქმებულები. ბოლნისის, თეთრიწყაროსა და დმანისის მუნიციპალიტეტების მოსახლეობასთან ჩატარებულ ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ შრომისუნარიანი მოსახლეობის ნაწილი კომპანია RMG-შია დასაქმებული, რომლის საქმიანობა სამთო-მოპოვებაა აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში. შესაბამისად, ოჯახების ერთი ნაწილისთვის სწორედ ამ კომპანიაში დასაქმების შედეგად მიღებული ხელფასია ძირითადი შემოსავალი.

რესპონდენტების მცირე ნაწილისთვის შემოსავლის წყარო საზღვარგარეთიდან ოჯახის წევრის ფულადი გზავნილებია. ემიგრანტების გამოგზავნილ ფულად დახმარებაზე განსაკუთრებული ყურადღება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა გაამახვილეს.

სოფლად მცხოვრები მოსახლეობა შემოსავალს სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზების შედეგად იღებს. დმანისელებმა აღნიშნეს, რომ მათ მუნიციპალიტეტში განსაკუთრებით მეცხოველეობაა განვითარებული. გარდაბნისა და მარნეულის მუნიციპალიტეტების დიდ ქალაქებთან - თბილისსა და რუსთავთან - სიახლოვე მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციას. ნინოწმინდის მოსახლეობა ძირითადად კარტოფილის მოყვანითა და მოსავლის რეალიზაციით მიღებული შემოსავლით ირჩენს თავს. იმის გათვალისწინებით, რომ სოფლის მეურნეობისგან მიღებული შემოსავალი სეზონურია, სასოფლო- სამეურნეო საქმიანობაში ჩართული ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ცვალებადია.

ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ადამიანები ძირითადად სახელმწიფოს მიერ დაწესებული სოციალური დახმარების იმედად არიან. ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე სოციალურად დაუცველებმა აღნიშნეს, რომ შესაძლებლობის შემთხვევაში ერთჯერადი საქმიანობით არაფორმალურად საქმდებიან, რადგან ოფიციალურად დასაქმების შემთხვევაში სოციალურად დაუცველის სტატუსს დაკარგავენ და მცირე, მაგრამ სტაბილური შემოსავლის გარეშე დარჩებიან. სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე პირები ძირითადად შემდეგ პოზიციებზე საქმდებიან: დამლაგებელი, მშენებელი, მტვირთავი, მძღოლი და ა.შ. მათი შეფასებით, ისეთი სამუშაოს პოვნა, რომელიც სოციალურად დაუცველის სტატუსზე უარს ათქმევინებთ, ვერ წარმოუდგენიათ. როგორც წესი, მოწყვლად მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს ადეკვატური ანაზღაურებით სამსახურის საპოვნელად შესაბამისი ცოდნა, კვალიფიკაცია და კავშირები არ აქვთ.

განსაკუთრებით რთული სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა აქვთ ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომლებიც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში სოფელ კოდაში კომპაქტურად დასახლდნენ. მათი შეფასებით, ცხინვალის რეგიონში ცხოვრებისას უმეტესობას ჰქონდა პროფესია და სამსახური, თუმცა სოფელ კოდაში დასახლების შემდეგ მსგავსი სამუშაოს პოვნა ვერ შეძლეს.

> *„ცხინვალში დასაქმებული იყო უმეტესობა. მაგალითად, სკოლებში იყვნენ დასაქმებულები, სპორტსკოლებში და ასე შემდეგ. იქიდან რომ წამოვედით, აქ კი არის სკოლები, მაგრამ შევსებულია, ამიტომ იქ დასაქმებულებიდან აქ ბევრი დარჩა უმუშევარი“ (63 წლის ქალი, დასაქმებული, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი)*

გასათვალისწინებელია ისიც, რომ იძულებით გადაადგილებულ პირებს არ აქვთ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოყვანა, თუნდაც პირადი მოხმარებისთვის, შეძლონ.

რესპონდენტთა ოჯახების შემოსავლები (შესაბამისად ეკონომიკური მდგომარეობა) შეფასდა რაოდენობრივი გამოკითხვის ფარგლებშიც.

რესპონდენტთა ეკონომიკური მდგომარეობა ორი მიდგომით შეფასდა - შინაარსობრივად (ვერბალურად) და რაოდენობრივად.

შინაარსობრივ შეფასებაში სამი დომინანტური კატეგორია გამოიყო, რომელთა მაჩვენებელი საშუალოდ 28%-ს უტოლდება:

- საკვებზე გვყოფნის ფული - 28.6%;
- ჩვენ საკმარისი ფული გვაქვს საკვებისთვის, მაგრამ ტანსაცმლის და ფეხსაცმლის საყიდლად ფულის დაზოგვა ან სესხება გვიწევს - 29.8%;
- ჩვენ საკმარისი ფული გვაქვს საკვებისთვის, ყოველდღიური ტანსაცმლისა და ფეხსაცმლისთვის, მაგრამ იმისთვის, რომ შევიძინოთ კარგი ტანსაცმელი, მობილური ტელეფონი, მტვერსასრუტი და სხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკა, ფულის დაზოგვა ან სესხება გვიწევს - 27.1% (იხ. ცხრილი #2).

ცხრილი #2

ახლა გაგაცნობთ რამდენიმე დებულებას. გთხოვთ, მითხრათ, რომელი ფრაზა აღწერს ყველაზე კარგად თქვენს ოჯახს? (N=1200)	
საკვებზე გვყოფნის ფული	28.6%
ჩვენ საკმარისი ფული გვაქვს საკვებისთვის, მაგრამ ტანსაცმლის და ფეხსაცმლის საყიდლად ფულის დაზოგვა ან სესხება გვიწევს	29.8%
ჩვენ საკმარისი ფული გვაქვს საკვებისთვის, ყოველდღიური ტანსაცმლისა და ფეხსაცმლისთვის, მაგრამ იმისთვის, რომ შევიძინოთ კარგი ტანსაცმელი, მობილური ტელეფონი, მტვერსასრუტი და სხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკა, ფულის დაზოგვა ან სესხება გვიწევს	27.1%
ჩვენ საკმარისი ფული გვაქვს საკვებისთვის, ყოველდღიური ტანსაცმლისა და ფეხსაცმლისთვის მაგრამ იმისთვის, რომ შევიძინოთ მანქანა ან ბინა, ფულის დაზოგვა ან სესხება გვიწევს	11.3%
ჩვენ შეგვიძლია ნებისმიერ მომენტში შევიძინოთ ყველაფერი, რაც გვსურს	1.1%
უარი პასუხზე / მიჭირს პასუხის გაცემა	2.2%

თუკი სამცხე-ჯავახეთში გამოკითხულთა მესამედზე მეტი (37.7%) აღნიშნავს, რომ მის ოჯახს ფული საკვებზე ჰყოფნის, მსგავსი მაჩვენებელის პოზიციას ქვემო ქართლში მხოლოდ 19.5% ავლენს. ქვემო ქართლში გამოკითხულთა მესამედზე მეტი მიუთითებს, საკმარისი ფული აქვთ საკვებისთვის, ყოველდღიური ტანსაცმლისა და ფეხსაცმლისთვის, მაგრამ კარგი ტანსაცმლის, მობილური ტელეფონის, მტვერსასრუტის და სხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკის შესაძენად ფულის დაზოგვა ან სესხება უწევთ. სამცხე-ჯავახეთში გამოკითხულთა 31.2% მიუთითებს, რომ ოჯახს საკვებისთვის საკმარისი ფული აქვს, თუმცა ტანსაცმლის და ფეხსაცმლის საყიდლად თანხის დაზოგვა ან სესხება უწევთ. მსგავს პოზიციას ქვემო ქართლში გამოკითხულთა 28.4% იზიარებს (იხ. ცხრილი #3).

ცხრილი #3

ახლა გაგაცნობთ რამდენიმე დებულებას. გთხოვთ, მითხრათ რომელი ფრაზა აღწერს ყველაზე კარგად თქვენს ოჯახს? (რეგიონის ჭრილი)	სამცხე-ჯავახეთი (N=600)	ქვემო ქართლი (N=600)
საკვებზე გვყოფნის ფული	37.7%	19.5%
ჩვენ საკმარისი ფული გვაქვს საკვებისთვის, მაგრამ ტანსაცმლის და ფეხსაცმლის საყიდლად ფულის დაზოგვა ან სესხება გვიწევს	31.2%	28.4%
ჩვენ საკმარისი ფული გვაქვს საკვებისთვის, ყოველდღიური ტანსაცმლისა და ფეხსაცმლისთვის მაგრამ იმისთვის, რომ შევიძინოთ კარგი ტანსაცმელი, მობილური ტელეფონი, მტვერსასრუტი და სხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკა ფულის დაზოგვა ან სესხება გვიწევს	19.3%	34.9%
ჩვენ საკმარისი ფული გვაქვს საკვებისთვის, ყოველდღიური ტანსაცმლისა და ფეხსაცმლისთვის, მაგრამ იმისთვის, რომ შევიძინოთ მანქანა ან ბინა, ფულის დაზოგვა ან სესხება გვიწევს	10.2%	12.3%
ჩვენ შეგვიძლია ნებისმიერ მომენტში შევიძინოთ ყველაფერი, რაც გვსურს	0.8%	1.4%
უარი პასუხზე / მიჭირს პასუხის გაცემა	0.8%	3.5%

რესპონდენტთა 29.9%-ს გაუჭირდა ოჯახის **თვიური შემოსავლის** განსაზღვრა ან უარი თქვა კონკრეტული თანხის დასახელებაზე. ოჯახების თვიური შემოსავლების შესახებ რესპონდენტთა მიერ მოწოდებული კონკრეტული ინფორმაციის საფუძველზე, განისაზღვრა შინამეურნეობების შემოსავლების საშუალო (Mean) და მედიანური (Median) მაჩვენებლები: ოჯახების საშუალო თვიურ შემოსავლად 983 ლარი განისაზღვრა (სამცხე-ჯავახეთი - 1070 ლარი, ქვემო ქართლი - 893 ლარი), ხოლო მედიანურ მნიშვნელობად - 700 ლარი (სამცხე-ჯავახეთი - 805 ლარი, ქვემო ქართლი - 600 ლარი).

რაოდენობრივი კვლევის მონაცემები აჩვენებს, რომ სამიზნე რეგიონების მოსახლეობა, როგორც სუბიექტური აღქმის, ისე ობიექტური მაჩვენებლების (ოჯახების შემოსავლების) მიხედვით, ეკონომიკურად მოწყვლად მდგომარეობაში იმყოფება. სამცხე-ჯავახეთში გამოკითხულთა უმრავლესობა (70%-მდე), ხოლო ქვემო ქართლში ყოველი მეორე გამოკითხული საკუთარი ოჯახების შემოსავლებს მხოლოდ საბაზისო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის (საკვები, ტანსაცმელი) სამყოფად მიიჩნევს. რაც შეეხება კონკრეტულ შემოსავლებს, აქ ორი ფაქტორი უნდა გავითვალისწინოთ: ოჯახის წევრთა საშუალო რაოდენობა და საარსებო მინიმუმი. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში ოჯახების საშუალო რაოდენობა დაახლოებით 4 წევრს შეადგენს,[7] ხოლო საარსებო მინიმუმი ამ რაოდენობის ოჯახებისთვის თვეში დაახლოებით 340 ლარია.[8] თუ ამ ფონზე ოჯახების საშუალო შემოსავლებს (MEAN) შევაფასებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ სამიზნე რეგიონების მოსახლეობის უმრავლესობის შემოსავლები საარსებო მინიმუმს აჭარბებს, თუმცა ვერ აღწევს ეკონომიკური მდგომარეობის საშუალო დონეს.[9]

7 ოჯახების საშუალო ზომა რეგიონების მიხედვით http://census.ge/ge/results/census1/households?fbclid=IwAR3_2TR47NqPO9PX2hp4QncMzhACuPCk_4wFw3p6YPvotFgXDsR-0pZGFx8

8 ოჯახების საარსებო მინიმუმი ოჯახების ზომის მიხედვით: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/49/saarsebo-minimumi

9 ეკონომიკური მდგომაროების საშუალო დონის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის ოფიციალური ინფორმაცია საშუალო თვიური ხელფასის შესახებ, რომელიც, 2022 წლის მონაცემებით, თვეში შეადგენს დაახლოებით 1450 ლარს. იხ. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi

ხარჯები

ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე რესპონდენტების ხარჯები ერთმანეთის მსგავსია. ოჯახების არსებული შემოსავალი ძირითადად პირველადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად იხარჯება, როგორებიცაა:

- საკვები პროდუქტი, სურსათი;
- კომუნალური გადასახადები;
- მედიკამენტები;
- პირველადი საჭიროების ნივთები (ტანსაცმელი, ტექნიკა და ა.შ);
- საბანკო სესხის/იპოთეკის გადასახადი;
- უმაღლესი სასწავლებლის სწავლის გადასახადი.

> *„შუქის გადასახადი ამ თვეში მომივიდა 110 ლარი. იმიტომ, რომ შეშა არ მქონდა და ჩავრთე ელექტროქურა. ახლა ვფიქრობ, როგორ უნდა გადავიხადო ეს 110 ლარი“ (32 წლის ქალი, მარტოხელა დედა, ეთნიკურად სომეხი, წალკა) ;*

> *„ჩემი უფროსი ქალიშვილი სწავლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფასიან ფაკულტეტზე. ეს არის დიდი ხარჯი ჩვენთვის. მეორე ქალიშვილი წელს ამთავრებს სკოლას და ვემზადებით, რომ მანაც ჩააბაროს, ამით კიდევ უფრო დაგვემატება ხარჯი“ (52 წლის ქალი, დიასახლისი, ეთნიკურად სომეხი, ნინოწმინდა);*

> *„მე ,მაგალითად, ხელფასზე ვარ დამოკიდებული, რომელიც უკვე აღარ გვყოფნის. მარკეტში რომ შედიხარ, ფაქტობრივად 100%-ით კი არა, 150%-ით არის გაზრდილი ფასები“ (ქალი 44 წლის, დასაქმებული, 4 შვილის დედა, ეთნიკურად ქართველი, დმანისი) ;*

> *„მაქვს დიაბეტი და ძირითადად წამლებზე მეხარჯება ფული, შემოსავალი კი არ მაქვს, რადგან ვარ პენსიონერი და ყოველდღიური ცხოვრება რთულია, საჭმელი ძალიან ძვირია“ (63 წლის კაცი, ომის ვეტერანი, ეთნიკურად აზერბაიჯანელი, მარნეული).*

სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის, რომელსაც სოფლის მეურნეობის პროდუქტი მოჰყავს, მიწების დასამუშავებლად საჭირო რესურსების შესაძენად დამატებითი ხარჯები აქვთ, რაც მნიშვნელოვანი გამოწვევაა ფერმერებისთვის. რესპონდენტები განსაკუთრებით საწვავის ფასის ზრდას ასახელებენ, რის გამოც საგაზაფხულო სამუშაოებს სათანადოდ ვერ ახერხებენ.

> *„თივა ძალიან ძვირი ღირს, ასევე საწვავი ძალიან გაძვირდა, ახლა სათესებისთვის გვჭირდება, რომ ტრაქტორმა იმუშაოს. სახნავი პერიოდი დაიწყო. ეს არის ჩვენი ყველაზე დიდი ხარჯი“ (62 წლის კაცი, თვითდასაქმებული, ეთნიკურად სომეხი, წალკა).*

არსებული გამოწვევები

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ საუბრისას აღნიშნეს, რომ მოსახლეობის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა უმუშევრობაა. უმუშევრობის საკითხი განსაკუთრებით მწვავედ ახალგაზრდებში დგას, რადგან მუნიციპალიტეტებში არსებული უპერსპექტივო გარემო შეუძლებელს ხდის მათ განვითარებასა და რეალიზაციას. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ შრომისუნარიანი მოსახლეობა, განსაკუთრებით ახალგაზრდები, დასაქმების მიზნით საზღვარგარეთ მიდიან. ეთნიკური სომხები, ძირითადად, რუსეთის ფედერაციაში მიემგზავრებიან, სადაც დასაქმებაში ეკონომიკურად ძლიერი სომხური დიასპორა ეხმარება.

ეთნიკურად ქართველი ახალგაზრდები თბილისში ამჯობინებენ მიგრაციას. ის ახალგაზრდები, რომლებიც უმაღლეს განათლებას იღებენ, თბილისში ცდილობენ თავის დამკვიდრებას. რესპონდენტთა ის ნაწილი, რომელიც დასაქმებულია, დაბალ ანაზღაურებას უჩივის, რადგან არსებული შრომითი ანაზღაურებით მინიმალური საჭიროებების დაკმაყოფილება შეუძლებელია.

> *„ჩემმა დამ, მაგალითად, ფსიქოლოგია ისწავლა და აქ, სკოლაში, შესთავაზეს სამსახური და იმდენად დაბალი ხელფასი იყო, რომ გაეცინა. ამ ხელფასზე მე აქ არ დავბრუნდებიო. ურჩევნია, სხვა სფეროში იმუშაოს და არა თავისი პროფესიით“ (ქალი 35 წლის, დასაქმებული, ეთნიკურად ქართველი, ახალციხე).*

ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე ეთნიკური უმცირესობების ერთი ნაწილის შეფასებით, ქართველებთან შედარებით მათ დასაქმების ნაკლები შესაძლებლობები აქვთ. ამის მიზეზად მათი სოციალური ინტეგრაციის დაბალ ხარისხს ასახელებენ, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია ქართული ენის ცუდად ცოდნით ან არცოდნით. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ფოკუს ჯგუფის მონაწილეებს განსაკუთრებით ბოლო პერიოდში ძალზე აწუხებთ, პირველადი მოხმარების პროდუქტებზე ფასების ზრდაა. არსებული შემოსავლებით ოჯახების აუცილებელი სურსათითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფას ვეღარ ახერხებენ.

> *„ყველაფერი გაძვირებულია, თითქმის არაფერში აღარ გვყოფნის ჩვენი შემოსავალი, რაც 5 წლის წინ იყო ხელფასი, იგივეა ახლაც, ხოლო ფასები გასამმაგებული“ (25 წლის ქალი, სტუდენტი, ეთნიკურად ქართველი, ახალციხე).*

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა გაზრდილი კომუნალური გადასახადებია, რაც დამატებითი ფინანსური ტვირთია მოსახლეობისთვის.

ქვემო ქართლის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, მკვიდრ მოსახლეობას (და არა მხოლოდ მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი პირები) ორი ძირითადი პრობლემა აწუხებს - უმუშევრობა და ჯანდაცვის სერვისების დაფინანსების სიმწირე.

ჩაღრმავებული ინტერვიუების ფარგლებში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენელთა ნაწილის შეფასებით, მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ადამიანებისთვის გამიზნული სოციალური სერვისები არასაკმარისად ეფექტურია, რაც მნიშვნელოვანი გამოწვევაა. გარდა ამისა, პრობლემურ საკითხად რჩება სოციალური მუშაკების არასაკმარისი რაოდენობა.

„სომხურ მოსახლეობას სჭირდება შინ მოვლა, ფიზიკური გადაადგილების პრობლემა აქვთ, ეს პროგრამები სუსტია, პროფესიონალი სოციალური მუშაკები გვჭირდება, რომლებიც სწორად მიიტანენ ინფორმაციას და გააძლიერებენ გაჭირვებულ ადამიანებს“ (ასოციაცია „ტოლერანტობა“ -სამცხე-ჯავახეთის რეგიონი).

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ინტერვიუების ფარგლებში, ჯანდაცვის სერვისების მიმართულებით აღნიშნეს, რომ ამ სფეროს ყველაზე დიდი ბიუჯეტი აქვს. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ბიუჯეტის ეს მოცულობა საკმარისი არ არის, რადგან ვერ ხერხდება სხვადასხვა სამედიცინო საჭიროების მქონე პირების ოპერაციების სრულყოფილად დაფინანსება და შემდგომში მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

„ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, მოსახლეობისთვის პრიორიტეტულია ჯანდაცვა. ჯანდაცვის კუთხით გვაქვს ყველაზე მეტი მომართვიანობა და ბიუჯეტიდან ყველაზე დიდი თანხა ამ მიმართულებით იხარჯება, თუმცა საკმარისი არ არის“ (ბოლნისის მერიის წარმომადგენელი).

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, ჯანდაცვის მიმართულებით მომსახურებების გაუმჯობესება რამდენიმე მიმართულებით არის საჭირო: ძვირადღირებული ოპერაციების დაფინანსების წილის გაზრდა, ჟანგბადის აპარატების დამატება, მაგნიტორეზონანსული კვლევის დაფინანსება მუნიციპალური ბიუჯეტით.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ადგილობრივი მოსახლეობისთვის (გარდა მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი პირებისა) ქართული ენის არცოდნა ან არასათანადოდ ცოდნა აქტუალური პრობლემაა. რესპონდენტთა თქმით, ადგილობრივებს აქვთ ქართული ენის შესწავლის სურვილი, თუმცა ამას ვერ ახერხებენ.

„ადგილობრივებს სურვილი აქვთ ქართულის სწავლის. მათ აქ ცხოვრება მოსწონთ. ყველა საჭირო პირობა აქვთ, რომ კარგად იცხოვრონ. დამკვიდრებისა და ცხოვრებისთვის სჭირდებათ ქართული ენა“ (ქვემო ქართლის ეთნოშორისი ერთობა - ბოლნისი).

ქართული ენის არცოდნა, როგორც პრობლემა, მარნეულში მომუშავე სოციალურმა მუშაკებმაც გამოკვეთეს. რესპონდენტების თქმით, ეთნიკური უმცირესობები ქართულ საზოგადოებაში სუსტად არიან ინტეგრირებული. მარნეულში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მნიშვნელოვანი ნაწილი თურქულ და აზერბაიჯანულ წყაროებს იყენებენ ინფორმაციის მისაღებად, რაც მათ გაუცხოებას საქართველოში კიდევ უფრო მეტად აღრმავებს.

„ინტეგრაციას ვერ ახერხებენ ქართულ საზოგადოებაში, ენობრივი ბარიერიდან გამომდინარე. მე მეზობლები მყავს ეთნიკურად აზერბაიჯანელი და ისინი ცხოვრობენ საქართველოში ფიზიკურად, მაგრამ აზერბაიჯანული და თურქული საზოგადოების ცხოვრების შესახებ მეტი ინფორმაცია აქვთ, ვიდრე ქართულის (სოციალური მუშაკი).

ქვემო ქართლის სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გამოკვეთეს დასაქმების საკითხი, როგორც გამოწვევა ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის - ახალგაზრდები არ არიან რეალიზებული. ამთავრებენ უმაღლეს სასწავლებლებს, მაგრამ ვერ პოულობენ სამსახურს“ (ქვემო ქართლის ეთნოსს შორისი ერთობის ორგანიზაცია).

დასაქმების საკითხი, როგორც მწვავე პრობლემა, გამოკვეთეს ბოლნისის მუნიციპალიტეტში მომუშავე სოციალურმა მუშაკებმაც. უმუშევრობა სერიოზულ პრობლემას უქმნის ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილს საბაზისო მოთხოვნილების (მაგალითად კვების) დაკმაყოფილებაში.

> *„დასაქმებაა დიდი პრობლემა, ადამიანებს არ აქვთ შემოსავალი. მოსახლეობის ნაწილი ცხოვრობს მხოლოდ პურსა და წვნიანზე. ხალხს არ აქვს საკვები, ადამიანები შიმშილობენ ჩვენ გარშემო“ (სოციალური მუშაკი).*

ბოლნისის მერიის წარმომადგენლის განცხადებით, მოსახლეობას ურჩევნია ფულადი დახმარება მიიღოს, ვიდრე უშუალოდ ესა თუ ის სერვისი. რესპონდენტის თქმით, განცხადებების ნახევარზე მეტი ფულადი დახმარების მიმართულებით შემოდის მერიაში.

> *„რაც შეეხება მოსახლეობას, ძირითადი მოთხოვნა ფულზეა. სერვისის მიმართვიანობის კუთხით ძალიან პასიურები არიან, არ მოსწონთ. ყველაფერი მატერიალურად უნდათ. 15 000 განცხადებაზე მეტი შემოდის წელიწადში და აქედან 7-8 ათასი არის მატერიალური დახმარების მოთხოვნა” (ბოლნისის მერიის წარმომადგენელი).*

რაოდენობრივი გამოკითხვის ფარგლებში შეფასდა:

- ატარებენ თუ არა სამიზნე რეგიონებში გამოკითხული ოჯახები მოწყვლადი მდგომარეობის აღმწერ რომელიმე სტატუსს;
- რესპონდენტთა დასაქმების მდგომარეობა.

გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ რესპონდენტთა 11.9%-ის ოჯახს სოციალურად დაუცველის სტატუსი აქვს (სამცხე-ჯავახეთი - 6.1%, ქვემო ქართლი - 17.7%), ხოლო 1.8%-ს - იძულებით გადაადგილებული პირის (სამცხე-ჯავახეთი - 0.5%, ქვემო ქართლი - 3.1%). როგორც ჩანს, უმრავლეს შემთხვევაში ოჯახს არცერთი სტატუსი არ აქვს მინიჭებული (85.5%). იშვიათია შშმ პირის სტატუსის ქონაც (6.5%); 93.5% მსგავს სტატუსს არ ფლობს (სამცხე-ჯავახეთი - 92.8%, ქვემო ქართლი - 94.2%).

კვლევაში მონაწილე პირთა ძირითადი საქმიანობის განსაზღვრისას შემდეგი დომინანტური კატეგორიები გამოიყო:

- დაქირავებული მუშაკი საჯარო სექტორში - 16.8%
- დაქირავებული მუშაკი კერძო სექტორში - 9%
- თვითდასაქმებული (მეწარმე, მეურნე, პროფესიული საქმიანობით დაკავებული პირი) – 11.5%
- პენსიონერი - 17.9%
- დიასახლისი - 18.6%
- ამჟამად უმუშევარი - 17.2% (იხ. დიაგრამა #1).

დიაგრამა #1



ქვემო ქართლში გამოკითხულთა შორის დასაქმების სტატუსის მიხედვით გამოირჩევიან დიასახლისები (22.7%), ამჟამად (გამოკითხვის პერიოდში) უმუშევრები (18.8%), პენსიონე-რები (17.5%) და საჯარო სექტორში დაქირავებით დასაქმებულები (15.1%). სამცხე-ჯავახეთში გამოკითხულთა შორის თითქმის თანაბარი წილით არიან წარმოდგენილნი პენსიონერები (18.5%) და საჯარო სექტორში მომუშავე რესპონდენტები (18.5%). ამ რეგიონში გამოკითხულთა 15.6% გამოკითხვის პერიოდში უმუშევარი იყო (იხ. ცხრილი #1).

ცხრილი #1

რესპონდენტის დასაქმების სტატუსი (იგულისხმება ძირითადი საქმიანობა) (რეგიონის ჭრილი)	სამცხე-ჯავახეთი (N=600)	ქვემო ქართლი (N=600)
დაქირავებული მუშაკი საჯარო სექტორში	18.5%	15.1%
დაქირავებული მუშაკი კერძო სექტორში	12.7%	5.4%
თვითდასაქმებული (სამუშაოს მიმცემი)	3.4%	1.9%
თვითდასაქმებული (მეწარმე, მეურნე, პროფესიული საქმიანობით დაკავებული პირი)	10.8%	12.2%
პენსიონერი	18.4%	17.5%
დეკრეტულ შვებულებაში მყოფი	0.1%	-
დიასახლისი	14.6%	22.7%
სტუდენტი	3.9%	1.6%
ამჟამად უმუშევარი	15.6%	18.8%

რესპონდენტის დასაქმების სტატუსი (იგულისხმება ძირითადი საქმიანობა) (რეგიონის ჭრილი)	სამცხე-ჯავახეთი (N=600)	ქვემო ქართლი (N=600)
არასდროს უმუშავია	0.6%	1.9%
სხვა	1.4%	-
უარი პასუხზე	-	3%

ამრიგად, როგორც გამოკითხვის მონაცემები აჩვენებს, სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობაში დასაქმებულთა წილი (45.4%) მნიშვნელოვნად აჭარბებს ქვემო ქართლის რეგიონში (34.6%) დასაქმებულთა წილს (თვითდასაქმებულების ჩათვლით). შესაბამისად, უმუშევართა წილი უფრო მაღალია ქვემო ქართლში (20.7%), ვიდრე სამცხე-ჯავახეთში (16.2%). უნდა აღინიშნოს, რომ უმუშევრობის ეს მაჩვენებლები ახლოსაა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2021 წლის მონაცემებთან (ქვემო ქართლი - 25.2%; სამცხე-ჯავახეთი - 14.9%).[10]

კოვიდ-19-ის გავლენა მოსახლეობაზე და დახმარება ადგილობრივი ხელისუფლებისგან

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებს შორის აღმოჩნდნენ ისეთი რესპონდენტები, რომლებმაც კოვიდ--19-ის ინფექცია საშუალო სიმძიმით ან რთულად გადაიტანეს. მათ შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომელთა ნათესავები და/ან ახლობლები კოვიდ-19-მა იმსხვერპლა. პანდემიამ გამოიწვია მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება. კერძოდ, სამუშაო ადგილების დაკარგვა. პანდემიამ განსაკუთრებით უარყოფითი გავლენა იქონია მოსახლეობის იმ ნაწილზე, რომელიც მომსახურების სფეროში იყო დასაქმებული. რთული პირობები შეექმნათ თვითდასაქმებულებს, რომლებსაც მოუწიათ საქმიანობის შეჩერება, რამაც მათი გაღარიბება გამოიწვია. როგორც ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, კოვიდ-19-ის პანდემიამ ყველა სფეროზე იქონია უარყოფითი გავლენა, მათ შორის - სოფლის მეურნეობასა (პროდუქციის რეალიზაციის პრობლემა შეიქმნა) და განათლებაზე. დისტანციური სწავლება მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის ხელმისაწვდომი არ იყო, რადგან არ ჰქონდათ: შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა (კომპიუტერი, ანდროიდი ტელეფონი და ა.შ.), ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა (ცუდი კავშირი, ინტერნეტის სიძვირე) და სივრცე, საიდანაც მოსწავლეები და სტუდენტები ლექციაზე/გაკვეთილზე შეუფერხებლად დასწრებას შეძლებდნენ (ამ პრობლემამ განსაკუთრებით მრავალწევრიან ოჯახებში იჩინა თავი). ამ ფაქტორების გათვალისწინებით, კოვიდ-19-ის გამო შექმნილმა ვითარებამ მთლიანობაში უარყოფითი გავლენა იქონია განათლების ხარისხზე.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილე მოწყვლად მდგომარეობაში მყოფმა რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ პანდემიის დროს ადგილობრივი ხელისუფლებისგან ერთჯერად დახმარებებს იღებდნენ, როგორებიცაა: სოციალური დახმარება ფულადი სახით და ეკონომიკური დახმარება, საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფა ადგილზე მიწოდებით. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებმა დაასახელეს საერთაშორისო ორგანიზაცია „წითელი ჯვარი“, რომელიც მოწყვლად მდგომარეობაში მყოფ

10 უმუშევრობის მაჩვენებლები https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba

ადამიანებს პროდუქტებსა და ჰიგიენის საშუალებებს აწვდიდა. აღსანიშნავია, რომ დახმარების პროცესში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც აქტიურად იყვნენ ჩართული, რაც ძირითადად ლოჯისტიკაში (დაგეგმვა-მიწოდება) დახმარებას ითვალისწინებდა. მოწყვლად მდგომარეობაში მყოფმა პირებმა, განსაკუთრებით ხანდაზმულებმა, დახმარება კერძო სექტორიდანაც მიიღეს, რაც სურსათით უზრუნველყოფაში გამოიხატებოდა. კვლევაში მონაწილე მოწყვლად მდგომარეობაში მყოფმა ადამიანებმა კოვიდ-19-ის პანდემიის დროს ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან გამოჩენილი ყურადღებით მთლიანობაში კმაყოფილი არიან, თუმცა რესპონდენტთა ერთმა ნაწილმა აღნიშნა, რომ იმაზე მეტი საჭიროება შეექმნათ პანდემიის დროს, ვიდრე ამას ხელისუფლების მხრიდან გაწეული დახმარება უზრუნველყოფდა.

რაც შეეხება ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან პანდემიის დროს მხარდაჭერას, სოციალურად დაუცველი ოჯახები 100-ლარიან ფულად დახმარებას 6 თვის განმავლობაში იღებდნენ. შშმ პირებმა აღნიშნეს, რომ მათი პენსია გაიზარდა. რესპონდენტებისთვის მნიშვნელოვანი შეღავათი იყო პანდემიის დროს კომუნალური გადასახადების თანადაფინანსება.

თავი 2. განათლება

სკოლამდელი/ზოგადი განათლება

კვლევაში მონაწილე პირთა აბსოლუტური უმრავლესობა (97.5%) მიუთითებს, რომ მათ დასახლებაში საჯარო სკოლა ფუნქციონირებს. საჯარო საბავშვო ბაღის ფუნქციონირებაზე მიუთითებს შედარებით ნაკლები რაოდენობა, თუმცა უმრავლესობა (73.7%) საგულისხმოა, რომ მეოთხედზე მეტი (26.3%) მათ დასახლებაში საჯარო საბავშვო ბაღის არარსებობას უსვამს ხაზს. მიუხედავად იმისა, რომ დასახლებაში, ძირითადად, არის სკოლამდელი/ზოგადი განათლების დაწესებულებები, რესპონდენტთა უმრავლესობა არცერთი მათგანით არ სარგებლობს: საჯარო საბავშვო ბაღი - 83.9%, საჯარო სკოლა - 57.6%[11] (იხ. დიაგრამა #2).

დიაგრამა #2



ზოგადი ტენდენცია შენარჩუნებულია საკითხის ცალკეული რეგიონის ჭრილში[12] გაანალიზებისას როგორც სამცხე-ჯავახეთში, ისე ქვემო ქართლში. გამოკითხულთა უმრავლესობა მიუთითებს, რომ საჯარო საბავშვო ბაღი და საჯარო სკოლა ფუნქციონირებს, თუმცა დაბალია აღნიშნული მომსახურებით, განსაკუთრებით საჯარო საბავშვო ბაღით, მოსარგებლეთა წილი: სამცხე-ჯავახეთი 18%, ქვემო ქართლი - 14.2%. აღსანიშნავია ისიც, რომ ქვემო ქართლში საჯარო ბაღის არსებობაზე გაცილებით ნაკლები რაოდენობა (63.5%) მიუთითებს, ვიდრე სამცხე-ჯავახეთში (83.7%) (იხ. ცხრილი #4).

11 აღნიშნული მაჩვენებლები მიუთითებს, რომ კვლევაში მონაწილე პირთა უმრავლესობას არ ჰყავს სკოლის ან საბავშვო ბაღის ასაკის ბავშვი ოჯახში;

12 ანალიტიკურ ანგარიშში რეგიონულ ჭრილში განხილვისას აღწერილი სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის მაჩვენებლები მოიცავს მხოლოდ კვლევის სამიზნე მუნიციპალიტეტებს, თუმცა მოხსენიებულია განზოგადებული ტერმინით „სამცხე-ჯავახეთი“ და „ქვემო ქართლი“. კვლევის სამიზნე მუნიციპალიტეტებია: სამცხე-ჯავახეთი - ახალციხე, ნინოწმინდა; ქვემო ქართლი - მარნეული, დმანისი, ბოლნისი, წალკა, თეთრიწყარო, გარდაბანი.

ცხრილი #4

(რეგიონის ჭრილი)		სამცხე-ჯავახეთი (N=600)	ქვემო ქართლი (N=600)
ფუნქციონირებს თუ არა თქვენს დასახლებაში...			
საჯარო საბავშვო ბაღი	**დიახ**	83.7%	63.5%
	არა	16.3%	36.5%
საჯარო სკოლა	დიახ	98.1%	97%
	არა	1.9%	3%
სარგებლობთ თუ არა...			
საჯარო საბავშვო ბაღის მომსახურებით	დიახ	18%	14.2%
	არა	82%	85.8%
საჯარო სკოლის მომსახუ-რებით	დიახ	40.9%	44%
	არა	59.1%	56%

იმ რესპონდენტებმა, რომლებიც საჯარო საბავშვო ბაღის ან სკოლის მომსახურებით სარგებლობენ, შეაფასეს, თუ რამდენად კმაყოფილი არიან აღნიშნული საგანმანათლებლო ინსტიტუტების სხვადასხვა ასპექტით. შეფასებისთვის გამოყენებულ იქნა 5-ქულიანი სკალა, რომელზეც ქულა 1 აღნიშნავდა კატეგორიას „ძალიან უკმაყოფილო“, ხოლო ქულა 5 - კატეგორიას „ძალიან კმაყოფილი“. რესპონდენტები პოზიტიურად აფასებენ როგორც საჯარო სკოლის, ისე საბავშვო ბაღის მომსახურებას - უმრავლესობა ქვემოთ განხილული ასპექტებით კმაყოფილია (ქულები 4 და 5):

- ხელმისაწვდომობა: საჯარო საბავშვო ბაღი - 78.9%, საჯარო სკოლა - 73.9%;
- ინფრასტრუქტურა: საჯარო საბავშვო ბაღი - 82.9%, საჯარო სკოლა - 66.8%;
- ხელმძღვანელობა: საჯარო საბავშვო ბაღი - 83.9%, საჯარო სკოლა - 75.1%;
- რეგისტრაციის პროცედურები (სიმარტივე): საჯარო საბავშვო ბაღი - 83.1%, საჯარო სკოლა - 78.4%;
- პედაგოგების კვალიფიკაცია: საჯარო საბავშვო ბაღი - 84.6%, საჯარო სკოლა - 74.1%;
- უსაფრთხოება: საჯარო საბავშვო ბაღი - 82.9%, საჯარო სკოლა - 79.5%.

რაც შეეხება კვების კომპონენტს, საბავშვო ბაღის მომსახურებით მოსარგებლეთა 70.8% კმაყოფილია. იმის გამო, რომ ზოგიერთ საჯარო სკოლას შესაძლოა არ ჰქონდეს საკვები სივრცე, რესპონდენტთა დიდმა ნაწილმა (42.1%) უარი განაცხადა პასუხზე, ხოლო მეოთხედზე მეტი (26.8%) კვებით უკმაყოფილოა (იხ. ცხრილი #5).

ცხრილი #5

რამდენად კმაყოფილი ხართ შემდეგი ასპექტებით?	ძალიან უკმაყოფილო	უკმაყოფილო	თანაბრად კმაყოფილი და უკმაყოფილო	კმაყოფილი	ძალიან კმაყოფილი	უარი პასუხზე
საჯარო საბავშვო ბაღი (N=193)						
ხელმისაწვდომობა	3.5%	5.1%	12.1%	49.3%	29.6%	0.4%
ინფრასტრუქტურა	1%	1.4%	14.2%	59.6%	23.3%	0.4%
ხელმძღვანელობა	0.9%	2.7%	12.1%	57.8%	26.1%	0.4%
რეგისტრაციის პროცედურები (სიმარტივე)	-	3.1%	11.5%	61.4%	21.7%	2.4%
კვება	2.6%	6.3%	13.7%	48.3%	22.5%	6.6%
პედაგოგების კვალიფიკაცია	1%	2.4%	11%	57.3%	27.3%	0.9%
უსაფრთხოება	2%	3.2%	11.1%	57.4%	25.5%	0.9%
საჯარო სკოლა (N=519)						
ხელმისაწვდომობა	1.4%	4%	19.8%	55.6%	18.3%	0.9%
ინფრასტრუქტურა	2.5%	8.5%	22.2%	52.2%	14.6%	-
ხელმძღვანელობა	0.6%	4.3%	18.5%	55.3%	19.8%	1.5%
რეგისტრაციის პროცედურები (სიმარტივე)	1.2%	1.8%	15.2%	60.6%	17.8%	3.4%
კვება	7%	19.9%	12.9%	12.8%	5.4%	42.1%
პედაგოგების კვალიფიკაცია	1%	3.6%	19.9%	55.9%	18.3%	1.3%
უსაფრთხოება	1%	2.9%	15.7%	59.6%	19.9%	0.9%

პროფესიული და უმაღლესი განათლება

სკოლამდელი და ზოგადი განათლების დაწესებულებებისგან განსხვავებით, რესპონდენტთა უმრავლესობა მიუთითებს, რომ მათ მუნიციპალიტეტში/ქალაქში არც პროფესიული სასწავლებელი (59.2%) და არც სახელმწიფო დაფინანსების მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (67.6%) არ ფუნქციონირებს. გამოვლინდა, რომ რეგიონებს/სამიზნე მუნიციპალიტეტებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა: პროფესიულ და უმაღლეს დონეზე მოქმედი ინსტიტუციებით სამცხე-ჯავახეთი მეტად გამოირჩევა, ვიდრე ქვემო ქართლი. სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა უმრავლესობა აღწერს, რომ მათ მუნიციპალიტეტში/ქალაქში როგორც პროფესიული სასწავლებელი (56.9%), ისე სახელმწიფო დაფინანსების მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებს (56.9%). ქვემო ქართლში გამოკითხულთა უმრავლესობა კი მსგავსი დაწესებულებების არარსებობაზე მიუთითებს: პროფესიული სასწავლებელი - 75.9%, სახელმწიფო დაფინანსების მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - 92.5%. ამ უკანასკნელის შემთხვევაში დანარჩენმა 7.5%-მა პასუხზე უარი განაცხადა.

როგორც აღმოჩნდა, რესპონდენტთა ძალიან მცირე ნაწილი სარგებლობს პროფესიული სასწავლებლის (2.7%, N=13) ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (8%, N=24) მომსახურებით. პროფესიული სასწავლებლის სერვისით 8 რესპონდენტი კმაყოფილია (ქულები 4 და 5), ხოლო 5 პირი - ნეიტრალურ პოზიციას იკავებს (ქულა 3 – „თანაბრად კმაყოფილი და უკმაყოფილო“). მეორე მხრივ კი, სახელმწიფო დაფინანსების მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებით მოსარგებლეთა შორის 15 რესპონდენტი კმაყოფილია მომსახურებით (ქულები 4 და 5), ხოლო 3 - უკმაყოფილო (ქულები 1 და 2). შესაბამისად, 6-მა რესპონდენტმა ნეიტრალური პოზიცია გამოავლინა (ქულა 3). სახელმწიფო დაფინანსების მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებით უკმაყოფილების მიზეზებს შორის ცალკეულ შემთხვევებში შემდეგი პასუხები გამოვლინდა: პედაგოგების კვალიფიკაცია, სასწავლო პროგრამების სიმცირე, არააქტუალური სასწავლო პროგრამები, მმართველობა, ბიუროკრატია, საფასური.

თავი 3. ინფორმირებულობა მუნიციპალური სერვისების შესახებ

ფოკუს-ჯგუფებში მუნიციპალური სერვისების შესახებ ინფორმაციის მიღების რამდენიმე ძირითადი წყარო დასახელდა: მასმედიის საშუალებები, ძირითადად ადგილობრივი ტელე და რადიომედია, სოციალური ქსელები (განსაკუთრებით „ფეისბუკი“), მუნიციპალიტეტების ოფიციალური ვებგვერდები და არაფორმალური კავშირები - ნათესავებს, მეზობლებს, მეგობრებს და ა.შ. შორის ინფორმაციის გაცვლა. რესპონდენტთა მცირე ნაწილი სერვისების შესახებ ინფორმაციას მუნიციპალიტეტის მერსა და სოფლის რწმუნებულთან საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეობით ან უშუალოდ მუნიციპალიტეტში ვიზიტის მეშვეობით იღებს. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებში გამოიკვეთა, რომ მუნიციპალური სერვისების შესახებ არასაკმარისი და არასრულყოფილი ინფორმაცია აქვთ.

> *„ძალიან ბევრმა არ იცის სერვისების შესახებ და ვფიქრობ, ის ინფორმაცია რაც აქვთ, შესაძლოა იყოს არაზუსტი“ (ქალი 63 წლის, მასწავლებელი, ეთნიკურად ქართველი, ბოლნისი)*

სოციალური და ჯანდაცვის სერვისების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა განსაკუთრებით ეთნიკურ უმცირესობებში - აზერბაიჯანელებსა და სომხებში - იჩენს თავს, რადგან ენობრივი ბარიერის და ნაკლები ინტეგრაციის გამო ინფორმაციის მიღების შესაძლებლობები ქართველებთან შედარებით მცირეა. სწორედ ამიტომ, სერვისების შესახებ ინფორმაციის მისაღებად ძირითადად არაფორმალურ გზებს იყენებენ. მოსახლეობა ცდილობს, რომ იმ პირებისგან მოიპოვოს ინფორმაცია, რომლებსაც სერვისებით უსარგებლია, ან რომლებსაც მუნიციპალურ ორგანოებში აქვს სრულყოფილი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა. ფოკუს- ჯგუფებში სერვისების შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროდ ადგილობრივი, ეთნიკური უმცირესობების ენაზე მოქმედი მედიის საშუალებებიც დასახელდა, თუმცა აღინიშნა ისიც, რომ მედიით სერვისების შესახებ ინფორმაცია სისტემატურად არ ვრცელდება და შესაძლებელია, რომ ყველა საჭირო ინფორმაციის მიღება ვერ მოხერხდეს. წალკისა და ნინოწმინდის მაცხოვრებლებმა კონკრეტული მედიასაშუალებები დაასახელეს. ესენია - „ფარვანას“ ტელევიზია და რადიო „ნორი“. ეთნიკურ აზერბაიჯანელებში პოპულარობით რადიო „მარნეული“, ვებგვერდი actual.ge და მარნეულის ტელევიზია სარგებლობს. მარნეულელებმა ფოკუს-ჯგუფში აღნიშნეს, რომ მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ ინფორმაციას ძირითადად სოციალური მედიის - „ფეისბუკის“ საშუალებით იღებენ.

> *„მარნეულის მუნიციპალიტეტი ფეისბუქგვერდით ავრცელებს ინფორმაციას ორ ენაზე: აზერბაიჯანულად და ქართულად. ამის გარდა, არანაირი ინფორმაცია არ არის აზერბაიჯანულ ენაზე“ (28 წლის ქალი, დასაქმებული, ეთნიკურად აზერბაიჯანელი, მარნეული)*

იმ შემთხვევაში თუ მოქალაქე აზერბაიჯანულ ენაზე მიმართავს მუნიციპალურ ორგანოს, პასუხის ვერ მიღების დიდი ალბათობაა, ამიტომ არსებული პრაქტიკის მიხედვით ქართული ენის არმცოდნე მოქალაქეები მუნიციპალიტეტისთვის მიმართვის მიზნით ქართული ენის მცოდნეს სთხოვენ დახმარებას. ნინოწმინდელებმა აღნიშნეს, რომ ქართულ ენაზე შედგენილ ისეთ

დოკუმენტებზე უწევთ ხოლმე ხელის მოწერა, რომელთა შინაარსსაც ვერ იგებენ. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სპეციფიკა ისაა, რომ მუნიციპალურ ორგანოებში დასაქმებულთა უმრავლესობა ეთნიკურად სომეხია და ენის ბარიერი თანამშრომლებშიც მნიშვნელოვანი პრობლემაა.

ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე სოფლის მაცხოვრებლებმა აღნიშნეს, რომ აუცილებელია მუნიციპალიტეტის თანამშრომლებმა პრეზენტაციები გამართონ და ადგილობრივ მოსახლეობას არსებული სერვისების შესახებ ინფორმაცია პირადად მიაწოდონ. ინფორმაციის მიწოდების საჭიროება განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობების დასახლებებში არსებობს, სადაც ინფორმაციის მიღების მწირი შესაძლებლობებია. ინფორმაციის გავრცელების კიდევ ერთ გზად უმცირესობების ენაზე შედგენილი ბროშურების დარიგება დასახელდა.

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან საინფორმაციო ტიპის შეხვედრის დროს ძირითადად ერთი და იგივე პირები ესწრებიან, რომლებსაც ისედაც აქვთ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ. ამის გათვალისწინებით, სასურველია მოსახლეობის იმ ნაწილსაც მიეწოდოს ინფორმაცია, რომელსაც ინფორმაციაზე ხელი არ მიუწვდება.

თავი 4. სოციალური და ჯანდაცვის სერვისები

სოციალური სერვისები

კვლევის ფარგლებში რესპონდენტებს, ერთი მხრივ, მუნიციპალური, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფო (ცენტრალური) სოციალური მომსახურებების ჩამონათვალი წარედგინათ. როგორც აღმოჩნდა, გამოკითხულთა უმრავლესობის შემთხვევაში (81.2%), არც თავად და არც მათი ოჯახის წევრები არც ერთი მუნიციპალური სოციალური მომსახურებით არ სარგებლობს. 6.4%-ს ერთჯერადი (ფულადი ან სხვა სახის) სოციალური დახმარების მიღების გამოცდილება აქვს, ხოლო 4.3% სოციალურად დაუცველი ბავშვებისა და ახალშობილების მხარდამჭერი პროგრამის ბენეფიციარია. აღსანიშნავია, რომ შინმოვლის პროგრამითა და სხვადასხვა სახის ძალადობის მსხვერპლთა დახმარებით არცერთი რესპონდენტი არ სარგებლობს (იხ. დიაგრამა #3).

დიაგრამა #3



ცალკეული მუნიციპალური სოციალური სერვისით სარგებლობის მაჩვენებელი დაბალია როგორც სამცხე-ჯავახეთში, ისე ქვემო ქართლში. უმრავლესობა ორივე რეგიონში მიუთითებს, რომ არც მათ და არც მათი ოჯახის წევრებს არცერთი მომსახურება არ გამოუყენებია: სამცხე-ჯავახეთი - 87.8%, ქვემო ქართლი - 74.9%. მეორე მხრივ კი, გამოიკვეთა, რომ ქვემო ქართლში სხვადასხვა სოციალური მომსახურებით მოსარგებლეთა ჯამური წილი რამდენადმე მაღალია. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ქვემო ქართლში თითქმის ყოველი მეათე რესპონდენტი ერთჯერადი (ფულადი ან სხვა სახის) სოციალური დახმარებით სარგებლობს, ხოლო სამცხე-ჯავახეთში შედარებით გამოკვეთილია სოციალურად დაუცველი ბავშვების და ახალშობილების მხარდაჭერის პროგრამის ბენეფიციართა წილი (იხ. ცხრილი #6).

ცხრილი #6

ქვემოთ ჩამოთვლილი მუნიციპალური სოციალური მომსახურებებიდან თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრი თუ სარგებლობთ რომელიმე მომსახურებით? (რეგიონის ჭრილი)	სამცხე-ჯავა-ხეთი (N=600)	ქვემო ქართლი (N=600)
არა, არცერთი	87.8%	74.9%
ერთჯერადი (ფულადი ან სხვა სახის) სოციალური დახმარება	3%	9.6%
უსახლკარო პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფა (სოციალური საცხოვრისი)	-	0.1%
მრავალშვილიანი ოჯახების/მარტოხელა მშობლების სოციალური დახმარება	1.7%	5.4%
სოციალურად დაუცველი ბავშვების და ახალშობილების მხარდაჭერის პროგრამა	4.8%	3.9%
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარება	2%	1.2%
უფასო მგზავრობა	-	0.6%
უფასო სასადილოების პროგრამა	0.3%	-
შინმოვლის პროგრამა	-	-
სხვადასხვა სახის ძალადობის მსხვერპლთა დახმარება	-	-
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და მებრძოლთა (ვეტერანთა) და მათი ოჯახების დახმარება	0.3%	1.6%
სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი პირების მხარდაჭერა	-	0.1%
სარიტუალო დახმარება	-	0.5%
ახალდაქორწინებული ოჯახების წახალისება	-	0.1%
ონლაინსწავლების პერიოდში სოციალურად დაუცველი ოჯახების განათლების ხელმისაწვდომობა	-	1.3%
სტუდენტებისა და სპორტსმენების დახმარება	-	0.5%
სხვა	0.1%	0.2%

როგორც აღმოჩნდა, რესპონდენტთა უმრავლესობა ზემოაღნიშნულ მუნიციპალურ სოციალურ დახმარებებს/მომსახურებებს დროულად იღებს. იდენტური ტენდენციაა დამახასიათებელი როგორც სამცხე-ჯავახეთისთვის, ისე ქვემო ქართლისთვის. ამასთან, სხვადასხვა მომსახურე-

ბით მოსარგებლეთა უმრავლესობა სერვისის მისაღებად საჭირო რეგისტრაციის პროცედურებს აფასებს როგორც იოლს (3 და 4 ქულები 4-ქულიან სკალაზე). ცალკეული მომსახურების შემთხვევაში 65%-ზე მეტს მსგავსი გამოცდილება აქვს. უფასო სასადილოების პროგრამის შეფასებისას მაჩვენებელი 57.9%-მდე მცირდება. მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ ყოველი მესამე რესპონდენტი, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარებით სარგებლობს, მიუთითებს, რომ რეგისტრაციის პროცედურა რთულია (34.5%, N=7). თითქმის მეხუთედს უტოლდება მათი წილი, რომელთა შეფასებითაც, ერთჯერადი (ფულადი ან სხვა სახის) სოციალური დახმარებისა და მრავალშვილიანი ოჯახების/მარტოხელა მშობლების სოციალური დახმარების მისაღებად საჭირო რეგისტრაციის პროცედურა რთულია (1 და 2 ქულები 4-ქულიან სკალაზე) (იხ. ცხრილი #2).

არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, რესპონდენტები მუნიციპალიტეტების გაწეული ძირითადი სოციალური მომსახურებებით კმაყოფილნი არიან - მაჩვენებელი 57%-ს აღემატება (4 და 5 ქულები 5-ქულიან სკალაზე). თუმცა ზოგიერთი სერვისის შემთხვევაში გამოკითხული პირები ნეიტრალურ პოზიციას იკავებენ (ქულა 3). უფრო კონკრეტულად, ყველაზე უფრო ხშირად გამოყენებული სერვისების მიმართ კმაყოფილების მაჩვენებლები ასეთია:

- ერთჯერადი (ფულადი ან სხვა სახის) სოციალური დახმარება - 76%, N=79
- სოციალურად დაუცველი ბავშვებისა და ახალშობილების მხარდაჭერის პროგრამა - 89.8%, N=55
- მრავალშვილიანი ოჯახების/მარტოხელა მშობლების სოციალური დახმარება - 71.4%, N=43

(დეტალურად მონაცემები იხ. ცხრილში #7)

ცხრილი #7

	როგორ შეაფასებდით მუნიციპალური სოციალური მომსახურების მისაღებად საჭირო რეგისტრაციის პროცედურას? (%)						რამდენად კმაყოფილი ხართ მუნიციპალიტეტების მიერ გაწეულ სოციალური მომსახურებებით? (%)					
	ძალიან რთული	რთული	იოლი	ძალიან იოლი	არ შეეხო რეგისტრაციის პროცედურა	არ ვიცი	ძალიან უკმაყოფილო	უკმაყოფილო	თანაბრად კმაყოფილი და უკმაყოფილო	კმაყოფილი	ძალიან კმაყოფილი	მიჭირს პასუხის გაცემა
ერთჯერადი (ფულადი ან სხვა სახის) სოციალური დახმარება (N=79)	2.6	16	61.5	11.5	7	1.3	1	9.5	13.6	62.2	13.8	-
უსახლკარო პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფა (სოციალური საცხოვრისი) (N=1)	-	-	100	-	-	-	-	-	-	100	-	-

	როგორ შეაფასებდით მუნიციპალური სოციალური მომსახურების მისაღებად საჭირო რეგისტრაციის პროცედურას? (%)						რამდენად კმაყოფილი ხართ მუნიციპალიტეტების მიერ გაწეულ სოციალური მომსახურებებით? (%)					
	ძალიან რთული	რთული	იოლი	ძალიან იოლი	არ შეეხო რეგისტრაციის პროცედურა	არ ვიცი	ძალიან უკმაყოფილო	უკმაყოფილო	თანაბრად კმაყოფილი და უკმაყოფილო	კმაყოფილი	ძალიან კმაყოფილი	მიჭირს პასუხის გაცემა
მრავალშვილიანი ოჯახების/მარტოხელა მშობლების სოციალური დახმარება (N=43)	2.1	16.7	66.2	15	-	-	-	2.1	24.7	60.8	10.6	1.8
სოციალურად დაუცველი ბავშვების და ახალშობილების მხარდაჭერის პროგრამა (N=55)	6.7	12.5	59.2	15.1	-	6.4	1.3	1.7	7.2	73.1	16.7	-
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარება (N=21)	-	34.5	57.9	7.6	-	-	-	10.6	53.9	30.6	4.9	-
უფასო მგზავრობა (N=5)	-	-	63.5	36.5	-		-	-	-	55.3	44.7	-
უფასო სასადილოების პროგრამა (N=2)	-	-	57.9	-	-	42.1	-	-	42.1	57.9	-	-
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და მებრძოლთა (ვეტერანთა) და მათი ოჯახების დახმარება (N=14)	-	-	70	12.6	-	17.5	13	8.2	53.8	25	-	-
სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი პირების მხარდაჭერა (N=1)	-	100	-	-	-	-	-	-	100	-	-	-
სარიტუალო დახმარება (N=3)	-	-	69.7	30.3	-	-	-	-	-	-	100	-

	როგორ შეაფასებდით მუნიციპალური სოციალური მომსახურების მისაღებად საჭირო რეგისტრაციის პროცედურას? (%)						რამდენად კმაყოფილი ხართ მუნიციპალიტეტების მიერ გაწეულ სოციალური მომსახურებებით? (%)					
	ძალიან რთული	რთული	იოლი	ძალიან იოლი	არ შეეხო რეგისტრაციის პროცედურა	არ ვიცი	ძალიან უკმაყოფილო	უკმაყოფილო	თანაბრად კმაყოფილი და უკმაყოფილო	კმაყოფილი	ძალიან კმაყოფილი	მიჭირს პასუხის გაცემა
ახალდაქორწინებული ოჯახების წახალისება (N=1)	-	100	-	-	-	-	-	-	100	-	-	-
ონლაინსწავლების პერიოდში სოციალურად დაუცველი ოჯახების განათლების ხელმისაწვდომობა (N=8)	9.1	-	37.8	53.1	-	-	-	-	9.1	50.2	40.7	-
სტუდენტებისა და სპორტსმენების დახმარება (N=3)	-	-	100	-	-	-	-	-	-	100	-	-
სხვა (N=2)	42.3	-	57.7	-	-	-	-	-	-	100	-	-

რეგისტრაციის პროცედურების რეგიონის ჭრილში განხილვისას განსხვავებული გამოცდილება გამოვლინდა. მართალია, როგორც სამცხე-ჯავახეთში, ისე ქვემო ქართლში გამოკითხულთა ძირითადი ნაწილი მიიჩნევს, რომ მომსახურების მისაღებად საჭირო რეგისტრაციის პროცედურა იოლია, თუმცა სხვადასხვა გამონაკლისი იჩენს თავს. სამცხე-ჯავახეთში გამოკითხულთა 41.7%-ის გამოცდილებით, ერთჯერადი (ფულადი ან სხვა სახის) სოციალური დახმარების რეგისტრაციის პროცესი ძალიან რთული ან რთულია (ქულები 1 და 2). შესაძლოა, სწორედ ეს განაპირობებს, რომ ამ სერვისით მოსარგებლეთა წილი დაბალია (3%). ქვემო ქართლში კი მხოლოდ 11.6% მიიჩნევს, რომ ამ მომსახურების მიღებისთვის საჭირო რეგისტრაციის პროცედურა რთულია (ქულები 1 და 2). მეორე მხრივ, ქვემო ქართლში პრობლემურ საკითხად სოციალურად დაუცველი ბავშვებისა და ახალშობილების მხარდაჭერის პროგრამით სარგებლობა განისაზღვრა (რეგისტრაციის პროცედურები რთულია ან ძალიან რთული - 24.9% (ქულები 1 და 2)). სამცხე-ჯავახეთში გამოკითხულთა უმრავლესობა, ცალკეული მომსახურების მიღების თვალსაზრისით, კმაყოფილებას გამოთქვამს (ქულები 4 და 5) - თითოეული სერვისით კმაყოფილების მაჩვენებელი 57%-ს აღემატება. ქვემო ქართლში კი ცალკეული მომსახურებით კმაყოფილი 71%-ზე მეტია. გამონაკლისი ორივე რეგიონის შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარებაა. სამცხე-ჯავახეთში აღნიშნული სერვისით კმაყოფილი მხოლოდ 29%-ია, ხოლო ქვემო ქართლში 44.3%.

შემდგომ შეფასდა სახელმწიფო (ცენტრალური) სოციალური მომსახურებებით სარგებლობის გამოცდილება. როგორც აღმოჩნდა, გამოკითხულთა მეოთხედზე მეტის შემთხვევაში (26.4%) არც თავად და არც მათი ოჯახის წევრები არცერთი სერვისით არ სარგებლობენ. მეორე მხრივ, 29%-ს ასაკობრივი პენსიით, 19.9%-ს სახელმწიფო დაზღვევით, 18%-ს კი კომუნალური სუბსიდიებით სარგებლობის გამოცდილება აქვს (იხ. დიაგრამა #4).

დიაგრამა #4



როგორც სამცხე-ჯავახეთში, ისე ქვემო ქართლში გამოკითხულ პირთა დიდი ნაწილი ასახელებს, რომ შემდეგი ცენტრალური სოციალური მომსახურებებით სარგებლობს:

- ასაკობრივი პენსია: სამცხე-ჯავახეთი - 29.2%, ქვემო ქართლი - 28.8%
- სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევა: სამცხე-ჯავახეთი - 21.1%, ქვემო ქართლი - 18.6%
- კომუნალური სუბსიდიები: სამცხე-ჯავახეთი - 20.1%, ქვემო ქართლი - 15.8%

თუმცა აღსანიშნავია, რომ საშუალოდ 26% არცერთ სახელმწიფო სერვისს არ იღებს (სამცხე-ჯავახეთი - 23.9%, ქვემო ქართლი - 29.1%) (იხ. ცხრილი #8).

ცხრილი #8

ქვემოთ ჩამოთვლილი სახელმწიფო (ცენტრალური) სოციალური მომსახურებებიდან თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრი თუ სარგებლობთ რომელიმე მომსახურებით? (რეგიონის ჭრილი)	სამცხე-ჯავა-ხეთი (N=600)	ქვემო ქართლი (N=600)
არა, არცერთს	23.9%	29.1%
ასაკობრივი პენსია	29.2%	28.8%
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის ბავშვების) პენსია	3.7%	3.6%
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღის ცენტრები	-	0.3%
მარჩენალდაკარგულის პენსია	0.1%	0.4%
ომის ვეტერანთა პენსია	1.3%	1%
იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება	0.2%	1.1%
სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევა	21.1%	18.6%
სოციალური დახმარება მარტოხელა პენსიონერებისთვის	0.2%	0.4%
კომუნალური სუბსიდიები	20.1%	15.8%
ვაუჩერები სოციალური მომსახურებისთვის (მაგ.: სამედიცინო დახმარების ცენტრის ვაუ-ჩერი, ადრეული ჩარევის ვაუჩერი, კვების ვაუჩერი და ა.შ.)	0.1%	0.7%
ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამა	-	0.1%
ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის პროგრამა	0.1%	-
სხვა	-	0.1%

გამოვლინდა, რომ სახელმწიფო სოციალურ მომსახურებებს ბენეფიციარები დროულად იღებენ - მაჩვენებელი თითოეული სერვისის შემთხვევაში 80%-ს აჭარბებს. ერთადერთი გამონაკლისი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღის ცენტრებით სარგებლობაა - მართალია, 63.6% შესაბამის მომსახურებას დროულად იღებს, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ მესამედზე მეტს (36.4%) საპირისპირო გამოცდილება აქვს. რესპონდენტთა უმრავლესობა ცალკეული სერვისის შეფასებისას მიუთითებს, რომ მომსახურების მისაღებად საჭირო რეგისტრაციის პროცედურები იოლი იყო. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღის ცენტრებით სარგებლობისთვის რეგისტრაცია მესამედზე მეტისთვის (36.4%) რთულ გამოცდილებასთან ასოცირდება. რაც შეეხება მარტოხელა პენსიონერებისთვის სოციალურ დახმარებას, 31.3%-მა აღნიშნა, რომ სერვისის მისაღებად რეგისტრაციის პროცედურა არ გაუვლია (იხ. ცხრილი #3).

მიღებულ სერვისებთან დაკავშირებით რესპონდენტთა უმრავლესობა სახელმწიფოს მიერ გაწეული სოციალური მომსახურებით კმაყოფილია, თუმცა ზოგიერთ სერვისთან მიმართებით საყურადღებოა უკმაყოფილოთა წილიც. კერძოდ, მართალია, უმრავლესობა (64.4%) კმაყოფილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღის ცენტრების მომსახურებით, თუმცა გამოკითხულთა მესამედზე მეტი (35.6%) უკმაყოფილებას გამოხატავს (ქულა 2). რესპონდენტთა 42.7% ძალიან უკმაყოფილო ან უკმაყოფილოა სახელმწიფოს მიერ გაწეული იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების სერვისით (ქულები 1 და 2) (იხ. ცხრილი #9).

ცხრილი #9

	როგორ შეაფასებდით სახელმწიფო (ცენტრალური) სოციალური მომსახურების მისაღებად საჭირო რეგისტრაციის პროცედურას? (%)						რამდენად კმაყოფილი ხართ სახელმწიფოს მიერ გაწეულ სოციალური მომსახურებებით? (%)					
	ძალიან რთული	რთული	იოლი	ძალიან იოლი	არ შეეხო რეგისტრაციის პროცედურა	არ ვიცი	ძალიან უკმაყოფილო	უკმაყოფილო	თანაბრად კმაყოფილი და უკმაყოფილო	კმაყოფილი	ძალიან კმაყოფილი	მიჭირს პასუხის გაცემა
ასაკობრივი პენსია (N=494)	-	2.8	64.6	25.2	3	4.4	2.6	6.4	15.3	67.8	6	1.9
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის ბავშვების) პენსია (N=61)	10.9	18.7	47.8	14.2	2.3	6.3	5.6	15.3	24.2	42.8	12.2	-
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღის ცენტრები (N=3)	-	36.4	63.6	-	-	-	-	35.6	-	64.4	-	-
მარჩენალდაკარგულის პენსია (N=5)	-	-	42.5	57.5	-	-	-	41.5	-	42.5	16	-
ომის ვეტერანთა პენსია (N=22)	-	-	77.9	22.1	-	-	8.3	10.5	12.2	60.4	8.6	-
იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება (N=12)	-	-	71.5	9.1	-	19.4	7.2	35.5	9.8	47.5	-	-
სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევა (N=331)	0.2	0.8	72.3	17.9	6.3	2.5	-	2	12.8	74.8	5.9	4.6
სოციალური დახმარება მარტოხელა პენსიონერებისთვის (N=5)	17.3	16.7	17.3	17.3	31.3	-	-	17.3	16.7	66	-	-
კომუნალური სუბსიდიები (N=301)	-	0.7	77.9	10.1	4.9	6.4	-	0.8	10.4	80.5	8.3	-
ვაუჩერები სოციალური მომსახურებისთვის (მაგ.: სამედიცინო დახმარების ცენტრის ვაუჩერი, ადრეული ჩარევის ვაუჩერი, კვების ვაუჩერი და ა.შ.) (N=7)	-	-	42.4	40.7	-	17	-	-	-	46.5	53.5	-
ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამა (N=1)	-	-	100	-	-	-	-	-	-	100	-	-
ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის პროგრამა (N=1)	-	-	100	-	-	-	-	-	-	100	-	-
სხვა (N=2)	-	-	100	-	-	-	-	-	100	-	-	-

რეგიონულ ჭრილშიც ცალკეული სახელმწიფო (ცენტრალური) სოციალური დახმარების მისაღებად საჭირო რეგისტრაციის პროცედურები, ძირითადად, ფასდება როგორც იოლი, თუმცა პრობლე-

მურ კატეგორიად იკვეთება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის ბავშვების) პენსიის მიღების პროცესი. როგორც სამცხე-ჯავახეთში (26.5%), ისე ქვემო ქართლში (32.7%) გამოკითხულთა დიდი ნაწილი მიუთითებს, რომ რეგისტრაციის პროცედურა იყო ძალიან რთული ან რთული. აქვე საინტერესოა, რომ თუკი სამცხე-ჯავახეთში მიმღები ერთადერთი პირი აღწერს, რომ მარტოხელა პენსიონერებისთვის სოციალური დახმარების მისაღებად რეგისტრაციის პროცედურა არ შეეხო, ქვემო ქართლში იმავე სერვისის ჭრილში ორი რესპონდენტი რეგისტრაციის პროცესის სირთულეს გამოკვეთს. სამცხე-ჯავახეთში გამოკითხულ პირთა უმრავლესობა მიღებული მომსახურებით კმაყოფილია - მაჩვენებელი ცალკეულ შემთხვევაში 70%-ს აჭარბებს.

ჯანდაცვის სერვისები

სოციალური სერვისების მსგავსად რესპონდენტებმა შეაფასეს მუნიციპალური და ცენტრალური ჯანდაცვის მომსახურებები. ამ შემთხვევაშიც გამოკითხულთა უმრავლესობა (89.4%) არცერთი მუნიციპალური ჯანდაცვის მომსახურებით არ სარგებლობს (არც რესპონდენტთა ოჯახის წევრები). დასახელებულ კატეგორიებს შორის კი შედარებით გამოკვეთილია უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფისა (6.6%) და ძვირადღირებული კვლევის (კომპიუტერული ტომოგრაფია, ეზოფაგოგასტროდუოდენოსკოპია, კორონაროგრაფია, ანგიოგრაფია, ძუძუს კიბოს გენეტიკური კვლევა და სხვა.) დაფინანსების (1.1%) გამოცდილება (იხ. დიაგრამა #5).

დიაგრამა #5

სოციალურ სერვისებთან შედარებით გაცილებით მაღალია იმ რესპონდენტთა წილი, რომლებიც მუნიციპალური ჯანდაცვის სერვისებით არ სარგებლობენ: სამცხე-ჯავახეთი - 93.9%, ქვემო ქარ-



თლი - 85%. დასახელებულ კატეგორიებს შორის კი შედარებით გავრცელებულია უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფის მომსახურება: სამცხე-ჯავახეთი -3.8% , ქვემო ქართლი - 9.4% (იხ. ცხრილი #10).

ცხრილი #10

ქვემოთ ჩამოთვლილი მუნიციპალური ჯანდაცვის მომსახურებებიდან თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრი თუ სარგებლობთ რომელიმე მომსახურებით? (რეგიონის ჭრილი)	სამცხე-ჯავა-ხეთი (N=600)	ქვემო ქართლი (N=600)
არა, არცერთს	93.9%	85%
უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა	3.8%	9.4%
აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია	0.4%	0.1%
სხვადასხვა ქრონიკული დაავადების (სიმსივნე, თირკმლის უკმარისობა, ლეიკემია და სხვ.) მქონე ადამიანთა დახმარება	-	1.3%
ძვირადღირებული კვლევის (კომპიუტერული ტომოგრაფია, ეზოფაგოგასტროდუოდენოსკოპია, კორონაროგრაფია, ანგიოგრაფია, ძუძუს კიბოს გენეტიკური კვლევა და სხვა.) დაფინანსება	0.5%	1.7%
შშმ პირთა და სოციალურად დაუცველების სამედიცინო დახმარება	0.9%	0.4%
სხვა	0.5%	2%

რესპონდენტების უმრავლესობა აღწერს, რომ თითოეული ზემოაღნიშნული სერვისი დროულად მიიღო - მაჩვენებელი უმეტეს შემთხვევაში 94%-ს აღემატება. შედარებით დაბალი შედეგი დაფიქსირდა აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის მიმართულებით - 26.7%-მა დროულად ვერ მიიღო დახმარება, თუმცა უმრავლესობა კვლავ პოზიტიურ გამოცდილებაზე მიუთითებს. ამასთან, ცალკეულ შემთხვევაში რესპონდენტთა უმრავლესობა აღწერს, რომ მომსახურების მისაღებად საჭირო რეგისტრაციის პროცედურები იოლი იყო (3 და 4 ქულები 4-ქულიან სკალაზე). შედარებით პრობლემურად იკვეთება კვლავ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია - 26.7%-მა რეგისტრაციის პროცედურები შეაფასა როგორც რთული. 40.1%-მა კი მსგავს კატეგორიაში მოაქცია სხვადასხვა ქრონიკული დაავადების მქონე ადამიანთა დახმარებისთვის საჭირო რეგისტრაციის პროცესი (იხ. ცხრილი #4).

არსებული გამოცდილების საფუძველზე რესპონდენტთა უმრავლესობა ძირითად შემთხვევაში კმაყოფილია მუნიციპალიტეტების მიერ გაწეული ჯანდაცვის მომსახურებით. ტენდენცია კვლავ შენარჩუნებულია - უკმაყოფილების გამოცდილება მეტად აქვთ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციით მოსარგებლე პირებს (26.7%). სხვადასხვა ქრონიკული დაავადების მქონე ადამიანთა დახმარების მიმართულებით რესპონდენტთა 40.1%-მა მკაფიო პოზიციის გაზიარებისგან თავი შეიკავა და მუნიციპალიტეტების მომსახურება ნეიტრალურად შეაფასა (იხ. ცხრილი #11).

ცხრილი #11

	როგორ შეაფასებდით მუნიციპალური ჯანდაცვის მომსახურების მისაღებად საჭირო რეგისტრაციის პროცედურას? (%)						რამდენად კმაყოფილი ხართ მუნიციპალიტეტების მიერ გაწეულ ჯანდაცვის მომსახურებებით? (%)					
	ძალიან რთული	რთული	იოლი	ძალიან იოლი	არ შეეხო რეგისტრაციის პროცედურა	არ ვიცი	ძალიან უკმაყოფილო	უკმაყოფილო	თანაბრად კმაყოფილი და უკმაყოფილო	კმაყოფილი	ძალიან კმაყოფილი	მიჭირს პასუხის გაცემა
უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა (N=85)	4.8	6.4	73.9	3.4	2	9.4	-	8.2	26.9	64.9	-	-
აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია (N=4)	-	26.7	73.3	-	-	-	-	26.7	49.2	24.1	-	-
სხვადასხვა ქრონიკული დაავადების (სიმსივნე, თირკმლის უკმარისობა, ლეიკემია და სხვ.) მქონე ადამიანთა დახმარება (N=10)	-	40.1	59.9	-	-	-	-	-	40.1	59.9	-	-
ძვირადღირებული კვლევის დაფინანსება (N=15)	-	5.7	72.3	7.9	14.1	-	-	5.7	22.7	71.5	-	-
შშმ პირთა და სოციალურად დაუცველების სამედიცინო დახმარება (N=9)	-	-	66.5	9.3	-	24.1	-	-	9.9	80.8	9.3	-
სხვა (N=16)	-	6.3	93.7	-	-	-		-	19.8	60	20.1	-

ქვემო ქართლში რეგისტრაციის შედარებით გართულებულ პროცედურებზე საუბრობენ შემდეგი მომსახურებების მიღების თვალსაზრისით: სხვადასხვა ქრონიკული დაავადების მქონე ადამიანთა დახმარება - 40.1% (N=4), უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა - 13.3% (N=7). სამცხე-ჯავახეთში კი სერვისის მიღების გართულებულ პროცედურებს გამოკვეთს ის პირიც, ვინც აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამის ბენეფიციარია (35.7%, N=1). სამცხე-ჯავახეთში გამოკითხულთა შორის მიღებული ცალკეული მომსახურებებით კმაყოფილების მაჩვენებელი 63%-ს აჭარბებს; ქვემო ქართლში მაჩვენებელი ცალკეულ შემთხვევაში 56%-მდეა შემცირებული. გამონაკლისი ორივე რეგიონში აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის მომსახურებაა. სამცხე-ჯავახეთში კმაყოფილ რესპონდენტთა წილი 32.3%-ს უტოლდება, ხოლო უკმაყოფილოთა წილი 35.7%-ს (ქულა 2). ქვემო ქართლში კი ამ მომსახურებით მოსარგებლე რესპონდენტი ნეიტრალურ პოზიციას იკავებს (ქულა 3).

გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობას (53.6%) არც სახელმწიფო (ცენტრალური) ჯანდაცვის სერვისებით არ უსარგებლია. თითქმის მეხუთედს სოფლის ექიმის მომსახურება გამოუყენებია, ხოლო 13.5%-ს - სასწრაფო გადაუდებელი დახმარება. თითქმის მეათედს უტოლდება მათი წილი, ვისაც იმუნიზაციის სერვისით (გეგმური აცრები) უსარგებლია (იხ. დიაგრამა #6).

დიაგრამა #6

ქვემოთ ჩამოთვლილი სახელმწიფო(ცენტრალური) ჯანდაცვის მომსახურებებიდან თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრი თუ სარგებლობთ რომელიმე მომსახურებით?**(N=1200)**



მუნიციპალური ჯანდაცვის მომსახურების მსგავსად, სამცხე-ჯავახეთისა (60.7%) და ქვემო ქართლის (46.6%) მოსახლეობის ძირითადი ნაწილი არც სახელმწიფო ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობს, თუმცა მუნიციპალურ დონეზე გაცემულ სერვისებთან შედარებით მაჩვენებელი დაბალია. სამცხე-ჯავახეთში გამოკითხულთა შორის მეათედს აჭარბებს იმ პირთა ოდენობა, რომლებიც სასწრაფო გადაუდებელი დახმარებითა (11.5%) და სოფლის ექიმის (17.5%) მომსახურებით სარგებლობს. ქვემო ქართლში გამოცდილება მსგავსია, საშუალოდ 18% სწორედ აღნიშნული სერვისის მიმღებია, თუმცა დამატებით გამოიკვეთა, რომ მეათედზე მეტი (11.7%) იმუნიზაციას (გეგმიურ აცრებს) იტარებს (იხ. ცხრილი #12).

ცხრილი #12

ქვემოთ ჩამოთვლილი სახელმწიფო (ცენტრალური) ჯანდაცვის მომსახურებებიდან თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრი თუ სარგებლობთ რომელიმე მომსახურებით? (რეგიონის ჭრილი)	სამცხე-ჯავა-ხეთი (N=600)	ქვემო ქართლი (N=600)
არა, არცერთს	60.7%	46.6%
დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი	0.1%	0.9%
იმუნიზაცია (გეგმური აცრები)	7.1%	11.7%
ტუბერკულოზის მართვა	0.1%	-
აივინფექცია/შიდსის მართვა	-	0.1%
დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა (მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა მკურნალობა, გენეტიკური პა-თოლოგიების ადრეული გამოვლენა, ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევა, ორსულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა და ა.შ.)	-	1.2%
ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა	-	-
ფსიქიკური ჯანმრთელობა	0.7%	0.7%
დიაბეტის მართვა	0.7%	1.8%
სასწრაფო გადაუდებელი დახმარება	11.5%	15.3%
სოფლის ექიმი	17.5%	20.4%
ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა	1.4%	1.4
სხვა	0.1%	-

სახელმწიფო (ცენტრალური) ჯანდაცვის მომსახურებას რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა დროულად იღებს, მაჩვენებელი, უმეტეს შემთხვევაში, 100%-ს უტოლდება (სადაც N, რესპონდენტ-თა რაოდენობა, ცოტაა), ხოლო ცალკეულ შემთხვევაში 91%-97% შუალედში მონაცვლეობს:

- ფსიქიკური ჯანმრთელობა - 91.7%
- დიაბეტის მართვა - 91.8%
- სასწრაფო გადაუდებელი დახმარება - 96.1%
- სოფლის ექიმი - 96.5%
- ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა - 96.4%

ფსიქიკური ჯანმრთელობის მომსახურების გარდა, სხვა ცენტრალური ჯანდაცვის სერვისების მისაღებად საჭირო რეგისტრაციის პროცედურები რესპონდენტთა უმრავლესობის მიერ ფას-დება, როგორც იოლი (ქულები 3 და 4). ფსიქიკური ჯანმრთელობის მომსახურებით მოსარგებლე ყოველი მეორე პირისთვის სერვისის მისაღებად განკუთვნილი რეგისტრაციის პროცესი რთული აღმოჩნდა (ქულები 1 და 2). 49.6% კი ამ შემთხვევაშიც რეგისტრაციის იოლ პროცედურაზე მიუთი-თებს (იხ. ცხრილი #5).

ამ გამოცდილების გათვალისწინებით, რესპონდენტები, ძირითადად, პოზიტიურად აფასებენ

სახელმწიფო ჯანდაცვის მომსახურებებს - გამოკითხულთა უმრავლესობა მიღებული სერვისით კმაყოფილია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის, ტუბერკულოზის მართვის პროგრამის შეფასებისას დომინანტურ პოზიციას ნეიტრალური კატეგორია იკავებს (ქულა 3 – „თანაბრად კმაყოფილი და უკმაყოფილო“). ამასთან, ყოველი მეორე გამოკითხული ფსიქიკური ჯანმრთელობის მხრივ სახელმწიფოს მიერ გაწეული მომსახურებით უკმაყოფილოა (ქულა 2) (იხ. ცხრილი #13).

ცხრილი #13

	როგორ შეაფასებდით სახელმწიფო (ცენტრალური) ჯანდაცვის მომსახურების მისაღებად საჭირო რეგისტრაციის პროცედურას? (%)						რამდენად კმაყოფილი ხართ სახელმწიფოს მიერ გაწეულ ჯანდაცვის მომსახურებებით? (%)					
	ძალიან რთული	რთული	იოლი	ძალიან იოლი	არ შეეხო რეგისტრაციის პროცედურა	არ ვიცი	ძალიან უკმაყოფილო	უკმაყოფილო	თანაბრად კმაყოფილი და უკმაყოფილო	კმაყოფილი	ძალიან კმაყოფილი	მიჭირს პასუხის გაცემა
დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი (N=8)	-	-	76	10.8	13.1	-	-	-	55.2	33.9	10.8	-
იმუნიზაცია (გეგმური აცრები) (N=134)	-	-	75.3	18.8	5.1	0.8	-	0.7	3.1	88.3	7.9	-
ტუბერკულოზის მართვა (N=1)	-	-	100	-	-	-	-	-	100	-	-	-
აივ ინფექცია/შიდსის მართვა (N=1)	-	-	100	-	-	-	-	-	-	100	-	-
დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა (მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა მკურნალობა, გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენა, ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევა, ორსულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა და ა.შ.) (N=8)	-	-	100	-	-	-	-	-	-	100	-	-
ფსიქიკური ჯანმრთელობა (N=7)	42.1	8.3	39.7	10	-	-	-	50.4	-	49.6	-	-
დიაბეტის მართვა (N=20)	4.2	19.6	71.8	4.4	-	-	-	17	9.4	73.6	-	-

	როგორ შეაფასებდით სახელმწიფო (ცენტრალური) ჯანდაცვის მომსახურების მისაღებად საჭირო რეგისტრაციის პროცედურას? (%)						რამდენად კმაყოფილი ხართ სახელმწიფოს მიერ გაწეულ ჯანდაცვის მომსახურებებით? (%)					
	ძალიან რთული	რთული	იოლი	ძალიან იოლი	არ შეეხო რეგისტრაციის პროცედურა	არ ვიცი	ძალიან უკმაყოფილო	უკმაყოფილო	თანაბრად კმაყოფილი და უკმაყოფილო	კმაყოფილი	ძალიან კმაყოფილი	მიჭირს პასუხის გაცემა
სასწრაფო გადაუდებელი დახმარება (N=192)	-	5.7	74.1	15.3	4	0.9	-	3.1	9.4	78.6	8.9	-
სოფლის ექიმი (N=283)	-	2.3	79.9	12	2.9	2.9	0.6	3.4	6.1	76.5	12.6	0.8
ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა (N=20)	12.2	11.1	51.3	20.2	-	5.3	-	3.6	11	68.1	17.3	-
სხვა (N=1)	-	-	-	100	-	-	-	-	-	100	-	-

საინტერესოა, რომ თუკი სამცხე-ჯავახეთში გამოკითხულთა შორის არცერთი რესპონდენტი არ აფასებს რთულად ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერვისის მისაღებად საჭირო რეგისტრაციის პროცედურებს, ქვემო ქართლში ამ მომსახურებით მოსარგებლე ყველა ინდივიდი (N=5) აღწერს, რომ რეგისტრაციის პროცესი რთული ან ძალიან რთულია. იდენტური შეფასებები ვლინდება დიაბეტის მართვის სერვისთან დაკავშირებით - ქვემო ქართლში გამოკითხულთა მესამედი (33.4%) მომსახურების მისაღებად საჭირო რეგისტრაციის პროცედურების სირთულეს უსვამს ხაზს (ქულები 1 და 2). სამცხე-ჯავახეთში გამოკითხულთა უმრავლესობა აღწერს, რომ ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტების მისაღებად რეგისტრაციის რთული პროცესი უნდა გაიაროს (59.6%, N=5). მსგავს პოზიციას ქვემო ქართლში გამოკითხული ამ სერვისით მოსარგებლე რესპონდენტთა 22.2%-ც (N=2) იზიარებს. სამცხე-ჯავახეთში გამოკითხულთა შორის თითოეული მომსახურების ჭრილში მაღალია მიღებული სერვისით კმაყოფილების დონე - ცალკეული მონაცემები 85%-ს აჭარბებს. ქვემო ქართლში გამოკითხულთა უმრავლესობა ცალკეული მიღებული სერვისით კმაყოფილია, თუმცა, მაგალითად, ფსიქიკური ჯანმრთელობით მოსარგებლე რესპონდენტები მომსახურებით უკმაყოფილონი არიან.

* * *

თვისებრივი კვლევის ფარგლებში, ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებმა სოციალური და ჯანდაცვის ის სერვისები დაასახელეს, რომლებითაც ისარგებლეს. სოციალურ სერვისებს შორის აღსანიშნავია - ერთჯერადი მატერიალური დახმარება, ბავშვებისთვის სახელოვნებო წრეებში (მუსიკა, ხატვა) მონაწილეობის დაფინანსება, სარიტუალო მომსახურება. ჯანდაცვის სერვისებს შორის დასახელდა - ჯანმრთელობის გამოკვლევების, ოპერაციისა და მედიკამენტების (თანა) დაფინან-

სება. მონაწილეებმა ჯანდაცვის ისეთ სერვისებზეც ისაუბრეს, რომლებიც საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში ანაზღაურდა.

ჩაღრმავებული ინტერვიუს მონაწილე ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ადამიანებისთვის გაწეული დახმარებები დაასახელეს. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების აზრით, დახმარებები მრავალფეროვანია და გულისხმობს: მედიკამენტებით უზრუნველყოფას, ფულად დახმარებას (ერთჯერადად ან გარკვეული რეგულარობით, პირის სტატუსიდან გამომდინარე), დაკრძალვის ხარჯების დაფარვას, სასურსათო პაკეტებით დახმარებას, ქალაქებს შორის ტრანსპორტირებას, შეშით უზრუნველყოფას, შშმ პირების ეტლით უზრუნველყოფას (საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით) და სხვ.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა სოციალური და ჯანდაცვის მუნიციპალური სერვისები და დაფინანსების მიღების პროცედურები შეაფასეს. დისკუსიების შედეგად გამოიკვეთა სოციალური და ჯანდაცვის მუნიციპალური სამსახურების მომსახურებით კმაყოფილება. პროცედურების გავლა მნიშვნელოვან სირთულეებთან დაკავშირებული არ არის. როგორც დისკუსიების მონაწილეებმა აღნიშნეს, მნიშვნელოვანია, რომ არსებული საჭიროებების უზრუნველყოფა პროგრამულად იყოს გაწერილი და მუნიციპალურ ბიუჯეტში თანხები მიზნობრივად იყოს გამოყოფილი.

> *„მე სოციალურად დაუცველი ვარ და მისარგებლია, რამდენიმე ოპერაცია მაქვს გაკეთებული, რომელიც 100 პროცენტით დამიფინანსეს, წამლების რაღაც კატეგორიებსაც აფინანსებენ. ძალიან მარტივი იყო დაფინანსების მიღება, რადგან ექიმის საბუთები მუნიციპალიტეტში ჩავაბარე და დამიფინანსეს“ (32 წლის კაცი, თვითდასაქმებული, ეთნიკურად ქართველი, ახალციხე) ;*
>
> *„ჩემს შვილს ოპერაცია დასჭირდა. მუნიციპალიტეტისგან მოგვივიდა დადებითი პასუხი. მუნიციპალიტეტში მხოლოდ განცხადება დავწერე და ჩავაბარე ფორმა 100. მარტივად დაფინანსდა“ (63 წლის ქალი, მასწავლებელი, ეთნიკურად ქართველი, ბოლნისი);*
>
> *„მე მაქვს ცერებრალური დამბლა და ვარჯიშებს ვიტარებდი თბილისში, რამდენიმეჯერმე დამჭირდა თანხით დახმარება და მივმართე მუნიციპალიტეტს და დამიფინანსეს 10-დღიანი კურსი“ (19 წლის ბიჭი, სტუდენტი, ეთნიკურად ქართველი, თეთრიწყარო) .*

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებმა ისეთ შემთხვევებზეც ისაუბრეს, როდესაც მუნიციპალიტეტის მერიებმა დაფინანსებაზე უარი თქვეს. უარის მიზეზად, როგორც წესი, არასაკმარისი ფინანსები სახელდება. აგრეთვე, იმ პირებმა, რომლებმაც მუნიციპალური ჯანდაცვის სერვისებით ისარგებლეს, უკმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ **პოსტოპერაციული რეაბილიტაცია** არ ფინანსდება, რაც მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან დანახარჯებთან არის დაკავშირებული. მონაწილეთა შეფასებით, სწორედ ამ მიმართულებით საჭიროებენ მუნიციპალიტეტების დახმარებას. აღსანიშნავია, რომ ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს სოციალური და ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობის მხრივ პრობლემები არ შეჰქმნიათ.

ჩაღრმავებული ინტერვიუების ფარგლებში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ დახმარებების/სერვისების პაკეტი ყველა მუნიციპალიტეტში მოიცავს ორ კატეგო-

რიას: ა) სოციალურ დახმარებებს და ბ) ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში არსებულ სერვისებს. როგორც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლები აღნიშნავენ, სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების ფარგლებში ბევრ ადამიანს ეხმარებიან, თუმცა დახმარების მთხოვნელთა და საჭიროების მქონეთა რიცხვი უფრო მეტია.

> *„ხალხს წამლის ფულს აძლევენ, მკურნალობის ფულს ურიცხავენ, აგრეთვე, ძალიან დიდი დახმარებებია ბოლნისში იმიტომ, რომ ამის საშუალებას ბიუჯეტი აძლევთ, მაგრამ ეს ყველაფერი საკმარისი არ არის.“ (ქვემო ქართლის ეთნოშორისი ერთობა - ბოლნისი).*

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა არსებულ ცენტრალურ და მუნიციპალურ სოციალურ სერვისებზე ისაუბრეს. გამოყვეს სერვისები, რომლებიც მათი მუნიციპალიტეტებისთვის სპეციფიკურია. მაგალითად, ახალციხის მაღალმთიან დასახლებებში ყველა ახალშობილზე მუნიციპალიტეტი ფინანსურად ეხმარება ოჯახს. გარდა ამისა, შობადობის მაჩვენებლის შემცირების შემთხვევაში, სახელმწიფო მესამე ახალშობილზე ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას გასცემს.

> *„შობადობის მაჩვენებელი მცირდება წინა წელთან შედარებით, შემდეგ ავტომატურად ირთვება პროგრამა და მესამე ახალშობილიდან ოჯახებს სტიმულს აძლევს და ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას უწევს სახელმწიფო“ (ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი ახალციხიდან).*

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების თქმით, მუნიციპალიტეტებში არსებულ სოციალურ სერვისებზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობა დამაკმაყოფილებელია. ადგილობრივებს სოციალური სერვისების, მათში ცვლილებებისა და ახალი სერვისების შესახებ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები რეგულარულად აწვდიან ინფორმაციას, რითაც ცდილობენ სერვისების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდას.

> *„სერვისები ხელმისაწვდომია იქიდან გამომდინარე, რომ ინფორმირებულნი არიან მოქალაქეები რა სერვისები გვაქვს. არა მარტო ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები აწვდიან მოსახლეობას ინფორმაციას, არამედ, ხშირი ურთიერთობა აქვთ თვითონ კომისიის წევრებს მოქალაქეებთან“ (მერიის წარმომადგენელი თეთრიწყაროდან).*

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან განსხვავებით, ქვემო ქართლში მომუშავე სოციალური მუშაკების აზრით, ადგილობრივი მოსახლეობისთვის სოციალური სერვისები მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომია, თუმცა სერვისების მიღების კუთხით ბარიერს/დაბრკოლებას წარმოადგენს იმ პროცედურათა სიმრავლე, რომელთა გავლაც უწევს მოქალაქეს სერვისების მისაღებად.

> *„დიდი ბიუროკრატიაა, იმდენად ბევრი დოკუმენტაციის წარდგენა და შევსება უწევს მოსახლეობას, რომ ეს ქმნის დაბრკოლებას სერვისების მიღების კუთხით“ (სოციალური მუშაკი).*

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დახმარებების/სერვისების დაფინანსების არასაკმარისობაზე მიუთითებენ. მათი აზრით, არსებული სოციალური სერვისების გაუმჯობესება შესაძლებელია ბიუჯეტის ზრდასთან ერთად, რადგან არსებული ბიუჯეტი არ ყოფნის ადგილობრივი მოწყვლადი მოსახლეობის საჭიროებების მეტ-ნაკლებად სრულ დაკმაყოფილებას.

„გაუმჯობესება ყველაფრის შეიძლება, როცა ბიუჯეტი საშუალებას გაძლევს, მაგრამ, როცა საკმარისი არ არის, მაშინ მოქმედებ შესაძლებლობის ფარგლებში. ახლა დღის ცენტრის გახსნა გვინდა ბავშვებისთვის, მაგრამ რამდენად განვახორციელებთ, არ ვიცი“ (მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი წალკიდან).

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების ნაწილს უჭირს გამოყოს ერთი კონკრეტული პროგრამა, რომლითაც ბენეფიციარები გამოკვეთილად კმაყოფილნი არიან. ზოგიერთი რესპონდენტი ერთჯერადი ფინანსური დახმარებისა და ჯანდაცვის სერვისების მიმართ ბენეფიციარების გამორჩეულ კმაყოფილებაზე მიუთითებს. ჯანდაცვის პროგრამების ეფექტურობაზე მიუთითებენ, აგრეთვე, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, თუმცა აქვე აღნიშნავენ, რომ ჯანდაცვის სერვისების ბიუჯეტი არასაკმარისია და ზოგჯერ პრობლემას წარმოადგენს ბიუჯეტის გამჭვირვალობაც.

„ჯანდაცვის პროგრამები არაჩვეულებრივია. ყველაზე ხშირად მოქალაქეები ოპერაციის თანხას იღებენ, რაც ძალიან კარგია, თუმცა ხშირად არ ფინანსდება გამოკვლევების თანხა და ეს მოსახლეობას ძვირი უჯდება“ (ასოციაცია „ტოლერანტობა“ - სამცხე-ჯავახეთის რეგიონი).

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს უჭირთ გამოყონ რაიმე ბარიერები, რომლებსაც სოციალური სერვისების მიღებისას მოქალაქეები აწყდებიან - „წინააღმდეგობები ჩვენი პროგრამით სარგებლობის კუთხით ვფიქრობ, რომ არ აქვთ „ (ახალციხის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი). რესპონდენტთა თქმით, რაიმე არასისტემური და სიტუაციური ბარიერის არსებობს შემთხვევაში მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის თანამშრომლები ყველაფერს აკეთებენ პრობლემის მოსაგვარებლად.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები **ვერ ასახელებენ რაიმე სტანდარტს, გზამკვლევს,** რომლებიც არსებობს მუნიციპალიტეტებში სოციალური მომსახურების, ჯანდაცვის, ინფრასტრუქტურულ, საგანმანათლებლო და კომუნალურ სფეროებში. მათი განცხადებით, ისინი გაწერილი გზამკვლევებით არ ხელმძღვანელობენ და ცდილობენ ad hoc შემუშავებული გეგმის მიხედვით, შესაძლებლობის ფარგლებში, დაეხმარონ მოსახლეობას.

„პრობლემაც ეგ არის, რომ გაიდლაინები არ არის შემუშავებული. ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ დაიწყო და გვითხრა, დაგეხმარებითო, მაგრამ საბოლოო შედეგი არ გვაქვს. ძალიან კარგი იქნება, თუკი ამ კუთხით რაიმე განხორციელდება. მხოლოდ სტრატეგიის დოკუმენტი მუშავდება წლიურად, სხვა არაფერი“ (მერიის წარმომადგენელი ბოლნისიდან).

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მსგავსად სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებსაც უჭირთ დაასახელონ რაიმე სახის სტანდარტები/გზამკვლევები, რომლებითაც ხელმძღვანელობენ მუნიციპალიტეტები. ჩაღრმავებული ინტერვიუების ფარგლებში, რესპონდენტებმა მხოლოდ ეკონომიკის განვითარების გეგმა და ჯანდაცვის სერვისებში არსებული გადაუდებელი ოპერაციების დაფინანსების წესი დაასახელეს.

სიღრმისეული ინტერვიუს ფარგლებში, ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა ბოლო სამი წლის განმავლობაში განხორციელებული და მიმდინარე პროგრამებიდან გამოკვეთეს ყველაზე წარმატებული და ნაკლებად წარმატებული პროგრამები. ასევე, მიმოიხილეს სერვისების მიწოდებისას არსებული ხარვეზები.

წარმატებულ პროგრამათა შორის დასახელდა: ქირით უზრუნველყოფის პროგრამა, ჯანდაცვის პროგრამები, უფასო სასადილოს პროგრამა. რესპონდენტებმა ისაუბრეს თითოეული წარმატებული პროგრამის დამატებითი ღირებულების (added value) შესახებ: მაგალითად, უფასო სასადილო ბენეფიციარებს შესაძლებლობას აძლევს დაზოგონ პროდუქტის და კომუნალური ხარჯები.

> *„მათ არ უწევთ დამატებით სახლში მომზადება კერძის. ასევე ერთ-ერთმა მოქალაქემ, რომელიც სასურსათო პაკეტში გვყავდა ჩასმული, გვთხოვა, რომ სასადილოთი ჩაგვენაცვლებინა ეს დახმარება, რადგან კომუნალური გადასახადები დამეზოგებაო“ (ახალციხის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი).*

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლები წარმატებულ პროგრამათა შორის ასახელებენ ჯანდაცვის პროგრამებსა და სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამას, ასევე, პანდემიის პერიოდში არსებული კოვიდსაწინააღმდეგო აცრისა და ტესტირების პროგრამებს.

> *„კოვიდპანდემიის დროს ჩვენც ჩართული ვიყავით, რათა მიგვეტანა ხალხთან, თუ როგორი აუცილებელი იყო აცრა, ტესტირებები. ტესტირებები დღესაც ტარდება ყოველ კვირას, კოვიდის მიმართულებით ყველაფერი კარგად გაკეთდა და შევაფასებდი დადებითად“ (მშვიდობის ქარტია - ნინოწმინდა).*

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომდგენლებს გაუჭირდათ დაესახელებინათ ნაკლებად წარმატებული პროგრამები - „იცით რაშია საქმე, ხარვეზები ალბათ გარედან დანახული უფრო ჩანს“ (მერიის წარმომადგენელი თეთრი წყაროდან). ახალციხის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელმა ნაკლებ წარმატებულ პროგრამებს შორის დაასახელა 99 წელს გადაცილებული მოქალაქეთათვის ფინანსური დახმარების პროგრამა. რესპონდენტის განცხადებით, აღნიშნული სერვისით ამჟამად მხოლოდ ერთი ადამიანი სარგებლობს და სწორედ ეს ქმნის პროგრამის ნაკლებ წარმატებულთა შორის განხილვის საფუძველს.

სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენელთა აზრი წარმატებული და წარუმატებელი პროგრამების შესახებ განსხვავებულია. მაგალითად, ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, მნიშვნელოვანი ხარვეზი ჯანდაცვის პროგრამის არასრული დაფინანსებაა. რესპონდენტს მაგალითად მოჰყავს ერთ-ერთი ბენეფიციარი, რომელმაც საჭირო თანხის მხოლოდ მეხუთედი მიიღო, რის გამოც ვერ შეძლო სრულყოფილად ემკურნალა. ასევე, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის წარმომადგენელმა მარნეულიდან აღნიშნა, რომ არსებობს პროგრამები, რომლებიც ფორმალურად არის დაწერილი და ისინი პრაქტიკაში არ გამოიყენება - „წარუმატებელია ყველა ის პროგრამა, რომელიც დაწერილია და არ ხორციელდება, ასე ფორმალურად არსებობს“ (მარნეულის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი).

ახალციხის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლის თქმით, სოციალური მომსახურების სისტემა გადავიდა ელექტრონულ ფორმატზე, რომელიც გულისხმობს განაცხადის ელექტრონული ფორმით მიღებას და შემდგომ, ასევე ელექტრონულად, განცხადებაზე პასუხს. ეს საშუალებას აძლევს ადგილობრივ მოსახლეობას დისტანციურად ისარგებლოს სერვისებით. რესპონდენტის განცხადებით, აღნიშნული მიდგომა მოსახლეობას აძლევს შესაძლებლობას დაზოგოს როგორც დრო, ასევე ფინანსები.

თეთრიწყაროს მერიის წარმომადგენლის განცხადებით, 2018 წელს მათ შეცვალეს უსახლკაროთა სტატუსის მინიჭების წესი. რესპონდენტის განცხადებით, მიდგომის შეცვლის შედეგად მათ მუნიციპალიტეტში მთლიანად მოიხსნა უსახლკაროთა პრობლემა - „4 წელია, რაც მერიამ შეიმუშავა უსახლკაროს სტატუსის მინიჭების წესი. ამის შემდეგ ქუჩაში არ ცხოვრობენ ჩვენი მოქალაქეები და თავშესაფრის გარეშე დარჩენილი ადამიანები აღარ გვყავს მუნიციპალიტეტში“ (თეთრიწყაროს მერიის წარმომადგენელი). სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია „დმანისელების“ წარმომადგენლის თქმით, ბოლო პერიოდში მუნიციპალიტეტის მიდგომა დაკავშირებულია ჯანსაღი ცხოვრების წესის სტიმულირებასთან. კერძოდ, ადგილობრივმა ხელისუფლებამ შექმნა ფეხბურთის და რაგბის კლუბები, ასევე ააშენა შესაბამისი სტადიონები.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების თქმით, სოციალური სერვისების სისტემის გასაუმჯობესებლად საჭიროა მუნიციპალიტეტის დაფინანსების გაზრდა. ეს უფრო მეტად გახდის შესაძლებელს, რომ სხვადასხვა მიმართულებით დაკმაყოფილდეს მოსახლეობის საჭიროებები - „მეტი ბიუჯეტი გვჭირდება, რომ მეტი სიკეთე შევთავაზოთ ჩვენს მოქალაქეებს და ამით გარკვეულწილად ის სერვისები გავაუმჯობესოთ რაც დღეს გვაქვს“ (ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი გარდაბნიდან). მეორე მხრივ, თეთრიწყაროს მერიის წარმომადგენლის თქმით, სოციალური სერვისების გაუმჯობესება შესაძლებელია არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაძლიერებით.

სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია „დმანისელების“ წარმომადგენლის აზრით, აუცილებელია კვლევების ჩატარება მუნიციპალიტეტში, რომლებიც უფრო მეტად ცხადყოფს, თუ რა საჭიროებების და გამოწვევების წინაშეა ადგილობრივი მოსახლეობა. გარდა ამისა, რესპონდენტის თქმით, აუცილებელია ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და მოსახლეობას შორის აქტიური კომუნიკაცია.

> *„პირველ რიგში, როდესაც რაღაცას აკეთებ, კვლევის ჩატარებაა საჭირო, რათა გავიგოთ, რა საჭიროებები არსებობს და რატომ ვქმნით კონკრეტულ პროექტს. აქედან გამომდინარე, კვლევის შედეგებს მივყვებით და ადამიანებს ხშირად შევხვდებით. მათთან პრობლემებზე ხშირად ვისაუბრებთ, აუცილებლად გაუმჯობესდება ყველა სერვისი“ (ორგანიზაცია „დმანისელები“ -დმანისის მუნიციპალიტეტი).*

წალკის მუნიციპალიტეტში მოქმედი ორგანიზაცია „ქალთა ოთახის“ წარმომადგენლის განცხადებით, სერვისების გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის გაზრდის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება სხვადასხვა მიმართულებით. მაგალითად, რესპონდენტის თქმით, არსებობს ისეთი შემთხვევები, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ოჯახები მალავენ, რადგან არსებობს მოსაზრება, რომ ასეთი ადამიანის ოჯახში ყოლა

სირცხვილია. შეზღუდული შესაძლებლობის ქცევა სტიგმატიზაციის საფუძვლად სწორედ დაბალი დემოკრატიული ცნობიერების შედეგია.

საჭიროებები ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის მხრივ

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებმა ისაუბრეს იმ საჭიროებების შესახებ, რომლებიც მათ ჯანდაცვის და სოციალური მიმართულებით აქვთ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საჭიროება კვალიფიციური სამედიცინო სპეციალისტისგან კონსულტაციის მიღებაა. როგორც მონაწილეებმა აღნიშნეს, კვალიფიციური ექიმები ადგილზე ხელმისაწვდომები პერიოდულად არიან, როდესაც თბილისიდან იწვევენ, თუმცა დამატებით ბარიერს კონსულტაციის სიძვირე წარმოადგენს - „თითოეული ვიზიტი საკმაოდ ძვირია ექიმთან, ორწუთიანი გასაუბრება ღირდა 80 ლარი“ (30 წლის ქალი, თვითდასაქმებული, ეთნიკურად ქართველი, ახალციხე). კიდევ ერთი საჭიროება, რომელიც მოწყვლად მდგომარეობაში მყოფ რესპონდენტებში გამოიკვეთა - აუცილებელი მედიკამენტები ხელმისაწვდომი არ არის. მონაწილეთა შეფასებით, მედიკამენტების ნუსხის გაფართოებაა საჭირო. მუნიციპალიტეტებმა იმ მედიკამენტების შეძენა უნდა დააფინანსოს, რომელთა მიღებაც ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ფოკუს ჯგუფებში გამოითქვა მოსაზრება, რომ ჯანდაცვის ზოგიერთი სერვისი მხოლოდ სოციალურად დაუცველთათვის არ უნდა იყოს მისაწვდომი, რადგან ჯანდაცვა ძვირადღირებული სერვისია და სოციალურად დაუცველის სტატუსის არმქონეებსაც უნდა შეეძლოთ სარგებლობა.

ფოკუს-ჯგუფების მონაწილე მცირეწლოვნების მშობლებმა აღნიშნეს, რომ ბავშვების ადრეული განვითარების კუთხით მუნიციპალიტეტებმა გარკვეული სერვისები უნდა დანერგონ, მათ შორის დასახელდა ლოგოპედის მომსახურება. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის არსებობს ფსიქოლოგის და ოკუპაციური თერაპევტის საჭიროებაც. მრავალშვილიან ოჯახებში სასკოლო ნივთებით აღჭურვის საჭიროება არსებობს. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა შეფასებით, პანდემიის გამო შექმნილმა რთულმა ვითარებამ ცხადყო, რომ მოსწავლეებისთვის ისეთი სოციალური პროგრამების შემუშავებაა აუცილებელი, რომლებიც მოწყვლად ოჯახებში მცხოვრები მოსწავლეების განათლების მიღების მოტივაციას გაზრდის. ეს შესაძლოა გამოიხატებოდეს სახელმძღვანელოებით ან სხვა საჭირო ნივთებით უზრუნველყოფაში.

ჩაღრმავებული ინტერვიუს მონაწილე სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლის თქმით, მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი პირების ერთ-ერთ ძირითად საჭიროებას წარმოადგენს საზოგადოებასთან კომუნიკაცია და ადაპტაციით უნარების განვითარება, რაც, ერთი მხრივ, მათი დასაქმების პირობაა და, მეორე მხრივ, დასაქმების პროდუქტიც.

> *„ისინი უნდა იყვნენ ადაპტირებულნი საზოგადოებაში. მათ უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ურთიერთობა სოციუმთან, ღირსეული ცხოვრების პირობები, სამუშაო, მუნიციპალიტეტმა ხელი უნდა შევუწყოთ დასაქმებაში“ (ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი ახალციხიდან).*

ახალგაზრდებისთვის თავისუფალი დროის ნაყოფიერად გამოყენება დასახელდა კიდევ ერთ საჭიროებად, რაშიც ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობა სასურველია. **ფოკუს-ჯგუფებში** აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტების როლი მნიშვნელოვანია პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობის თვალსაზრისითაც. კერძოდ, წარჩინებულ და მოტივირებულ ახალგაზრდებს მუნიციპალიტეტი მხარში უნდა დაუდგეს, რაც, მაგალითად, სწავლის თანადაფინანსებაში, საცხოვრებლით უზრუნველყოფაში და ა.შ. შეიძლება გამოიხატებოდეს.

აუცილებელია, რომ მუნიციპალიტეტებმა დასაქმების ხელშემწყობი პროგრამები შეიმუშაონ. კერძოდ, დაუკავშირდნენ პოტენციურ დამსაქმებლებს, დასაქმების ფორუმების ორგანიზება და ა.შ. რესპონდენტები ხაზს უსვამენ იმას, რომ ამ ტიპის აქტივობებს ფორმალური ხასიათი არ უნდა ჰქონდეს და რეალური შედეგის მიღწევაზე უნდა იყოს ორიენტირებული. კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ დასაქმებისას ანაზღაურება ადეკვატური უნდა იყოს იმ სოციალური-ეკონომიკური მდგომარეობისა, რომელიც საქართველოშია - „თუ თვიური ხარჯი არის 830 ლარი და ამ დროს შემოგვთავაზებენ 500 ლარიან სამსახურს, როგორ უნდა იცხოვრო?!“ (კაცი 35 წლის, უმუშევარი, ეთნიკურად აზერბაიჯანელი, მარნეული).

ჩაღრმავებული ინტერვიუს მონაწილე ახალციხის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლის თქმით, უმუშევრობის მიმართულებით უკვე არსებობს სახელმწიფო პროგრამა[13], რომელიც სოციალურად დაუცველ ადამიანებს დასაქმებაში დაეხმარება.

> *„ალბათ დასაქმების საკითხი არის დიდი პრობლემა. მართალია, ახლა არის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობას ეხება და ეს ძალიან დიდი წინ გადადგმული ნაბიჯია, ჩემი აზრით“ (თეთრიწყაროს მერიის წარმომადგენელი).*

ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამოქალაქო სექტორის როლი

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ისაუბრეს იმ როლზე, რომელსაც ასრულებენ მუნიციპალური სამსახურები მოსახლეობისათვის სერვისების მიწოდებისა და გაუმჯობესებისას. რესპონდენტთა შეფასებით, მუნიციპალური სამსახურები ორიენტირებულია ბენეფიციარების საჭიროებებზე და მუდმივად ცდილობენ, მომსახურება გააუმჯობესონ. რესპონდენტთა თქმით, მუნიციპალური სტრუქტურები მოქმედებენ მოთხოვნა-მიწოდების პრინციპით: ყველაზე მეტია მოთხოვნა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების მიმართულებით და შესაბამისად, ამ მიმართულებას ექცევა განსაკუთრებული ყურადღება.

> *„ძირითადად მაინც სოციალური საკითხებია ყველაზე მოთხოვნადი, აგრეთვე, ჯანდაცვის კუთხით დახმარებები. მაქსიმუმს ვაკეთებთ, რათა ჩვენი მუნიციპალიტეტი ადგილობრივ მოსახლეობას გვერდში ამოუდგეს და დაეხმაროს ყველანაირად“ (მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი გარდაბნიდან).*

13 დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს მიერ განხორციელებული პროგრამები.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლების განცხადებით, მათ ძირითად როლს არსებული სერვისების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება და სახელისუფლო სტრუქტურებში ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების ადვოკატირებაა. რესპონდენტთა აზრით, მნიშვნელოვანია შესაბამისი კვლევების ჩატარება მუნიციპალიტეტებში, რომლებიც უფრო ცხადყოფს ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებს. ასევე, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები მუშაობენ მოქალაქეების ცნობიერების ამაღლების, პენიტენციური დაწესებულებიდან გამოსული ადამიანების რეაბილიტაციის, ქალთა უფლებების, შეზღუდული შესაძლებლობის პირებისთვის ინფრასტრუქტურის ადაპტაციის, საგანმანათლებლო პროექტების მიმართულებით. თეთრიწყაროს ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენლის განცხადებით, მათმა ორგანიზაციამ გასულ წელს 4 ამბულატორია აღჭურვა სამედიცინო პერსონალისთვის საჭირო სხვადასხვა ინვენტარით. გარდა ამისა, კოვიდპანდემიის დროს დაეხმარა სურსათითა და პირველადი საჭიროების ნივთებით 170 ოჯახზე მეტს.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და სამოქალაქო სექტორს შორის თანამშრომლობის შესახებ ორივე მხარე საუბრობს, თუმცა თანამშრომლობის ინტენსივობა და ეფექტიანობა რეგიონების მიხედვით განსხვავებულია. მაგალითად, მარნეულის დემოკრატიული ჩართულობის ცენტის წარმომადგენლის განცხადებით, თანამშრომლობა არ არის სტაბილური და უფრო მეტად საჭიროებს გაძლიერებას. რესპონდენტის მოსაზრებით, თანამშრომლობის ინტენსივობა დიდწილად დამოკიდებულია არა თანამშრომლობის ინსტიტუციურ ჩარჩოზე, არამედ იმაზე, თუ ვინ არის ადგილობრივ ხელისუფლებაში. მაგალითად, ძველი მერის ადმინისტრაცია თანამშრომლობდა სამოქალაქო სექტორთან და იყო აქტიური, ხოლო ახალი ადმინისტრაცია ამ მიმართულებით არ აქტიურობს.

> *„ადრე, როდესაც ძველი მერი გვყავდა, ძალიან აქტიურად ეკონტაქტებოდა მოქალაქეებს, გვთხოვდა შეხვედრების ორგანიზებას მათთან. ახლა აღარ არის ეს, იმიტომ რომ მერიიდან აღარ გვეკონტაქტებიან“ (მარნეულის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი).*

ბოლნისისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები აქტიურად არიან ჩართული სხვადასხვა მიმართულებით და მნიშვნელოვანია მათი წვლილი სოციალური სერვისების განვითარების კუთხით. რესპონდენტებმა ისაუბრეს სსო-ების წვლილზე ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: შეზღუდული შესაძლებლობის პირთა უფლებების დაცვა, საბავშვო ბაღების კეთილმოწყობა, სამედიცინო ამბულატორიების აღჭურვა, სამედიცინო პერსონალის გადამზადება.

დამატებით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გამოკვეთეს თავიანთი წვლილი ისეთი მიმართულებებით, როგორებიცაა: საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, უფასო სამედიცინო კონსულტაციების ორგანიზება ადგილობრივთათვის, უფასო ფსიქოლოგიური დახმარება ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და მარტოხელა დედებისთვის. თეთრიწყაროს ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენლის განცხადებით, ისინი ვერ ახერხებენ პროექტების მუდმივ მხარდაჭერასა და განხორციელებას, რადგან სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს არ აქვთ სტაბილური შემოსავალი და დამოკიდებული არიან გრანტებზე, ეს

გარემოება სამოქალაქო ორგანიზაციების აქტიურობას აფერხებს - „სამოქალაქო ორგანიზაციები დამოკიდებული არიან ფინანსურად დონორი ორგანიზაციების მიერ გაცემულ გრანტებზე“ (ახალგაზრდული ცენტრი -თეთრიწყარო).

თავი 5. სხვა სერვისებით (ჯანდაცვისა და სოციალურის გარდა) სარგებლობა

ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს ნაკლებად აქვთ ინფორმაცია არსებული სახელმწიფო საგანმანათლებლო, ეკონომიკური და სოფლის მეურნეობის სერვისების/პროგრამების შესახებ. აღმოჩნდნენ ისეთი რესპონდენტებიც, რომლებმაც სხვადასხვა სერვისის არსებობის შესახებ ინფორმაცია ფოკუს-ჯგუფებში დისკუსიის დროს შეიტყვეს. მაგალითად, როგორებიცაა: „აწარმოე საქართველოში“, „შეღავათიანი აგროკრედიტი“ და სხვები. ფოკუს-ჯგუფების შედეგად გამოიკვეთა, რომ ეთნიკურად ქართველებს დანარჩენ ეთნიკურ ჯგუფებთან შედარებით უფრო მეტჯერ უსარგებლიათ სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამით.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებში განსაკუთრებული პოპულარულობით „1+4“ საგანმანათლებლო პროგრამა სარგებლობს, რომლის მიზანია სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება და შესაბამისად, უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობების გაზრდა საქართველოს უნივერსიტეტებში. გარდა ამისა, ზოგიერთ მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფილია პროფესიული განათლების მიღება. მაგალითად, მარნეულში გაიხსნა პროფესიული სასწავლებელი „მოდუსი“, სადაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს აქვთ პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა.

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში, მუნიციპალური მომსახურების შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი ქალთა ოთახების შესახებ ინფორმირებულობის დონის განსაზღვრა იყო. როგორც აღმოჩნდა, გამოკითხულთა უმრავლესობას ქალთა ოთახების შესახებ არ სმენია (82.2%) (სამცხე-ჯავახეთი - 79.4%, ქვემო ქართლი - 84.9%). აღნიშნულ მომსახურებაზე რესპონდენტთა მხოლოდ 17.1% ფლობდა ინფორმაციას; მათგან 5.2%-ს თავადაც უსარგებლია (სამცხე-ჯავახეთი - 3%, ქვემო ქართლი - 8.3%). ინფორმირებულ რესპონდენტთა მეხუთედზე მეტს (22%) თავად არ უსარგებლია ქალთა ოთახების სერვისით, მაგრამ იცნობს სხვას, ვინც გამოიყენა (სამცხე-ჯავახეთი - 24.4%, ქვემო ქართლი - 18.5%). გამოკითხულთა უმრავლესობა კი არავის იცნობს, ვისაც ამ მომსახურებით უსარგებლია (72.8%) (სამცხე-ჯავახეთი - 72.6%, ქვემო ქართლი - 73.2%).

იმ პირთა უმრავლესობა, ვინც ქალთა ოთახების სერვისი გამოიყენა, მიღებული მომსახურებით კმაყოფილია (68.8%), მათ შორის, 62.4% სავსებით კმაყოფილია. რესპონდენტთა მეხუთედზე მეტი (23.6%) ნეიტრალურ პოზიციას იკავებს, ხოლო 7.6% სრულიად უკმაყოფილოა.

რაოდენობრივი კვლევისას რესპონდენტებმა განსაზღვრეს, აგრეთვე, ისეთი მომსახურებებით კმაყოფილების დონე, როგორებიცაა: დასახლების დაგეგმარება/კეთილმოწყობა და შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემო.

აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 39.1% დასახლების დაგეგმარებით, კეთილმოწყობით უკმაყოფილოა (1 და 2 ქულები 5-ქულიან სკალაზე), ხოლო კმაყოფილთა წილი 35.6%-ს უტოლდება (4 და 5 ქულები). მეორე მხრივ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ადაპტირებულ გარემოზე საუბრისას აღმოჩნდა, რომ უმეტეს შემთხვევაში რესპონდენტთა დასახლებაში მსგავსი გარემო საერთოდ არ არსებობს, ან არ იცის, არსებობს თუ არა, 56% სწორედ ამაზე მიუთითებს. იმ რესპონდენტთა 23.4%, რომელთა აზრითაც, მათ დასახლებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ადაპტირებული გარემო არსებობს, შეფასებისას ნეიტრალურ პოზიციას იკავებს - თანაბრად კმაყოფილია და უკმაყოფილო (ქულა 3). როგორც ჩანს, რესპონდენტთა შეხედულებით, დასახლების დაგეგმარებისას შშმ პირთა საჭიროებები გათვალისწინებული არ არის, რადგანაც რესპონდენტთა 40.8% ადაპტირებული გარემოთი უკმაყოფილოა (იხ. ცხრილი #14).

ცხრილი #14

რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენს დასახლებაში...	დაგეგმარებით/ კეთილმოწყობით (N=1200)	შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემოთი (N=529)
სრულიად უკმაყოფილო	16%	21.8%
უფრო უკმაყოფილო, ვიდრე კმაყოფილი	23.1%	19%
თანაბრად კმაყოფილი და უკმაყოფილო	24.7%	23.4%
უფრო კმაყოფილი, ვიდრე უკმაყოფილო	21.2%	20.8%
სავსებით კმაყოფილი	14.4%	15.1%
უარი პასუხზე / მიჭირს პასუხის გაცემა	0.7%	

საკითხის რეგიონების ჭრილში გაანალიზებისას გამოიკვეთა, რომ დაგეგმარებითა და კეთილმოწყობით სამცხე-ჯავახეთში (42.1%) უფრო მეტად არიან კმაყოფილნი, ვიდრე ქვემო ქართლში (29%) (ქულები 4 და 5). მეტიც, ქვემო ქართლში დომინანტურ პოზიციას უკმაყოფილო რესპონდენტები იკავებენ - 42.9% (ქულები 1 და 2). მეორე მხრივ, საინტერესოა, რომ ქვემო ქართლში ყოველი მეორე გამოკითხულის (49.9%) შეფასებით, მათ დასახლებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ადაპტირებული გარემო არ არსებობს, ან არ იცის, არსებობს თუ არა. აღნიშნული მაჩვენებელი სამცხე-ჯავახეთში 62%-ს უტოლდება. ქვემო ქართლში გამოკითხულ იმ პირთა 32%-მა, რომელთაც მათ დასახლებაში ადაპტირებული გარემოს არსებობაზე მიუთითა, გარემოს შეფასებისას ნეიტრალური პოზიცია დაიკავა (ქულა 3). ქვემო ქართლში, ძირითადად, უკმაყოფილო რესპონდენტები ჭარბობენ - 51.2% (ქულები 1 და 2). სამცხე-ჯავახეთში განსხვავებული შედეგები მიიღეს. როგორც ჩანს, რესპონდენტთა შეფასებით, სამცხე-ჯავახეთში დასახლების დაგეგმარებისას მეტად არის გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებები. იმ პირთა 61% მიიჩნევს, რომ დასახლებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ადაპტირებული გარემოა და შესაბამისად, კმაყოფილია (ქულები 4 და 5). (იხ. ცხრილი #15).

ცხრილი #15

რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენს დასახლებაში... (რეგიონის ჭრილი)	დაგეგმარებით/ კეთილმოწყობით		შშმ პირებისთვის ადაპტირე-ბული გარემოთი	
	სამცხე-ჯავახეთი (N=600)	ქვემო ქართლი (N=600)	სამცხე-ჯავა-ხეთი (N=231)	ქვემო ქართლი (N=298)
სრულიად უკმაყოფილო	12.7%	19.3%	12.1%	29.2%
უფრო უკმაყოფილო, ვიდრე კმაყოფილი	22.6%	23.6%	14.9%	22%
თანაბრად კმაყოფილი და უკმაყოფილო	22.1%	27.3%	12%	32%
უფრო კმაყოფილი, ვიდრე უკმაყოფილო	23.7%	18.7%	28.3%	15.1%
სავსებით კმაყოფილი	18.4%	10.3%	32.7%	1.8%
უარი პასუხზე / მიჭირს პასუხის გაცემა	0.5%	0.8%		

როგორც აღმოჩნდა, რესპონდენტები, დასახლების დაგეგმარების/კეთილმოწყობის თვალსაზრისით, თითქმის თანაბრად უკმაყოფილონი არიან შემდეგი მიზეზებით:

- გზების ცუდი მდგომარეობა - 24.3%
- ტროტუარების ცუდი მდგომარეობა - 23.9%
- სკვერების ნაკლებობა - 25.7%
- სპორტული ინფრასტრუქტურის ნაკლებობა - 23.9%

მთლიანობაში 2%-საც კი ვერ აღწევს სხვა ისეთ მიზეზთა წილი, როგორებიცაა: ქუჩის განათება, ე.წ. „მწოლიარე პოლიციელების“ არარსებობა, ტრანსპორტის სიშორე, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავარიული შენობები, სანიაღვრე არხების არარსებობა და ა.შ. (იხ. დიაგრამა #7).

დიაგრამა #7



რაც შეეხება დასახლებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ადაპტირებული გარემოს უკმაყოფილების მიზეზებს, დომინანტურ პოზიციას ეტლით მოსარგებლე პირებისთვის პანდუსების არარსებობა იკავებს (40%), ეტლით მოსარგებლეთა თითქმის მეოთხედი არაადაპტირებული ტრანსპორტის პრობლემას (24.5%) გამოკვეთს, ხოლო მეხუთედი პრობლემად არაადაპტირებულ შენობებს ასახელებს (20.8%) (იხ. დიაგრამა #8).

დიაგრამა #8



რეგიონების ჭრილშიც იდენტური პრობლემები გამოიკვეთა. ერთი მხრივ, დაგეგმარების მიმართულებით გამოვლინდა პრობლემები:

- გზების მდგომარეობა: სამცხე-ჯავახეთი -25.3% , ქვემო ქართლი - 23.7%
- ტროტუარების მდგომარეობა: სამცხე-ჯავახეთი - 22.3%, ქვემო ქართლი - 25%
- სკვერების ნაკლებობა: სამცხე-ჯავახეთი - 25.3%, ქვემო ქართლი - 26%
- სპორტული ინფრასტრუქტურის ნაკლებობა: სამცხე-ჯავახეთი - 25.3%, ქვემო ქართლი - 23%

მეორე მხრივ კი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ადაპტირებულ გარემოსთან მიმართებით ყველაზე პრობლემურია პანდუსების არარსებობა ეტლით მოსარგებლე პირებისთვის (სამცხე-ჯავახეთი - 35.3%, ქვემო ქართლი - 42%). ამასთან ერთად, კვლევაში მონაწილე ორივე რეგიონში მცხოვრებთა უკმაყოფილების მიზეზია ეტლით მოსარგებლეთათვის არაადაპტირებული შენობები (სამცხე ჯავახეთი - 26.3%, ქვემო ქართლი - 18.5%) და ტრანსპორტი (სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი - 26.2%) (იხ. ცხრილი #16).

ცხრილი #16

კერძოდ, რით ხართ უკმაყოფილო თქვენი დასახლების დაგეგმარებასთან/კეთილმოწყობასთან მიმართებით? (რეგიონის ჭრილი)		
	სამცხე-ჯავახეთი (N=211)	**ქვემო ქართლი (N=248)**
გზების მდგომარეობა	25.3%	23.7%
ტროტუარების მდგომარეობა	22.3%	25%
სკვერების ნაკლებობა	25.3%	26%
სპორტული ინფრასტრუქტურის ნაკლებობა	25.3%	23%
სხვა	1.6%	2.1%
უარი პასუხზე / მიჭირს პასუხის გაცემა	0.3%	0.2%

კერძოდ, რით ხართ უკმაყოფილო თქვენი დასახლების დაგეგმარებასთან/კეთილმოწყობასთან მიმართებით? (რეგიონის ჭრილი)		
	სამცხე-ჯავახეთი (N=211)	**ქვემო ქართლი (N=248)**
კერძოდ, რით ხართ უკმაყოფილო თქვენს დასახლებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ადაპ-ტირებულ გარემოსთან მიმართებით? (რეგიონის ჭრილი)		
	სამცხე-ჯავახეთი (N=65)	**ქვემო ქართლი (N=155)**
პანდუსების არარსებობა ეტლით მოსარგებლე პირებისთვის	35.3%	42%
დაზიანებული პანდუსები	12.6%	10.5%
არაადაპტირებული ტრანსპორტი ეტლით მოსარგებლე პირებისთვის	20.8%	26.2%
არაადაპტირებული შენობები ეტლით მოსარგებლე პირებისთვის	26.3%	18.5%
სხვა	-	-
უარი პასუხზე / მიჭირს პასუხის გაცემა	5.1%	2.9%

რვავე მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებთან ჩატარებულ ფოკუს-ჯგუფებში გამოიკვეთა არსებული სახელმწიფო პროგრამების შესახებ მეტი ინფორმაციის მიღების სურვილი. მოსახლეობას ინფორმაციის მიღება მათი ინტერესის და საქმიანობის სფეროს მიხედვით ესაჭიროებათ. კერძოდ, ფერმერებს სოფლის მეურნეობის სექტორში არსებული სერვისების/მხარდამჭერი პროგრამების შესახებ სურთ ინფორმაციის მიღება, ახალგაზრდებს როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობის შესახებ, შშმ პირებს ისეთი სოციალური პროგრამების შესახებ, რომლებიც მათ დამოუკიდებელ ცხოვრებაში დაეხმარებათ, მცირე მეწარმეები ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამების შესახებ ისურვებდნენ ინფორმაციის მიღებას და ა.შ.

თავი 6. სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობა

თვისებრივი კვლევისთვის საინტერესო იყო მოსახლეობის მოსაზრებების გაგება იმასთან დაკავშირებით, რამდენად თანაბრად მიუწვდებათ ხელი სახელმწიფო სერვისებზე ეთნიკურად ქართველებსა და სხვა ეროვნების წარმომადგენლებს (აზერბაიჯანელებს, სომხებს). ეთნიკურ უმცირესობებთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებში მკაფიოდ გამოიკვეთა მოსაზრება, რომ ქართველებისთვის უფრო მეტად ხელმისაწვდომია არსებული სერვისები, ვიდრე დანარჩენი ეთნიკური ჯგუფებისთვის.

> *„კონკრეტულად ვერაფერს ვერ გეტყვით, მაგრამ ასე მგონია, რომ ქართველები ყველაფრით სარგებლობენ, სადაც არ უნდა შევიდნენ. მაგრამ ჩვენ ჩვენი უფლებები არ ვიცით“ (62 წლის კაცი, უმუშევარი, ეთნიკურად სომეხი, წალკა).*

ქვემო ქართლში მცხოვრებმა აზერბაიჯანელებმა აღნიშნეს, რომ მუნიციპალურ ორგანოებში ძირითადად ეთნიკური ქართველები არიან დასაქმებულნი და შესაბამისად, ქართულის ენის არმცოდნე მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიღება რთულია. სერვისის მისაღებად საჭიროა ქართულ ენაზე განცხადების მომზადება და დოკუმენტების შეგროვება, რაშიც ქართული ენის მცოდნე ადამიანის დახმარება აუცილებელია. ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ თანაბარი ხელმისაწვდომობის პრობლემა უფრო მეტად უფროსი თაობის წარმომადგენლებს აქვთ, რადგან ქართულ ენას არ/ცუდად ფლობენ. ბოლო წლებში „1+4 საგანმანათლებლო პროგრამის“ მეშვეობით სულ უფრო მეტი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ახალგაზრდა სწავლობს ქართულ ენას ისეთ დონეზე მაინც, რომ ინფორმაციის მიღება და სერვისებით სარგებლობა შეძლონ. თუმცა, როგორც აღინიშნა, არაინფორმირებულობის პრობლემა მწვავედ დგას ქართულის ენის არმცოდნე ეთნიკური უმცირესობების საშუალო და უფროსი ასაკის წარმომადგენლებში.

> *„მე ბანკში ვმუშაობდი და სომხები რომ შემოდიოდნენ, მცნობდნენ, რომ სომეხი ვიყავი და ყველა ჩემთან მოდიოდა იმიტომ, რომ ქართული ენა არ იცოდნენ. მე რომ ბანკში არ მემუშავა, არ ვიცი შემოვიდოდნენ თუ არა ინფორმაციის მისაღებად. ჩემი აზრით, მთავარი პრობლემა ენის არცოდნაა“ (27 წლის კაცი, ეთნიკურად სომეხი, დასაქმებული, წალკა)*

ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ეთნიკურ ქართველებს სერვისების თანაბარ ხელმისაწვდომობაზე საუბარი გაუჭირდათ, რადგან ეს საკითხი მათთვის აქტუალური არ არის. მით უფრო იმ ნაწილისთვის, რომელსაც სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებთან ურთიერთობა არ აქვს - „მე არ ვიცი, არავინ არ მყავს ისეთი, რამე პრობლემა რომ შეჰქმნოდა, რამდენადაც ვიცი, ყველაფრით სარგებლობენ, რითაც ჩვენ“ (50 წლის ქალი, უმუშევარი, ეთნიკურად ქართველი, ახალციხე).

ქართველებთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფის რამდენიმე მონაწილის შეფასებით, ეთნიკურ უმცირესობებს მათ მშობლიურ ენაზე ინფორმაცია პროგრამების/სერვისების შესახებ აქტიურად მიეწოდებათ და შესაბამისად, სარგებლობისთვის ყველა წინაპირობა არსებობს.

თავი 7. კომუნალური ინფრასტრუქტურა

ელექტროენერგია

კვლევაში მონაწილე პირთა უმრავლესობას (96.6%) ელექტროენერგია ყოველდღიურად, ფაქტობრივად 24 საათის განმავლობაში, მიეწოდება (სამცხე-ჯავახეთი - 99.7%, ქვემო ქართლი - 93.4%), ხოლო 3.4%-ს - უგრაფიკოდ (ხშირად ეთიშება) (სამცხე-ჯავახეთი - 0.3%, ქვემო ქართლი - 6.6%). რესპონდენტებმა ზამთრისა და სხვა სეზონებზე მიწოდებული ელექტროენერგიის სიმძლავრით კმაყოფილება 5-ქულიან სკალაზე შეაფასეს, რომელზედაც ქულა 1 აღნიშნავდა კატეგორიას „სრულიად უკმაყოფილო“, ხოლო ქულა 5 - კატეგორიას „სავსებით კმაყოფილი“. გამოკითხულთა თითქმის თანაბარი წილი ელექტროენერგიის სიმძლავრით კმაყოფილია (ქულები 4 და 5) როგორც ზამთრის (83.8%), ისე დანარჩენ სეზონებზე (86.7%). უკმაყოფილოთა რიცხვი საშუალოდ 6%-ს უტოლდება (იხ. დიაგრამა #9).

დიაგრამა #9



ელექტროენერგიის სიმძლავრით კმაყოფილება ორივე რეგიონში მაცხოვრებლებისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა სამცხე-ჯავახეთში მაჩვენებელი უფრო მაღალია როგორც ზამთრის, ისე დანარჩენი სეზონების განხილვისას (იხ. დიაგრამა #10).

დიაგრამა #10



გაზმომარაგება

რესპონდენტთა 83.5%-მა მიუთითა, რომ მათ დასახლებაში ცენტრალური გაზსადენი ფუნქციონირებს. უმრავლესობას (98.6%) კი გაზი ცენტრალიზებული სისტემიდან ყველა სეზონზე მიეწოდება. 0.8%-ს (N=9) უტოლდება მათი წილი, ვისაც მხოლოდ სეზონურად მიეწოდება, ხოლო 4 ადამიანის გამოცდილებით, მათ ოჯახს ცენტრალიზებული სისტემიდან გაზი არ მიეწოდება. ქვემო ქართლის რეგიონში უფრო მაღალია იმ რესპონდენტთა წილი, რომელთა შეფასებითაც, მათ დასახლებაში ცენტრალური გაზსადენი ფუნქციონირებს - 88.1% (სამცხე-ჯავახეთი - 79%). ორივე რეგიონში საშუალოდ 98%-ს ცენტრალიზებული სისტემიდან გაზი ყველა სეზონზე მიეწოდება.

გამოკითხულთა 16.3%-ის შეფასებით, მათ დასახლებაში ცენტრალური გაზსადენი არ არის. მათი დიდი ნაწილი (46.5%) ყველა სეზონზე გაზის ბალონით სარგებლობს, ხოლო თითქმის მეოთხედი (24%) - მხოლოდ სეზონურად. იმ რესპონდენტთა 29.5%, რომელთა დასახლებაშიც ცენტრალური გაზსადენი არ არის, მიუთითებს, რომ არც გაზის ბალონით სარგებლობს. სამცხე-ჯავახეთში გამოკითხულთა 72.3%, რომელთაც გაზი ცენტრალიზებულად არ მიეწოდებათ, ყველა სეზონზე ან სეზონურად გაზის ბალონით სარგებლობს, ქვემო ქართლში კი ეს მაჩვენებელი 67.7%-მდეა შემცირებული.

გამოვლინდა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა (78.2%) გაზმომარაგებით (როგორც ცენტრალური გაზმომარაგება, ისე გაზის ბალონები) კმაყოფილია (ქულები 4 და 5). მეათედს მცირედით აღემატება უკმაყოფილო პირთა წილი (11.8%) (იხ. დიაგრამა #11).

დიაგრამა #11

გაზით სარგებლობის განსხვავებული გამოცდილების მიუხედავად, როგორც სამცხე-ჯავახეთში,

ისე ქვემო ქართლში გამოკითხულ რესპონდენტთა 78% კმაყოფილია გაზმომარაგებით (ქულები



4 და 5). თუმცა აღსანიშნავია, რომ ნეიტრალურ პოზიციას ქვემო ქართლში გამოკითხულთა მეა-თედზე მეტი ავლენს - 11.8%. სამცხე-ჯავახეთში კი მაჩვენებელი 7.5%-მდეა შემცირებული (იხ. ცხრილი #17).

ცხრილი #17

რამდენად კმაყოფილი ხართ გაზმომარაგებით (იგულისხმება როგორც ცენტრალური გაზმომარაგება, ისე გაზის ბალონები)? (რეგიონის ჭრილი)	სამცხე-ჯავა-ხეთი (N=567)	ქვემო ქართლი (N=579)
სრულიად უკმაყოფილო	4.5%	5.1%
უფრო უკმაყოფილო, ვიდრე კმაყოფილი	9.2%	4.7%
თანაბრად კმაყოფილი და უკმაყოფილო	7.5%	11.8%
უფრო კმაყოფილი, ვიდრე უკმაყოფილო	29.4%	22.1%
სავსებით კმაყოფილი	49%	55.9%
უარი პასუხზე	0.3%	0.4%

წყალმომარაგება

რესპონდენტების უმრავლესობა (52.6%) შინამეურნეობის წყლით მომარაგების მიზნით სახლში (ბინაში) ონკანის წყალს იყენებს (წყლის კომპანიის მილსადენიდან). მეათედზე მეტმა კი აღნი-შნა, რომ ამ მიზნით სახლის გარეთ მდებარე წყლის კომპანიის საერთო ონკანის წყალს იყენებს. 8.4% შინამეურნეობას მდინარის, ტბის, აუზის და სხვა ბუნებრივი რესურსის წყლით ამარაგებს (იხ. დიაგრამა #12).

დიაგრამა #12

ზოგადი ტენდენცია შენარჩუნებულია როგორც სამცხე-ჯავახეთში, ისე ქვემო ქართლში. სამცხე--ჯავახეთში გამოკითხულთა უმრავლესობა (58.3%) მიუთითებს, რომ შინამეურნეობის წყლით



მომარაგების მიზნით სახლში (ბინაში) ონკანის წყალს იყენებს. ამ წყაროს მომხმარებელთა წილი ქვემო ქართლში 47.8%-ია. აქვე გასათვალისწინებელია, რომ თუკი სამცხე-ჯავახეთში გამოკითხულთა შორის ყოველი მეხუთე სახლის გარეთ მდებარე წყლის კომპანიის საერთო ონკანის წყლით სარგებლობს, ქვემო ქართლში მაჩვენებელი 7.4%-მდეა შემცირებული. მეორე მხრივ, ქვემო ქართლში წყლის მომარაგებისთვის უფრო გამოიყენებენ ჭას (საკუთარს ან საერთოს) - რესპონდენტთა თითქმის მეხუთედი ამ წყაროს იყენებს, მაშინ, როდესაც სამცხე-ჯავახეთში ჭის გამომყენებელთა წილი 1%-იც არ არის (იხ. ცხრილი #18).

ცხრილი #18

გთხოვთ, ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროებიდან შეაფასოთ, რომელ მათგანს იყენებთ შინამეურნეობის წყლით მომარაგების მიზნით? (რეგიონის ჭრილი)	სამცხე-ჯავახეთი (N=600)	ქვემო ქართლი (N=600)
სახლში (ბინაში) ონკანის წყალი, წყლის კომპანიის მილსადენიდან	58.3%	47.8%
სახლის გარეთ მდებარე, წყლის კომპანიის საერთო ონკანის წყალი	22.5%	7.4%
სახლში მდებარე საკუთარი ჭა, ელექტრო წყალსატუმბით ან ელექტრო სატუმბის გარეშე	0.7%	8.4%
საერთო ჭა, ელექტრო წყალსატუმბით ან ელექტრო სატუმბის გარეშე	0.1%	10.6%
მეზობლის ჭა	0.4%	2.5%

გთხოვთ, ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროებიდან შეაფასოთ, რომელ მათგანს იყენებთ შინამეურნეობის წყლით მომარაგების მიზნით? (რეგიონის ჭრილი)	სამცხე-ჯავახეთი (N=600)	ქვემო ქართლი (N=600)
მაღაზიაში ნაყიდი, ბოთლში ჩამოსხმული წყალი	0.6%	6%
მდინარის, ტბის, აუზის და სხვა ბუნებრივი რესურსის წყალი	10.8%	6.4%
სარწყავი ან დრენაჟის არხი (მაგ.: რეცხვისთვის, სასოფლო-სამეურნეო და სხვა მიზნებისთვის)	3.7%	4.8%
სატრანსპორტო საშუალებით მოტანილი წყალი	0.3%	6%
არ ვიყენებ არცერთ ზემოთ ჩამოთვლილ წყაროს	2.6%	0.2%

მომდევნო რამდენიმე შეკითხვას მხოლოდ იმ რესპონდენტებმა უპასუხეს, რომლებმაც მიუთითეს, რომ შინამეურნეობის წყლით მომარაგების მიზნით შემდეგ წყაროებს იყენებენ:

- სახლში (ბინაში) ონკანის წყალი, წყლის კომპანიის მილსადენიდან;
- სახლის გარეთ მდებარე წყლის კომპანიის საერთო ონკანის წყალი;
- სახლში (კორპუსში) მდებარე საკუთარი ჭა, ელექტროწყალსატუმბით ან ელექტროსატუმბის გარეშე;
- საერთო ჭა ელექტროწყალსატუმბით ან ელექტროსატუმბის გარეშე;
- მეზობლის ჭა;
- მდინარის, ტბის, აუზის და სხვა ბუნებრივი რესურსების წყალი.

ამ რესპონდენტთა ნახევრის (51%) შეფასებით, სასმელი წყალი თითქმის უწყვეტად მოდის, ხოლო დაახლოებით ყოველი მესამის გამოცდილებით - ყოველდღე გარკვეული დროით; მეათედს აჭარბებს მათი წილი, ვისთანაც სასმელი წყალი კვირაში რამდენჯერმე მოდის (13.6%). მხოლოდ 6 რესპონდენტი აღმოჩნდა, რომლებმაც მიუთითეს, რომ სასმელი წყალი თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათად მიეწოდებათ (იხ. დიაგრამა #13).

დიაგრამა #13

სამცხე-ჯავახეთში უკეთესი გამოცდილებაა სასმელი წყლის მიწოდების სიხშირესთან მიმართებით: გამოკითხულთა უმრავლესობა (95.2%) აღნიშნავს, რომ სასმელი წყალი თითქმის უწყვეტად ან ყოველდღე გარკვეული დროით მოდის. ქვემო ქართლის შემთხვევაში მაჩვენებელი 70.7%-

მდეა შემცირებული, ხოლო თითქმის ყოველი მეოთხე მიუთითებს, რომ სასმელი წყალი კვირაში



რამდენჯერმე მიეწოდება (23.6%) (იხ. დიაგრამა #14).

დიაგრამა #14

ამავე რესპონდენტებმა 5-ქულიან სკალაზე სასმელი წყლის ხარისხი შეაფასეს (ქულა 1 შეესაბამებოდა კატეგორიას „ძალზე უხარისხო“, ხოლო ქულა 5 კატეგორიას - „ძალზე ხარისხიანი“). გამოკითხულთა 41.2% სასმელ წყალს აფასებს, როგორც ხარისხიანს (ქულები 4 და 5) (სამცხე-ჯავახეთი - 41.4%, ქვემო ქართლი - 41%), თუმცა აღსანიშნავია, რომ მესამედზე მეტის მოსაზრებით, წყალი უხარისხოა (37.6%). მეხუთედმა კი ნეიტრალური პოზიცია დაიკავა (იხ. დიაგრამა #15).



დიაგრამა #15

შემდგომ ეტაპზე ყველა რესპონდენტმა, რომლებმაც ჩამოთვლილი წყაროებიდან რომელიმეს იყენებდა შინამეურნეობის წყლით მომარაგების მიზნით, შეაფასა, თუ რამდენად საკმარისია მიწოდებული წყლის რაოდენობა მათი საყოფაცხოვრებო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 53.7%-ის შეფასებით, საკმარისია (ქულები 4 და 5), ხოლო 35.3%-ის პოზიცია ნეგატიური შეფასების ველში ექცევა (ქულები 1 და 2). ყოველი მეათე რესპონდენტი შუალედურ პოზიციას იკავებს (ქულა 3) (იხ. დიაგრამა #16).



დიაგრამა #16

აღმოჩნდა, რომ რესპონდენტთა შინამეურნეობების 35.5% არ იხდის წყლის საფასურს, 34.9%-ის შემთხვევაში აღნიშნული საფასური მრიცხველის მიხედვით ითვლება, ხოლო მეოთხედი (25.6%) - სულადობის / ოჯახის წევრების რაოდენობის მიხედვით (3.1%-ს გაუჭირდა განსაზღვრა ან უარი განაცხადა პასუხზე).

რეგიონების ჭრილში მონაცემების განხილვა აჩვენებს, რომ სამცხე-ჯავახეთში გამოკითხულთა შინამეურნეობების 40% წყლის საფასურს არ იხდის, მსგავს პოზიციას იკავებს თითქმის ყო-



ველი მესამე რესპონდენტი ქვემო ქართლიდან. ამ რეგიონში გამოკითხულთა ნახევარს წყლის საფასური მრიცხველის მიხედვით ერიცხება (49%), ხოლო 17.3%-ს - სულადობის/ოჯახის წევრების რაოდენობის მიხედვით. მეორე მხრივ, სამცხე-ჯავახეთში გამოკითხულთა მესამედზე მეტი (34%) სულადობის მიხედვით იხდის საფასურს, ხოლო ყოველი მეხუთე - მრიცხველის მიხედვით (20.5%).

იმ პირთა უმრავლესობა, ვინც წყლის საფასურს იხდის, უთითებს, რომ არსებული საფასური მათთვის ხელმისაწვდომია (4 და 5 ქულები 5-ქულიან სკალაზე). მეათედსაც ვერ აღწევს მათი წილი, ვინც არსებულ საფასურს არახელმისაწვდომად აფასებს (9%, 1 და 2 ქულები 5-ქულიან სკალაზე), ხოლო მეოთხედზე მეტი (27.5%) ნეიტრალურ პოზიციას იკავებს (ქულა 3) (იხ. დიაგრამა #17).

დიაგრამა #17

საირიგაციო სისტემა

კვლევაში მონაწილე პირთა უმრავლესობამ (71.6%) მიუთითა, რომ მათ დასახლებაში ცენტრალიზებული საირიგაციო (სარწყავი) სისტემა არ ფუნქციონირებს (სამცხე-ჯავახეთი - 84.9%, ქვემო ქართლი - 67.2%). ამ მხრივ პოზიტიური გამოცდილება მხოლოდ 21.8%-ს აქვს (სამცხე-ჯავახეთი - 13.6%, ქვემო ქართლი - 30%). მათი 67.6%-ის შეფასებით, აღნიშნული საირიგაციო სისტემა გამარ-



თულია (3 და 4 ქულები 4-ქულიან სკალაზე) (იხ. დიაგრამა #18).

დიაგრამა #18

იმ რესპონდენტთა დიდი ნაწილი (44.9%), რომელთა დასახლებაშიც ცენტრალიზებული საირიგაციო (სარწყავი) სისტემა ფუნქციონირებს, არსებული სისტემით კმაყოფილია (4 და 5 ქულები 5-ქულიან სკალაზე), მათ შორის თითქმის მეხუთედი სავსებით კმაყოფილია. მეორე მხრივ კი, გამოკითხულთა მესამედზე მეტი (36.6%) უკმაყოფილოა (1 და 2 ქულები 5-ქულიან სკალაზე) (იხ.

დიაგრამა #19).



დიაგრამა #19

სამცხე-ჯავახეთში გამოკითხულთა 44.3% დასახლებაში არსებული საირიგაციო სისტემით კმაყოფილია (ქულები 4 და 5). მსგავს პოზიციას ქვემო ქართლში თითქმის ამდენივე - 45.2% იკავებს (მოიცავს რესპონდენტებს, რომელთა დასახლებაშიც ცენტრალიზებული საირიგაციო (სარწყავი) სისტემა ფუნქციონირებს). უკმაყოფილოთა წილი ორივე რეგიონში თანაბარია და მესამედს აჭარბებს (საშუალოდ 36%) (იხ. ცხრილი #19).



ცხრილი #19

რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენს დასახლებაში არსებული საირიგაციო სისტემით? (რეგიონის ჭრილი)	**სამცხე-ჯავახეთი (N=78)**	**ქვემო ქართლი (N=168)**
სრულიად უკმაყოფილო	13.8%	14.9%

რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენს დასახლებაში არსებული საირიგაციო სისტემით? (რეგიონის ჭრილი)	სამცხე-ჯავახეთი (N=78)	ქვემო ქართლი (N=168)
უფრო უკმაყოფილო, ვიდრე კმაყოფილი	22.7%	21.8%
თანაბრად კმაყოფილი და უკმაყოფილო	19.3%	15.9%
უფრო კმაყოფილი, ვიდრე უკმაყოფილო	33.7%	23.7%
სავსებით კმაყოფილი	10.5%	21.6%
უარი პასუხზე	-	2.2%

საკანალიზაციო სისტემა

კვლევაში მონაწილე პირთა უმრავლესობა (65.1%) მიუთითებს, რომ მათ დასახლებაში ცენტრალური საკანალიზაციო სისტემა არ არის. ქვემო ქართლში არსებული მდგომარეობა ამ მხრივ უფრო დრამატულია (ცენტრალური საკანალიზაციო სისტემის არარსებობაზე მიუთითებს 77.9%), ვიდრე სამცხე-ჯავახეთის (52.4%). მესამედს მცირედით აჭარბებს მათი წილი, ვის დასახლებაშიც აღნიშნული სისტემა ფუნქციონირებს (34.7%) (სამცხე-ჯავახეთი - 47.3%, ქვემო ქართლი - 22.1%). საკანალიზაციო სისტემის არსებობის შემთხვევაში რესპონდენტთა 89.8%-ის სახლი ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემას მიერთებულია (სამცხე-ჯავახეთი - 95.6%, ქვემო ქართლი - 77.3%).

იმ რესპონდენტთა 85.6% ცენტრალური საკანალიზაციო სისტემით სარგებლობს, სისტემის გამართულობაზე მიუთითებს (3 და 4 ქულები 4-ქულიან სკალაზე), ყოველი მეათეს შეფასებით კი, სისტემა გაუმართავია (10.3%) (იხ. დიაგრამა #20).

დიაგრამა #20



ზოგადი ტენდენცია ნარჩუნდება სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლშიც. აღსანიშნავია, რომ სამცხე-ჯავახეთში იმ პირთა წილი, ვინც ცენტრალიზებული საკანალიზაციო სისტემის გამარ-

თულობაზე მიუთითებს 89.3%-ს უტოლდება, ხოლო ქვემო ქართლში 75.8%-მდე მცირდება (იხ. ცხრილი #20).

ცხრილი #20

თქვენი შეფასებით, რამდენად გამართულია არსებული ცენტრალიზებული საკანალიზაციო სისტემა? (რეგიონის ჭრილი)	სამცხე-ჯავახეთი (N=276)	ქვემო ქართლი (N=108)
სრულიად გაუმართავია	0.3%	3.5%
გაუმართავია	6.1%	17.2%
გამართულია	57%	72%
სავსებით გამართულია	32.3%	3.8%
უარი პასუხზე / მიჭირს პასუხის გაცემა	4.3%	3.5%

რესპონდენტთა 71% არსებული ცენტრალიზებული საკანალიზაციო სისტემით კმაყოფილია (4 და 5 ქულები 5-ქულიან სკალაზე), მათ შორის 30.9% - სავსებით კმაყოფილი (ქულა 5). უკმაყოფილო რესპონდენტთა წილი 13.1%-ს უტოლდება (ქულები 1 და 2) (იხ. დიაგრამა #21).

დიაგრამა #21

მართალია, როგორც სამცხე-ჯავახეთში (78%), ისე ქვემო ქართლში (52.4%) გამოკითხულთა უმრავ-



ლესობა ცენტრალიზებული საკანალიზაციო სისტემით კმაყოფილია (ქულები 4 და 5), თუმცა უკმაყოფილო რესპონდენტთა წილი ქვემო ქართლში (26%), სამცხე-ჯავახეთთან (8,2%) შედარებით, მნიშვნელოვნად დიდია (იხ. ცხრილი #21).

ცხრილი #21

რამდენად კმაყოფილი ხართ ცენტრალიზებული საკანალიზაციო სისტემით? (რეგიონის ჭრილი)	სამცხე-ჯავახეთი (N=276)	ქვემო ქართლი (N=108)
სრულიად უკმაყოფილო	0.9%	6.4%
უფრო უკმაყოფილო, ვიდრე კმაყოფილი	7.3%	19.6%
თანაბრად კმაყოფილი და უკმაყოფილო	12.7%	21.6%
უფრო კმაყოფილი, ვიდრე უკმაყოფილო	44.1%	29.7%
სავსებით კმაყოფილი	33.9%	22.6%
უარი პასუხზე	1.1%	-

ნარჩენების გატანა

გამოკითხულთა 91.8%-ის შეფასებით, მათი დასახლებიდან/უბნიდან ნარჩენების გატანის პრაქტიკა არსებობს (სამცხე-ჯავახეთი - 98.7%, ქვემო ქართლი - 84.8%). ნეგატიური პასუხი მხოლოდ 6.1%-მა დააფიქსირა (ქვემო ქართლი - 12.2%, სამცხე-ჯავახეთში ნეგატიური პასუხი არ დაფიქსირებულა (1.3%-მა პასუხზე უარი განაცხადა).

იმ რესპონდენტთა თითქმის მესამედი, რომელთა დასახლებაშიც/უბანშიც ნარჩენები გააქვთ, მიუთითებს, რომ ეს ყოველდღიური პრაქტიკაა (31.6%). 28.8% აღნიშნავს, რომ ნარჩენები უბნიდან/დასახლებიდან კვირაში ერთხელ გააქვთ, ხოლო 23.6%-ის შეფასებით - ყოველ მეორე დღეს. გამოკითხულთა მეათედზე მეტს (12.9%) გაუჭირდა პასუხის გაცემა, ან უარი თქვა პასუხზე (იხ. დიაგრამა #22).

დიაგრამა #22



ზოგადი ტენდენციაა შენარჩუნებულია ცალკეული რეგიონის ჭრილშიც. ორივე რეგიონში ნარჩენების გატანის სიხშირის აღმწერი კატეგორიები ასეთ შედეგს აჩვენებს:

- ყოველდღე: სამცხე-ჯავახეთი - 34%, ქვემო ქართლი - 28.8%
- ყოველ მეორე დღეს: სამცხე-ჯავახეთი - 17%, ქვემო ქართლი - 31.3%
- კვირაში ერთხელ: სამცხე-ჯავახეთი - 29.7%, ქვემო ქართლი - 27.7% (იხ. დიაგრამა #23)

დიაგრამა #23

ნარჩენების გატანის სერვისით მოსარგებლე რესპონდენტთა 73.3% აღნიშნული მომსახურებით კმაყოფილია (4 და 5 ქულები 5-ქულიან სკალაზე), მათ შორის 40.8% სავსებით კმაყოფილია (ქულა 5). უკმაყოფილოთა წილი 10%-საც კი არ აღწევს (იხ. დიაგრამა #24).



დიაგრამა #24

რესპონდენტთა 47.8%-ის შეფასებით, მათ მუნიციპალიტეტში ნაგავსაყრელი არის. სამცხე-ჯავახეთის რეგიონი ამ მხრივ გაცილებით უკეთ გამოიყურება (61.9%), ვიდრე ქვემო ქართლი



31.3%). რესპონდენტთა მეოთხედზე მეტი მიუთითებს, რომ მათ მუნიციპალიტეტში ნაგავსაყ-რელი არ ფუნქციონირებს (27.7%). სამცხე-ჯავახეთში ნაგავსაყრელის არარსებობაზე მიუთითებს

21.5%%, ხოლო ქვემო ქართლში - 34.9%%. (აქვე აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა მეხუთედზე მეტს (23.7%) გაუჭირდა პასუხის გაცემა, ხოლო 0.8%-მა პასუხზე უარი განაცხადა).

დასუფთავება

კვლევაში მონაწილე პირთა 65.9%-ის გამოცდილებით, მათ დასახლებაში/უბანში ქუჩებს არ ასუფთავებენ (ამ მხრივ, ქვემო ქართლში გაცილებით უარესი მდგომარეობაა (79.9%), ვიდრე სამცხე-ჯავახეთში - 51.9%). ქუჩების დასუფთავებაზე რესპონდენტთა მხოლოდ მესამედი (33.7%) მიუთითებს (ქვემო ქართლში - 19.5%, ხოლო სამცხე-ჯავახეთში - 48%).

იმ რესპონდენტებიდან, რომლებიც აღნიშნავენ, რომ მათ დასახლებაში/უბანში ქუჩებს ასუფთავებენ, 42.3% მიუთითებს, რომ ყოველდღიურად ასუფთავებენ, ხოლო მეათედზე მეტის შეფასებით, ყოველ მეორე დღეს (13.9%) ან კვირაში ერთხელ (11.5%). გამოკითხულთა 17.3%-ს გაუჭირდა კონკრეტული სიხშირის განსაზღვრა (იხ. დიაგრამა #25).

დიაგრამა #25

როგორც გამოკითხვა აჩვენებს, მიუხედავად იმისა, რომ (როგორც ითქვა) ქვემო ქართლში ქუჩების დასუფთავების პრაქტიკა უფრო იშვიათია (სამცხე-ჯავახეთთან შედარებით), იმ დასახლებებში/უბნებში, სადაც ეს ხდება, დასუფთავების სიხშირით ქვემო ქართლი უკეთესად გამოიყურება: 61.5%-ის შეფასებით, ქუჩების დასუფთავება ყოველდღე ხდება, სამცხე-ჯავახეთში კი აღნიშნული



მაჩვენებელი 34.5%-მდეა შემცირებული. ამ რეგიონში გამოკითხულთა მეხუთედზე მეტს უჭირს კონკრეტული სიხშირის განსაზღვრა, 15.6%-ის გამოცდილებით კი, ქუჩები ყოველ მეორე დღეს სუფთავდება (იხ. დიაგრამა #26).

დიაგრამა #26

დასუფთავების სერვისით მოსარგებლე რესპონდენტთა 74.9% მომსახურებით კმაყოფილია (4 და

5 ქულები 5-ქულიან სკალაზე), თითქმის მეხუთედი კი ნეიტრალურ პოზიციას იკავებს (19.1%, ქულა 3). 5%-ს მცირედით აჭარბებს იმ გამოკითხულთა წილი, რომელიც დასუფთავების სერვისით უკმა-



ყოფილოა (1 და 2 ქულები 5-ქულიან სკალაზე) (იხ. დიაგრამა #27).

დიაგრამა #27

როგორც სამცხე-ჯავახეთში (79.2%), ისე ქვემო ქართლში (64.3%) გამოკითხულთა უმრავლესობა დასუფთავების სამსახურის მომსახურებით კმაყოფილია (ქულები 4 და 5). მეორე მხრივ კი, სე-



რვისით უკმაყოფილო რესპონდენტთა წილი ქვემო ქართლში ჭარბობს (8.9%). საგულისხმოა, რომ სამცხე-ჯავახეთში გამოკითხულთა შორის არცერთი ინდივიდი არ არის დასუფთავების სამსახურის მომსახურების უკიდურესად უკმაყოფილო (ქულა 1) (იხ. ცხრილი #22).

ცხრილი #22

რამდენად კმაყოფილი ხართ დასუფთავების სამსახურის მომსახურებით? (რეგიონის ჭრილი)	**სამცხე-ჯავახეთი (N=291)**	**ქვემო ქართლი (N=124)**
სრულიად უკმაყოფილო	-	3.2%
უფრო უკმაყოფილო, ვიდრე კმაყოფილი	4.1%	5.7%
თანაბრად კმაყოფილი და უკმაყოფილო	16.5%	25.5%
უფრო კმაყოფილი, ვიდრე უკმაყოფილო	41.3%	23.9%
სავსებით კმაყოფილი	37.9%	40.4%
უარი პასუხზე	0.3%	1.2%

შემდგომ იმ რესპონდენტებმა, რომლებიც დასუფთავების სამსახურით უკმაყოფილონი არიან, ამ დამოკიდებულების მიზეზებზე ისაუბრეს. მათი 42.7% მომსახურების ხარისხითაა უკმაყოფილო, თითქმის მესამედი - ჰიგიენური ნორმების დაცვით (32.6%), ხოლო მეოთხედი - სიხშირით (24.7%).

* * *

თვისებრივი კვლევის ფარგლებში, რვავე მუნიციპალიტეტში ჩატარებული ფოკუს ჯგუფებში გამოკვეთა მოსაზრება, რომ ბოლო წლებში კომუნალური და საგზაო ინფრასტრუქტურა მუნიციპალიტეტებში გაუმჯობესდა. თუმცა, ამის მიუხედავად, დასახელდა პრობლემები, რომელთა მოგვარებაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ადგილობრივი მოსახლეობის ზოგად მდგომარეობას.

სოფლის მეურნეობაში ჩართული პირებისთვის პრობლემურია გაუმართავი სარწყავი წყლის სისტემა, რომელიც მნიშვნელოვნად აფერხებს სოფლის მეურნეობის განვითარებას. თუმცა, ისიც აღინიშნა, რომ ამ საკითხის მოგვარებაზე მუშაობენ და ახლო მომავალში სარწყავი წყლის პრობლემა შეიძლება მოგვარდეს. ქვემო ქართლში სასმელი წყლის პრობლემა განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში იჩენს თავს. აგრეთვე, პრობლემურია მოუწესრიგებელი საკანალიზაციო სისტემა, რომელიც ეკოლოგიური საფრთხის წინაშე აყენებს ზოგიერთ დასახლებას. გარდაბნელებმა აღნიშნეს, რომ ძველი ნაგავსაყრელები მეთვალყურეობის გარეშეა დატოვებული. პრობლემურია ისიც, რომ ახალი ნაგავსაყრელი საცხოვრებელთან ახლოს აშენდა.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ კოდაში კომპაქტურად დასახლებულმა იძულებით გადაადგილებულმა პირებმა აღნიშნეს, რომ დასახლებამდე მისასვლელი გზა მოუწესრიგებელია; საზოგადოებრივი ტრანსპორტით ვერ სარგებლობენ ან შორი მანძილის გავლა უწევთ.

რვავე მუნიციპალიტეტში ფოკუს-ჯგუფებში ჩართულმა პირებმა აღნიშნეს, რომ საზოგადოებრივი დაწესებულებები/სივრცეები ადაპტირებული არ არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. მონაწილეების ერთმა ნაწილმა აღნიშნა, რომ ბოლო პერიოდში აშენებული საჯარო დაწესებულებები ადაპტირებულია მობილობის შეზღუდვის მქონე პირებისთვის, თუმცა რესპონდენტებისთვის უცნობია რამდენად შეესაბამება არსებულ სტანდარტებს, რადგან ადაპტირებული გარემოთი მოსარგებლე შშმ პირი არ უნახავთ.

„ადაპტირების საკითხზე მუშაობა რამდენიმე წელია რაც დაიწყო. რამდენიმე შენობა და

გარემო არის ადაპტირებული, უბრალოდ რამდენად შეესაბამება სტანდარტებს არ ვიცი, შშმ პირი არ მინახავს იქ“ (32 წლის ქალი, დასაქმებული, ეთნიკური ქართველი, ბოლნისი).

მარნეულის ფოკუს-ჯგუფში მონაწილე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე რესპონდენტმა, რომელიც პროფესიული სასწავლებლის „მოდუსის“ სტუდენტია, აღნიშნა, რომ სასწავლებელი შშმ პირთათვის ადაპტირებულია.

თავი 8. კლიმატის ცვლილებები და მისით გამოწვეული ჯანმრთელობის პრობლემები

გამოკითხვისას რესპონდენტთა კლიმატის ცვლილებების შესახებ ინფორმირებულობა შეფასდა. როგორც აღმოჩნდა, მათ უმრავლესობას (71%) შესასწავლი საკითხის შესახებ სმენია (სამცხე-ჯავახეთი - 74%, ქვემო ქართლი - 68%). არაინფორმირებულ რესპონდენტთა წილი შედარებით მაღალია, ქვემო ქართლში - 30%, სამცხე-ჯავახეთში კი აღნიშნული მაჩვენებელი 23.6%-მდეა შემცირებული.

კლიმატის ცვლილებების შესახებ ინფორმირებულ რესპონდენტთა საშუალოდ მეხუთედს ბოლო 5 წლის განმავლობაში საცხოვრებელ ადგილას გვალვებისა (22.5%) და ნალექების (წვიმა, სეტყვა) გახშირება (18.9%) შეუნიშნავთ. 16.5% ქარების გახშირებაზე მიუთითებს, 8,7% კი კლიმატის ცვლილების კუთხით წყლის ხარისხის გაუარესებას გამოკვეთს (იხ. დიაგრამა #28).

დიაგრამა #28

სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლშიც სწორედ ზემოთ განხილული კატეგორიებია დომინან-

ხომ არ შეგინიშნავთ,ბოლო 5 წლის განმავლობაში თქვენს საცხოვრებელ ადგილას (ქალაქში/მუნიციპალურ ცენტრში/დაბაში/სოფელში) რაიმე მოვლენები კლიმატის/გარემოს ცვლილების კუთხით?(N=860)



ტური, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ქვემო ქართლში გარემოს ცვლილებების შესახებ ინფორმირებულ რესპონდენტთა მეოთხედზე მეტის შეფასებით, ბოლო 5 წლის განმავლობაში მათ საცხოვრებელ ადგილას გვალვების გახშირება (27.1%) შეინიშნება, ხოლო სამცხე-ჯავახეთში გამოკითხულთა თითქმის მეოთხედის შეფასებით - ქარების გახშირება (24.3%) (იხ. ცხრილი #23).

ცხრილი #23

ხომ არ შეგინიშნავთ ბოლო 5 წლის განმავლობაში თქვენს საცხოვრებელ ადგილას (ქალაქში/მუნიციპალურ ცენტრში/დაბაში/სოფელში) რაიმე მოვლენები კლიმატის/გარემოს ცვლილების კუთხით? (რეგიონის ჭრილი)	სამცხე-ჯავახეთი (N=448)	ქვემო ქართლი (N=412)
ტყეების გაჩეხვა	4.9%	5.7%
ნიადაგის ეროზია ან გამოფიტვა (გაუდაბნოება)	5.5%	7.2%
ველური ცხოველების რაოდენობის ან სახეობების შემცირება	0.9%	0.9%
მცენარეების სახეობების ან რაოდენობის შემცირება	1.3%	4.5%
ინვაზიური(შემოჭრილი) ახალი სახეობები (მაგ. ფაროსანა)	3.1%	5.5%
ბუნებრივი კატასტროფების (წყალდიდობა, მეწყერი, ღვარცოფი) გახშირება	3.8%	2.2%
წყლის ხარისხის გაუარესება	7.1%	10.5%
გვალვების გახშირება	18.3%	27.1%
ნალექების (წვიმა, სეტყვა) გახშირება	19.7%	18.1%
ქარების გახშირება	24.3%	8%
სხვა	2.4%	3.3%
მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე	8.7%	7.1%

ასევე, ინფორმირებულმა რესპონდენტებმა შეაფასეს, იწვევს თუ არა კლიმატის ცვლილებები მათ საცხოვრებელ ადგილას ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ უარყოფით შედეგებს. შეფასებისთვის გამოყენებულ იქნა 5-ქულიანი სკალა, რომელზეც ქულა 1 აღნიშნავდა კატეგორიას „საერთოდ არ იწვევს“, ხოლო ქულა 5 კატეგორიას - „ერთმნიშვნელოვნად იწვევს“. გამოკითხულთა ძირითადი ნაწილი მიიჩნევს, რომ გარემოს ცვლილებები ქვემოთ ჩამოთვლილ ჯანმრთელობის პრობლემებს არ იწვევს (ქულები 1 და 2):

- სხვადასხვა ტიპის ინფექციების გავრცელება, რომელთა გადამტანები არიან მწერები და უხერხემლო ცხოველები (მაგალითად, მალარია და სხვ.) – 57.2%;
- ვირუსული დაავადებების (გრიპი, C ჰეპატიტი, ჩუტყვავილა და სხვ.) წარმოშობა/გავრცელება - 48.9%;
- კიბოს ზრდა, რომელიც გამოწვეულია უარყოფითად შეცვლილი გარემოთი (დაბინძურებული წყალი, ჰაერი, საკვები, მაღალი სიცხე და ა.შ.) – 31.4%;
- სიკვდილიანობის ზრდა - 34.8%.

მეორე მხრივ კი, დაახლოებით ყოველი მესამე რესპონდენტი მიიჩნევს, რომ კლიმატის ცვლილებები იწვევს გულის დაავადებისა (31.9%) და ინსულტის (31.3%) ზრდას, რომელიც განპირობებულია უარყოფითად შეცვლილი გარემოთი (ქულები 4 და 5) (იხ. ცხრილი #24).

ცხრილი #24

თქვენი აზრით, იწვევს თუ არა კლიმატის/გარემოს ცვლილებები თქვენს საცხოვრებელ ადგილას (ქალაქში/ მუნიციპალურ ცენტრში/დაბაში/სოფელში) ქვემოთ ჩამოთვლილ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ უარყოფით შედეგებს? (N=860)	საერთოდ არ იწვევს	2	3	4	ერთმნიშვნელოვნად იწვევს	მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე
სხვადასხვა ტიპის ინფექციების გავრცელებას, რომელთა გადამტანები არიან მწერები და უხერხემლო ცხოველები. ასეთი დაავადებებია, მაგალითად, მალარია და სხვ.	30.1%	27.1%	16.8%	6.4%	8.1%	11.5%
ვირუსული დაავადებების (გრიპი, C ჰეპატიტი, ჩუტყვავილა და სხვ.) წარმოშობა/გავრცელებას	25.2%	23.8%	21.3%	7.3%	11.2%	11.2%
გულის დაავადებების ზრდას, რაც გამოწვეულია უარყოფითად შეცვლილი გარემოთი (დაბინძურებული წყალი, ჰაერი, საკვები, მაღალი სიცხე და ა.შ.)	15%	17.6%	28.6%	17.1%	14.8%	7%
ინსულტის ზრდას, რომელიც გამოწვეულია უარყოფითად შეცვლილი გარემოთი (დაბინძურებული წყალი, ჰაერი, საკვები, მაღალი სიცხე და ა.შ.)	13.9%	16.6%	28.7%	18.5%	12.9%	9.5%
კიბოს ზრდას, რომელიც გამოწვეულია უარყოფითად შეცვლილი გარემოთი (დაბინძურებული წყალი, ჰაერი, საკვები, მაღალი სიცხე და ა.შ.)	15.4%	16.1%	31.5%	13.6%	12.2%	11.3%
სიკვდილიანობის ზრდას	15.5%	19.3%	26.6%	13.8%	11.1%	13.6%

რეგიონულ ჭრილშიც, გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, კლიმატის ცვლილებები სხვადასხვა ტიპის ინფექციების გავრცელებას არ იწვევს (ქულები 1 და 2): სამცხე-ჯავახეთი - 56.6%, ქვემო ქართლი - 57.8%. მსგავსი შეფასებები ვლინდება ვირუსული დაავადებების შემთხვევაშიც - რესპონდენტთა ძირითადი ნაწილი მიიჩნევს, რომ ჯანმრთელობის მსგავსი პრობლემების გამომწვევი გარემოს ცვლილებები არ არის: სამცხე-ჯავახეთი - 45.5%, ქვემო ქართლი - 52.7%. ლოგიკურია, რომ რეგიონულ ჭრილშიც სწორედ იმ კატეგორიებშია თანხმობის შედარებით მაღალი მაჩვენებელი, რომლებიც შინაარსობრივად შეცვლილ გარემოს უკავშირდება, მათ შორის, დაბინძურებულ წყალს, ჰაერს, საკვებს, მაღალ ტემპერატურას და ა.შ. როგორც სამცხე-ჯავახეთში, ისე ქვემო ქართლში გამოკითხულთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ კლიმატის ცვლილება გულის დაავადებისა (სამცხე-ჯავახეთი - 32.6%, ქვემო ქართლი - 31.1%) და ინსულტის (სამცხე-ჯავახეთი - 32.4%, ქვემო ქართლი - 30.1%) ზრდას იწვევს (ქულები 4 და 5) (იხ. ცხრილი #25).

ცხრილი #25

თქვენი აზრით, იწვევს თუ არა კლიმატის/გარემოს ცვლილებები თქვენს საცხოვრებელ ადგილას (ქალაქში/მუნიციპალურ ცენტრში/დაბაში/სოფელში) ქვემოთ ჩამოთვლილ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ უარყოფით შედეგებს? (რეგიონის ჭრილი)		საერთოდ არ იწვევს	2	3	4	ერთმნიშვნელოვნად იწვევს	მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე
სხვადასხვა ტიპის ინფექციების გავრცელებას, რომელთა გადამტანები არიან მწერები და უხერხემლო ცხოველები. ასეთი დაავადებებია, მაგალითად, მალარია და სხვ.	სამცხე-ჯავახეთი (N=448)	28.8%	27.9%	16%	6.7%	9.7%	11%
	ქვემო ქართლი (N=412)	31.6%	26.2%	17.6%	6.1%	6.4%	12%
ვირუსული დაავადებების (გრიპი, C ჰეპატიტი, ჩუტყვავილა და სხვ.) წარმოშობა/გავრცელებას	სამცხე-ჯავახეთი (N=448)	24.9%	20.6%	20.6%	7.4%	15%	11.4%
	ქვემო ქართლი (N=412)	25.5%	27.2%	22.1%	7.1%	7.1%	11%
გულის დაავადებების ზრდას, რაც გამოწვეულია უარყოფითად შეცვლილი გარემოთი (დაბინძურებული წყალი, ჰაერი, საკვები, მაღალი სიცხე და ა.შ.)	სამცხე-ჯავახეთი (N=448)	16.2%	15.7%	28.8%	14.8%	17.8%	6.7%
	ქვემო ქართლი (N=412)	13.7%	19.6%	28.4%	19.6%	11.5%	7.3%
ინსულტის ზრდას, რომელიც გამოწვეულია უარყოფითად შეცვლილი გარემოთი (დაბინძურებული წყალი, ჰაერი, საკვები, მაღალი სიცხე და ა.შ.)	სამცხე-ჯავახეთი (N=448)	15.2%	17%	26.6%	17.2%	15.2%	8.7%
	ქვემო ქართლი (N=412)	12.5%	16.2%	30.9%	19.9%	10.3%	10.3%
კიბოს ზრდას, რომელიც გამოწვეულია უარყოფითად შეცვლილი გარემოთი (დაბინძურებული წყალი, ჰაერი, საკვები, მაღალი სიცხე და ა.შ.)	სამცხე-ჯავახეთი (N=448)	19.3%	19.5%	24.7%	12.1%	15.7%	8.7%
	ქვემო ქართლი (N=412)	11.1%	12.3%	39.1%	15.2%	8.4%	14%
სიკვდილიანობის ზრდას	სამცხე-ჯავახეთი (N=448)	18.2%	24.5%	19.6%	13.5%	12.8%	11.5%
	ქვემო ქართლი (N=412)	12.5%	13.7%	34.3%	14.2%	9.3%	15.9%

საკითხის შეჯამებისას შეფასდა, თუ რამდენად მნიშვნელოვნად მიიჩნევენ რესპონდენტები მათი რეგიონისთვის კლიმატის ცვლილებების საკითხს. შეფასდა 5-ქულიანი სკალით, რომელზეც ქულა 1 აღნიშნავდა კატეგორიას „საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი“, ხოლო ქულა 5 -კატეგორიას „ძალიან მნიშვნელოვანია“. გამოკითხულთა უმრავლესობა (59.8%) კლიმატის ცვლილებების საკითხს მნიშვნელოვნად მიიჩნევს (ქულები 4 და 5), მათ შორის 41.3% - ძალიან მნიშვნელოვნად (ქულა 5). მეათედს მცირედით აღემატება მათი წილი, ვინც საკითხს აფასებს, როგორც უმნიშვნელოს (12.8%). ყოველ მეათეს კი გაუჭირდა პასუხის გაცემა, ან თავი აარიდა (იხ. დიაგრამა #29).

დიაგრამა #29



ზოგადი ტენდენცია შენარჩუნებულია როგორც სამცხე-ჯავახეთში, ისე ქვემო ქართლში. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ქვემო ქართლისთვის უფრო მნიშვნელოვნად ფასდება კლიმატის ცვლილებები, ვიდრე სამცხე-ჯავახეთისთვის (ქულები 4 და 5): ქვემო ქართლი - 71.6%, სამცხე-ჯავახეთი - 49%. მეორე მხრივ კი, სამცხე-ჯავახეთში გამოკითხული დაახლოებით ყოველი მეხუთე რესპონდენტი კლიმატის ცვლილებებს უმნიშვნელოდ მიიჩნევს (19.3%); ქვემო ქართლში აღნიშნული მაჩვენებელი 5.7%-მდეა შემცირებული (იხ. დიაგრამა #30).

დიაგრამა #30



თავი 9. უსაფრთხოება

შემდგომ ეტაპზე შეფასდა, რესპონდენტთა აზრით, რამდენად დაცულია მათ დასახლებაში მოსახლეობის უსაფრთხოება. შეფასებისთვის გამოყენებულ იქნა 5-ქულიანი სკალა, რომელზეც ქულა 1 აღნიშნავდა კატეგორიას „სრულიად დაუცველია“, ხოლო ქულა 5 - კატეგორიას „სრულიად დაცულია“. როგორც გამოკითხვა აჩვენებს, უმრავლესობა (57.7%) მიიჩნევს, რომ მათ დასახლებაში უსაფრთხოება დაცულია, 20%-ს უტოლდება მათი წილი, ვისაც საკუთარი დასახლებაში მოსახლეობის უსაფრთხოება დაუცველად მიაჩნია (იხ. დიაგრამა #31).

დიაგრამა #31



სამცხე-ჯავახეთსა (61.9%) და ქვემო ქართლში (53.5%) გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ დასახლებაში მოსახლეობის უსაფრთხოება დაცულია (ქულები 4 და 5). ამდენად, დაუცველობის შეგრძნება შედარებით ნაკლებ რესპონდენტს უჩნდება, თუმცა აღსანიშნავია, რომ ქვემო ქართლში გამოკითხულთა შორის ჭარბობს დაუცველობის განცდა (27.1%) (ქულები 1 და 2). მსგავს პოზიციას სამცხე-ჯავახეთში გამოკითხულთა მხოლოდ 13% ავლენს.

რესპონდენტთა პოზიციას უსაფრთხოების დაცულობასთან დაკავშირებით ისიც ამყარებს, რომ, უმრავლესობის შეფასებით, დასახლებაში არ არის გავრცელებული:

- ძარცვა/ყაჩაღობა - 66.3%
- ნარკოტიკების მოხმარება - 58.5%
- წვრილმანი ხულიგნობა - 57.4%
- ოჯახში ძალადობა - 60.6%
- ნაადრევი ქორწინება - 67%

გამოკითხულთა 38.5%-ის შეფასებით, ალკოჰოლის მოხმარება მათ დასახლებაში იშვიათია, ხოლო 36.7%-ის აზრით, საერთოდ არ არის გავრცელებული. რესპონდენტთა საშუალოდ მეათედს კი ნარკოტიკების მოხმარებისა და ოჯახში ძალადობის გავრცელების ხარისხის შესახებ პასუხის გაცემა გაუჭირდა (იხ. ცხრილი #26).

ცხრილი #26

გთხოვთ, მითხრათ რამდენად გავრცელებულია თქვენს დასახლებაში....	არ არის გავრცელებული	იშვიათია	ხშირია	ძალიან გავრცელებულია	უარი პასუხზე	მიჭირს პასუხის გაცემა
ძარცვა / ყაჩაღობა (N=1200)	66.3%	26.1%	5.3%	1.1%	0.3%	0.9%
ნარკოტიკების მოხმარება (N=1200)	58.5%	16.7%	9.1%	4.2%	1%	10.5%
ალკოჰოლის მოხმარება (N=1200)	36.7%	38.5%	17.3%	4.7%	0.3%	2.5%
წვრილმანი ხულიგნობა (N=1200)	57.4%	32.5%	5.7%	1%	0.2%	3.3%
ძალადობა ოჯახში (N=1200)	60.6%	23.7%	3.9%	1.6%	0.8%	9.4%
ნაადრევი ქორწინება (N=1200)	67%	23.8%	4.7%	1.2%	0.4%	2.8%

ზოგადი ტენდენცია ნარჩუნდება საკითხის რეგიონულ ჭრილში განხილვისასაც. როგორც სამცხე-ჯავახეთში, ისე ქვემო ქართლში გამოკითხულთა უმრავლესობა აღწერს, რომ მათ დასახლებაში არ არის გავრცელებული:

- ძარცვა/ყაჩაღობა: სამცხე-ჯავახეთი - 68.2%, ქვემო ქართლი - 64.4%

- ნარკოტიკების მოხმარება: სამცხე-ჯავახეთი - 66.9%, ქვემო ქართლი - 50%
- წვრილმანი ხულიგნობა: სამცხე-ჯავახეთი - 62.1%, ქვემო ქართლი - 52.7%
- ოჯახში ძალადობა: სამცხე-ჯავახეთი - 55.7%, ქვემო ქართლი - 65.4%
- ნაადრევი ქორწინება: სამცხე-ჯავახეთი - 67.4%, ქვემო ქართლი - 66.6%

რაც შეეხება ალკოჰოლის მოხმარებას, როგორც ჩანს, აღნიშნული ქვემო ქართლში მეტადაა გავრცელებული. გამოკითხულთა თითქმის მესამედი (31.1%) აღწერს, რომ მათ დასახლებაში ხშირი ან ძალიან გავრცელებულია ალკოჰოლის მოხმარება. მსგავს გამოცდილებაზე სამცხე-ჯავახეთში გამოკითხულთა მხოლოდ 12.9% მიუთითებს (იხ. ცხრილი #27).

ცხრილი #27

გთხოვთ, მითხრათ რამდენად გავრცელებულია თქვენს დასახლებაში.... (რეგიონის ჭრილი)		არ არის გავრცელებული	იშვიათია	ხშირია	ძალიან გავრცელებულია	უარი პასუხზე	მიჭირს პასუხის გაცემა
ძარცვა / ყაჩაღობა	სამცხე-ჯავახეთი (N=600)	68.2%	27.3%	2%	1.2%	0.4%	0.9%
	ქვემო ქართლი (N=600)	64.4%	24.9%	8.6%	1.1%	0.1%	0.9%
ნარკოტიკების მოხმარება	სამცხე-ჯავახეთი (N=600)	66.9%	19.3%	3.7%	2.4%	1.5%	6.2%
	ქვემო ქართლი (N=600)	50%	14.1%	14.5%	6%	0.5%	14.8%
ალკოჰოლის მოხმარება	სამცხე-ჯავახეთი (N=600)	44.7%	39.6%	7%	5.9%	0.5%	2.3%
	ქვემო ქართლი (N=600)	28.7%	37.4%	27.6%	3.6%	0.1%	2.6%
წვრილმანი ხულიგნობა	სამცხე-ჯავახეთი (N=600)	62.1%	32%	3.3%	1.1%	0.1%	1.4%
	ქვემო ქართლი (N=600)	52.7%	32.9%	8.1%	0.8%	0.2%	5.2%
ძალადობა ოჯახში	სამცხე-ჯავახეთი (N=600)	55.7%	31.8%	3.9%	2.8%	0.8%	5%
	ქვემო ქართლი (N=600)	65.4%	15.6%	3.8%	0.4%	0.8%	13.9%
ნაადრევი ქორწინება	სამცხე-ჯავახეთი (N=600)	67.4%	24.6%	3.9%	1.6%	0.5%	2%
	ქვემო ქართლი (N=600)	66.6%	23.1%	5.6%	0.9%	0.2%	3.6%

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ რესპონდენტთა შეფასებით, მოქალაქეების უსაფრთხოებას უმეტეს შემთხვევაში პოლიცია უზრუნველყოფს (62.3%). თითქმის ყოველი მესამე კი მიიჩნევს, რომ ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლს თავად მოსახლეობა ასრულებს (30.2%). პასუხის სხვა ისეთი ვერსიები, როგორებიცაა: უბნის კრიმინალური ავტორიტეტები, რელიგიური ლიდერები, საკუთარი თავი, არავინ - მთლიანობაში 5%-საც კი ვერ აღწევს. რესპონდენტთა 4.3%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა ან უარი განაცხადა. ზოგადი ტენდენცია ნარჩუნდება საკითხის რეგიონებში განხილვისას - პოლიცია, უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, მთავარი ინსტიტუტია, თუმცა აღმოჩნდა, რომ პოლიციას, როგორც უსაფრთხოების გარანტორს, უფრო მეტად ქვემო ქართლში ასახელებენ (71.2%), ვიდრე სამცხე-ჯავახეთში (53.5%). სამცხე-ჯავახეთში უფრო გამოკვეთილია მოსახლეობის როლი (34.6%), ვიდრე ქვემო ქართლში (25.7%). ამასთან, სამცხე-ჯავახეთში უბნის უხუცესებს, როგორც უსაფრთხოების უზრუნველყოფის ალტერნატიულ წყაროს, შედარებით მეტი გამოყოფს (3.8%), ვიდრე ქვემო ქართლში (0.9%) (იხ. ცხრილი #28).

ცხრილი #28

ვინ უზრუნველყოფს თქვენს საცხოვრებელ ადგილას მოქალაქეების უსაფრთხოებას? (რეგიონის ჭრილი)	სამცხე-ჯავახეთი **(N=600)**	ქვემო ქართლი **(N=600)**
პოლიცია	53.5%	71.2%
უბნის უხუცესები	3.8%	0.9%
უბნის კრიმინალური ავტორიტეტები	-	0.1%
თავად მოსახლეობა	34.6%	25.7%
რელიგიური ლიდერები	0.8%	0.7%
სხვა	0.2%	0.1%
უარი პასუხზე / მიჭირს პასუხის გაცემა	7.2%	1.3%

თავი 10. ელექტრონული სერვისები

გამოკითხვის შემდეგ ეტაპზე სახელმწიფო და მუნიციპალური ელექტრონული სერვისების გამოყენების პრაქტიკა შეფასდა. როგორც ჩანს, რესპონდენტთა უმრავლესობა (90.4%) სახელმწიფო ელექტრონული მომსახურებებით (საკადასტრო ბაზა, ინფორმაცია ქონების/შემოსავლების შესახებ და ა.შ.) არ სარგებლობს (სამცხე-ჯავახეთი - 90.3%, ქვემო ქართლი - 90.4%), თითქმის ყოველ მეათეს კი მსგავსი გამოცდილება აქვს. სახელმწიფო ელექტრონული სერვისებით მოსარგებლეთა 82.8% გაწეული მომსახურებით კმაყოფილია (4 და 5 ქულები 5-ქულიან სკალაზე). საინტე-

რესოა, რომ არცერთი რესპონდენტი არ აღმოჩნდა, რომლებიც სრულიად უკმაყოფილოა სახელმწიფო ელექტრონული სერვისებით. შედარებით უკმაყოფილო კი მხოლოდ 2 რესპონდენტია (1.3%) (იხ. დიაგრამა #32), მიზეზად კი შემდეგი სახელდება, რომ პორტალზე რთულია ოპერირება, ის სტაბილურად არ ფუნქციონირებს, არ ახლდება.

დიაგრამა #32

ორივე რეგიონში გამოკითხულ პირთა უმრავლესობა კმაყოფილია სახელმწიფო ელექტრონული სერვისებით, თუმცა სამცხე-ჯავახეთის მაჩვენებელი უფრო მაღალია (ქულები 4 და 5) – 89.3%, ვიდრე ქვემო ქართლის - 76.5%. მნიშვნელოვანია ისიც, რომ შედარებით უკმაყოფილო პირები მხოლოდ ქვემო ქართლში არიან (2.7%), სამცხე-ჯავახეთში მსგავსი სურათი არ გამოკვეთილა (იხ. ცხრილი #29).

ცხრილი #29

რამდენად კმაყოფილი ხართ სახელმწიფო ელექტრონული სერვისებით? (რეგიონის ჭრილი)	სამცხე-ჯავახეთი **(N=60)**	ქვემო ქართლი **(N=55)**
სრულიად უკმაყოფილო	-	-
უფრო უკმაყოფილო, ვიდრე კმაყოფილი	-	2.7%
თანაბრად კმაყოფილი და უკმაყოფილო	10.7%	17.1%
უფრო კმაყოფილი, ვიდრე უკმაყოფილო	55.2%	23.4%
სავსებით კმაყოფილი	34%	53%
უარი პასუხზე	-	3.7%

სახელმწიფო ელექტრონული სერვისების მსგავსად რესპონდენტთა უმრავლესობა (96.4%) მუნი-



ციპალურ ელექტრონულ სერვისებს არ იყენებს. აღნიშნული მომსახურებით სარგებლობის გამოცდილება მხოლოდ 3.2%-ს აქვს. ამ მცირე ჯგუფის დაახლოებით ნახევარს (47.6%) სერვისის მისაღებად მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდით უსარგებლია, მეხუთედზე მეტს კი - მუნიციპა-

ლიტეტის საკრებულოს ვებგვერდით (22.6%). 29.7%-ს გაუჭირდა კონკრეტული წყაროს დასახელება.

მუნიციპალური ელექტრონული სერვისების გამოყენების თვალსაზრისით, მწირი გამოცდილება აქვთ ორივე რეგიონში: სამცხე-ჯავახეთი - 96.9%, ქვემო ქართლი - 95.9%. თუმცა, რაც შეეხება მუნიციპალური ელექტრონული სერვისების მისაღებად საჭირო წყაროების გამოყენებას, რეგიონებს შორის განსხვავებული გამოცდილებაა: თუკი სამცხე-ჯავახეთში სერვისების გამომყენებელთა 66.1%-ს მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდით უსარგებლია, ხოლო 30.3%-ს - საკრებულოს ვებგვერდით, ქვემო ქართლში უმრავლესობას ის პირები წარმოადგენენ, რომელთაც კონკრეტული წყაროს დასახელება გაუჭირდათ (54.1%). მეორე მხრივ კი, ამ რეგიონის რესპონდენტთა 30.4%-ს მერიის ვებგვერდით უსარგებლია, ხოლო 15.5% - საკრებულოს ვებგვერდით.

მუნიციპალური ელექტრონული სერვისებით მოსარგებლეთა უმრავლესობა (64.1%) გაწეული მომსახურებით კმაყოფილია, მათ შორის 25.1% სავსებით კმაყოფილი. მესამედზე მეტი კი ნეიტრალურ პოზიციას იკავებს და მიუთითებს, რომ თანაბრად კმაყოფილიცაა და უკმაყოფილოც.

თავი 11. მუნიციპალური ხელისუფლების მართვასა და საჯარო აქტივობებში მონაწილეობა

ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა

გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ რესპონდენტთა ერთი ნაწილის (30.4%) შეფასებით, ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესი მოქალაქეთა მოთხოვნებსა და საჭიროებებს პასუხობს (4 და 5 ქულა 5-ქულიან სკალაზე). თუმცა, აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა თითქმის ამდენივე ნაწილი (26.8%) არსებულ მდგომარეობას ნეგატიურად აფასებს და გადაწყვეტილებებსა და საჭიროებებს შორის ბმას ვერ ხედავს (ქულები 1 და 2) (იხ. დიაგრამა #33).

დიაგრამა #33

რეგიონულ ჭრილში ერთმანეთისგან განსხვავებული გამოცდილებები ვლინდება. თუკი სამცხე-ჯავახეთში გამოკითხული მოსახლეობის მესამედზე მეტი (36.7%) ადგილობრივად მიღებულ გადაწყვეტილებებსა და მოქალაქეთა მოთხოვნებს შორის შესაბამისობებზე საუბრობს, ქვემო ქართლში უფრო უარყოფითი შეფასება გამოიკვეთა - 37.3% მიიჩნევს, რომ მიღებული გადაწყვეტილებები მოსახლეობის საჭიროებებს არ პასუხობს (იხ. ცხრილი #30).

ცხრილი #30

რამდენად პასუხობს ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესი მოქალაქეთა მოთხოვნებსა და საჭიროებებს? (რეგიონის ჭრილი)	სამცხე-ჯავახეთი **(N=600)**	ქვემო ქართლი **(N=600)**
საერთოდ არ პასუხობს	5.4%	14.7%
უფრო არ პასუხობს, ვიდრე პასუხობს	10.9%	22.6%
თანაბრად პასუხობს კიდეც და არც პასუხობს	29.3%	21.8%
უფრო პასუხობს, ვიდრე არ პასუხობს	26.5%	19.9%
სრულად პასუხობს	10.2%	4.2%
უარი პასუხზე / მიჭირს პასუხის გაცემა	17.7%	16.7%

რესპონდენტებმა განსაზღვრეს, თუ რა მიმართულებით უნდა გააუმჯობესოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა მუშაობა, რომ მათი საჭიროებები უკეთ დააკმაყოფილონ. წამყვანი პოზიციები შემდეგმა კატეგორიებმა დაიკავა:



- უფრო ხშირი შეხვედრების ორგანიზება მოსახლეობასთან - 25.2%
- მეტი თანხის გამოყოფა მუნიციპალიტეტის პრობლემების მოსაგვარებლად - 27.3%
- მიმდინარე პროცესებზე მოსახლეობის ინფორმირება - 14.8%

სხვა დასახელებული ცალკეული მიმართულებები 10%-საც კი ვერ აღწევს. დაახლოებით ყოველი მეათე რესპონდენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვნად თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას ასახელებს. 6.3% კი ფიქრობს, რომ აუცილებელია გადაწყვეტილებების მიღებისას მეტი ყურადღება ხანდაზმულთა საჭიროებებს მიექცეს (იხ. ცხრილი #31).

ცხრილი #31

რა მიმართულებით უნდა გააუმჯობესოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა მუშაობა თქვენი საჭიროებების უკეთ დასაკმაყოფილებლად? (N=1200)	
უფრო ხშირი შეხვედრების ორგანიზება მოსახლეობასთან	25.2%
მეტი თანხის გამოყოფა მუნიციპალიტეტის პრობლემების მოსაგვარებლად	27.3%

რა მიმართულებით უნდა გაუმჯობესოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა მუშაობა თქვენი საჭიროებების უკეთ დასაკმაყოფილებლად? (N=1200)	
თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება	9.1%
მიმდინარე პროცესებზე მოსახლეობის ინფორმირება	14.8%
გადაწყვეტილების მიღებისას მეტი ყურადღება მიექცეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებებს	5.4%
გადაწყვეტილების მიღებისას მეტი ყურადღება მიექცეს უმცირესობების (ეთნიკური, რელიგიური, სექსუალური) საჭიროებებს	2.9%
გადაწყვეტილების მიღებისას მეტი ყურადღება მიექცეს ქალთა საჭიროებებს	2.5%
გადაწყვეტილების მიღებისას მეტი ყურადღება მიექცეს იძულებით გადაადგილებულ პირთა საჭიროებებს	1.2%
გადაწყვეტილების მიღებისას მეტი ყურადღება მიექცეს ხანდაზმულთა საჭიროებებს	6.3%
სხვა	0.6%
უარი პასუხზე / მიჭირს პასუხის გაცემა	4.7%

ზოგადი ტენდენცია რეგიონულ ჭრილშიც ნარჩუნდება. დომინანტური კატეგორიები, თუ რა მიმართულებითაა საჭირო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესება, ორივე რეგიონისთვის იდენტურია:

- უფრო ხშირი შეხვედრების ორგანიზება მოსახლეობასთან: სამცხე-ჯავახეთი - 24.3%, ქვემო ქართლი - 26%
- მეტი თანხის გამოყოფა მუნიციპალიტეტის პრობლემების მოსაგვარებლად: სამცხე-ჯავახეთი - 29.1%, ქვემო ქართლი - 25.7%
- მიმდინარე პროცესებზე მოსახლეობის ინფორმირება: სამცხე-ჯავახეთი - 14%, ქვემო ქართლი - 15.5% (იხ. ცხრილი #32).

ცხრილი #32

რა მიმართულებით უნდა გაუმჯობესოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა მუშაობა თქვენი საჭიროებების უკეთ დასაკმაყოფილებლად? (რეგიონის ჭრილი)	სამცხე-ჯავახეთი **(N=600)**	ქვემო ქართლი **(N=600)**
უფრო ხშირი შეხვედრების ორგანიზება მოსახლეობასთან	24.3%	26%
მეტი თანხის გამოყოფა მუნიციპალიტეტის პრობლემების მოსაგვარებლად	29.1%	25.7%
თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება	9%	9.3%
მიმდინარე პროცესებზე მოსახლეობის ინფორმირება	14%	15.5%
გადაწყვეტილების მიღებისას მეტი ყურადღება მიექცეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებებს	5.5%	5.3%
გადაწყვეტილების მიღებისას მეტი ყურადღება მიექცეს უმცირესობების (ეთნიკური, რელიგიური, სექსუალური) საჭიროებებს	3.5%	2.4%
გადაწყვეტილების მიღებისას მეტი ყურადღება მიექცეს ქალთა საჭიროებებს	1.3%	3.5%
გადაწყვეტილების მიღებისას მეტი ყურადღება მიექცეს იძულებით გადაადგილებულ პირთა საჭიროებებს	1.4%	1.1%
გადაწყვეტილების მიღებისას მეტი ყურადღება მიექცეს ხანდაზმულთა საჭიროებებს	4.2%	8.2%

რა მიმართულებით უნდა გააუმჯობესოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა მუშაობა თქვენი საჭიროებების უკეთ დასაკმაყოფილებლად? (რეგიონის ჭრილი)	სამცხე-ჯავახეთი **(N=600)**	ქვემო ქართლი **(N=600)**
სხვა	0.3%	0.8%
უარი პასუხზე / მიჭირს პასუხის გაცემა	7.4%	2.4%

რესპონდენტებმა 5-ქულიან სკალაზე, რომელზეც ქულა 1 შეესაბამება კატეგორიას „საერთოდ არ მონაწილეობენ“, ხოლო ქულა 5 კატეგორიას - „სრულად მონაწილეობენ“, ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა შეაფასეს. აღმოჩნდა, რომ, გამოკითხულთა 40%-ის აზრით, მოქალაქეები ამ პროცესში არ მონაწილეობენ (ქულები 1 და 2). თითქმის მეოთხედი კი საპირისპირო აზრს გამოთქვამს და მიიჩნევს, რომ მოქალაქეები აქტიურად არიან ჩართულნი (ქულები 4 და 5). შედარებით ნაკლებ აქტიურობაზე შეიძლება მიუთითებდეს ისიც, რომ გამოკითხულთა დაახლოებით მეხუთედს (18%) გაუჭირდა, აერჩია კონკრეტული პოზიცია ან უარი განაცხადა პასუხზე (იხ. დიაგრამა #34).

დიაგრამა #34

გამოვლინდა, რომ ქვემო ქართლში სამცხე-ჯავახეთთან შედარებით ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა მნიშვნელოვნად დაბალია. თუკი სამცხე-ჯავახეთში მხოლოდ 26.7% მიუთითებს, რომ მოსახლეობა არ მონაწილეობს აღნიშნულ პროცესში, ქვემო ქართლში მაჩვენებელი 53.4%-მდეა გაზრდილი, პოზიტიურად კი მხოლოდ 13.1% აფასებს (იხ. ცხრილი #33).

ცხრილი #33

რამდენად მონაწილეობენ მოქალაქეები ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში? (რეგიონის ჭრილი)	სამცხე-ჯავახეთი **(N=600)**	ქვემო ქართლი **(N=600)**
საერთოდ არ მონაწილეობენ	7.6%	26.6%
უფრო არ მონაწილეობენ, ვიდრე მონაწილეობენ	19%	26.8%
თანაბრად, მონაწილეობენ კიდეც და არც მონაწილეობენ	19.2%	17.7%
უფრო მონაწილეობენ, ვიდრე არ მონაწილეობენ	24.4%	11.2%
სრულად მონაწილეობენ	9.6%	1.9%
უარი პასუხზე / მიჭირს პასუხის გაცემა	20%	15.8%

კვლევის ფარგლებში ცალკე შეფასდა, თუ რამდენად არის ორიენტირებული ადგილობრივი



ხელისუფლება გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების ჩართულობის გაზრდაზე. როგორც აღმოჩნდა, რესპონდენტთა აზრით, მსგავსი მიზნის მქონე ღონისძიებები, ძირითადად, არ ტარდება (33.6%). მეოთხედზე მეტი კი (27.1%) პოზიტიურ გამოცდილებაზე მიუთითებს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 39.3%-მა უარი განაცხადა პასუხზე, ან გაუჭირდა პასუხის გაცემა (მიჭირს პასუხი - 37.8%).

რეგიონულ ჭრილში მონაცემები აჩვენებს, რომ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის მხრივ, სამცხე-ჯავახეთში უკეთესი მდგომარეობაა (26.7%), ვიდრე ქვემო ქართლში (40.4%). ამასთან, სამცხე-ჯავახეთში რესპონდენტთა უფრო მეტ რაოდენობას გაუჭირდა ამ საკითხზე აზრის გამოხატვა (46.6%), ვიდრე ქვემო ქართლში - 31.9%.

გამოკითხვა აჩვენებს, რომ გამოკითხულთა 78.6%-ს სახელმწიფოს მხრიდან ადგილობრივი ბიზნესის ხელშემწყობი აქტივობების შესახებ არ სმენია (სამცხე-ჯავახეთი - 81.8%, ქვემო ქართლი - 75.4%), მხოლოდ მეხუთედი გამოხატავს ინფორმირებულობას (19.2%). 2%-მა უარი განაცხადა პასუხზე. შემდგომ იმ პირთა შორის, რომლებიც მსგავსი აქტივობების შესახებ ფლობენ ინფორმაციას, დაზუსტდა, სმენიათ თუ არა ისეთი პროგრამების/აქტივობების შესახებ, რომლებიც ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისკენაა მიმართული. როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ 11%-ს სმენია ამის შესახებ (88.6% არ ფლობს ინფორმაციას) და მსგავს პროექტებად, ძირითადად, ასახელებენ შემდეგს: აგროსესხები, „აწარმოე საქართველოში“, ფონდი „ტასო“. ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისკენ მიმართული პროექტების შესახებ ინფორმირებულობა ქვემო ქართლში (15.6%) უფრო მაღალია, ვიდრე სამცხე-ჯავახეთში (4.5%).

გაცილებით მცირეა იმ რესპონდენტთა წილი, ვისაც შშმ პირთა ეკონომიკური გაძლიერებისკენ მიმართული ბიზნესის ხელშემწყობი აქტივობების შესახებ სმენია (4%) (სამცხე-ჯავახეთი - 4.4%, ქვემო ქართლი - 3.8%). კონკრეტულ პროგრამად კვლავ დასახელდა „აწარმოე საქართველოში“. ამასთან, ცალკეულმა რესპონდენტმა ახსენა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარებაზე შეღავათები და ზოგადად, ინკლუზიური განათლება.

როგორც ჩანს, სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის ხელშემწყობი აქტივობების შესახებ ინფორმირებულ რესპონდენტთა შორის მხოლოდ 6.5%-ია (სამცხე-ჯავახეთი - 2.1%, ქვემო ქართლი - 9.6%), ვისაც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა ეკონომიკური გაძლიერებისკენ მიმართული პროგრამების/პროექტების შესახებ სმენია (93.2% მსგავს ინფორმაციას არ ფლობს). კონკრეტულად კი სახელდება ენის შემსწავლელი პროგრამები, სხვადასხვა ბიზნესის დასაწყებად გაწეული მხარდაჭერა, საქსოვი საწარმოს დაფინანსება, სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის საჭირო დაფინანსების გაცემა.

* * *

რაოდენობრივი კვლევის მსგავსად, თვისებრივი კვლევის, კერძოდ ფოკუს-ჯგუფების, ერთ-ერთ ამოცანას იმის გარკვევა წარმოადგენდა, თუ რამდენად მონაწილეობს მოსახლეობა ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის განხორციელებაში. აღსანიშნავია, რომ ყველა ფოკუს-ჯგუფში აღმოჩნდნენ ისეთი პირები, რომლებსაც ადგილობრივ ხელისუფლებაში მონაწილეობის ფორმების შესახებ არაფერი სმენოდათ. მაგალითად, იმის შესახებ, რომ ნებადართულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დასწრება, კითხვების დასმა, ბიუჯეტის განხილვასა და პეტიციის შედგენაში მონაწილეობა და სხვ.

> *„მე პირადად მეგონა, რომ მხოლოდ იქ მომუშავე ადამიანებს შეუძლიათ დასწრება და ახლა პირველად მესმის ეს თქვენგან“ (30 წლის ქალი, თვითდასაქმებული, ეთნიკურად ქართველი, ახალციხე).*

მონაწილეთა ერთი ნაწილი ვერ ხედავს ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მზაობასა და სურვილს, რომ მოსახლეობა ჩაერთოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამის მიზეზი ისაა, რომ მოსახლეობის ჩართულობა დამატებით დატვირთვასა და პროცესის გაჭიანურებასთან არის დაკავშირებული, რისგანაც ადგილობრივი ხელისუფლება თავის არიდებას ცდილობს.

ფოკუს-ჯგუფებში ჩართულებმა ისაუბრეს ახალგაზრდების ჩართულობის მნიშვნელობაზე ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში. როგორც აღინიშნა, მათ მუნიციპალიტეტებში

ახალგაზრდების მდგომარეობა ძალზე აწუხებთ. მონაწილეებს სმენიათ ახალგაზრდული საბჭოების შესახებ, რომლებიც მერიასთან არსებობს, თუმცა მათი ფუნქციების შესახებ ინფორმაცია არ აქვთ.

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებისგან საინტერესო იყო მოსახლეობის ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში ჩაურთველობის მიზეზების მოსმენა. გამოითქვა მოსაზრება, რომ არაინფორმირებულობა არის არმონაწილეობის წამყვანი მიზეზი. მაგალითად, საკრებულოს სხდომების შესახებ ინფორმაციას პოსტფაქტუმ იღებენ და არა წინასწარ, როცა სხდომა იგეგმება - „ფეისბუქ-გვერდზეც არ დევს ხოლმე არაფერი. უკვე ჩატარებული სხდომების ფოტოებს ვნახულობ“ (30 წლის ქალი, თვითდასაქმებული, ეთნიკურად ქართველი, ახალციხე).

მოქალაქეებს არ აქვთ ინფორმაცია მათი უფლებების შესახებ, კონკრეტულად როგორ და რა გზებით შეუძლიათ ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში ჩართვა.

ფოკუს-ჯგუფების ზოგიერთი მონაწილე სკეპტიკურად არის განწყობილი მოსახლეობის ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში მონაწილეობასთან დაკავშირებით. მათი შეფასებით, მონაწილეობას ფორმალური ხასიათი აქვს და რეალური ზეგავლენის მოხდენა რთულია. სწორედ ნიჰილიზმი დასახელდა ჩაურთველობის კიდევ ერთ მიზეზად. მოსახლეობაში გავრცელებულია წარმოდგენა, რომლის მიხედვით ხელისუფლება ხელმძღვანელია და მან უკეთ იცის, როგორ იმოქმედოს - „არსებობს ასეთი აზრი, რომ ხელისუფლებამ უკეთ იცის და მე რატომ უნდა ჩავერიო?! (32 წლის კაცი, დასაქმებული, ეთნიკურად ქართველი, თეთრიწყარო).

მოსახლეობის ჩაურთველობის კიდევ ერთ მიზეზად დროის უქონლობა დასახელდა. მონაწილეთა ეს ნაწილი მიიჩნევს, რომ აქტიურობისთვის დრო და შესაძლებლობა არ აქვს. განსაკუთრებით მოწყვლად მდგომარეობაში მყოფმა რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ მათი მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ყოველდღიური საზრუნავის გამო მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ჩართვის არც შესაძლებლობა და არც მოტივაცია არ აქვთ.

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებში გამოითქვა მოსაზრება, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად საჭიროა საზოგადოებრივი ორგანიზაციების გააქტიურება, რათა მოსახლეობაში გაჩნდეს ადგილობრივ ხელისუფლებაში მონაწილეობის ინტერესი - „მოსახლეობას სჭირდება წახალისება და იმის დანახვება, რომ მათმა მონაწილეობამ შესაძლოა შედეგი გამოიღოს. ორგანიზაციები უნდა გააქტიურდნენ“ (22 წლის კაცი, დასაქმებული, ეთნიკურად ქართველი, დმანისი). აღსანიშნავია, რომ სოფლის მოსახლეობის ჩაურთველობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბარიერად ცენტრამდე არსებული შორი მანძილი დასახელდა.

როგორც ფოკუს-ჯგუფების შედეგები აჩვენებს, მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც დაინტერესებულია ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობით და მონაწილეობის სურვილი აქვს, ძირითადად, ჯანდაცვის სერვისებითა და ინფრასტრუქტურული საკითხებით ინტერესდება. ასეთი საკითხებია, მაგალითად: სკვერის მშენებლობა, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა, სპორტული დარბაზების მშენებლობა, სანიაღვრე სისტემების მოწყობა და ა.შ. ამის გათვალისწინებით შესაძლებელია იმის თქმა, რომ მოსახლეობა ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობას

ჯანდაცვისა და ინფრასტრუქტურული საკითხების მოგვარებას უკავშირებს.

ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებში ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში ჩაურთველობის მნიშვნელოვან დამატებით ფაქტორად ენის ბარიერი და ზოგადად ინტეგრაციის დაბალი ხარისხი დასახელდა, რაც საზოგადოებრივი ცხოვრებიდან გარიყულობას უწყობს ხელს - „ისეთი გარემოა შექმნილი, ყველა ფიქრობს, რომ მათი ადგილი არ არის იქ“ (37 წლის კაცი, დასაქმებული, ეთნიკურად აზერბაიჯანელი, გარდაბანი). ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებში გამოითქვა მოსაზრება, რომ ძირითადად მოსახლეობის ის ნაწილია ჩართული და აქტიური, რომელიც ხელისუფლებასთან დაახლოებულია, ხოლო ნეიტრალურად და კრიტიკულად განწყობილი ნაწილისთვის ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ჩართულობის ხელშეწყობა არ არის.

აღსანიშნავია, რომ ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე ეთნიკური აზერბაიჯანელების ნაწილს ხელი მოწერილი აქვთ ონლაინპეტიციაზე, რომელიც ისლამის რელიგიური დღესასწაულის - ყურბან-ბაირამის უქმე დღეებად გამოცხადებას ისახავს მიზნად.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ჩაღრმავებული ინტერვიუების ფარგლებში, მოსახლეობის ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში სხვადასხვაგვარად აფასებენ რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით. მაგალითად, წალკის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ მუნიციპალიტეტში მოსახლეობა ძალიან აქტიურია და, ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში, ყველა პროცესში იღებს მონაწილეობას, ხოლო, ბოლნისის მერიის წარმომადგენლის თქმით, მათ მუნიციპალიტეტში მოსახლეობა პასიურია და ძირითადად არ ერთვება გადაწყვეტილებების მიღებაში. რესპონდენტის მონათხრობით, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობები და ქალები გამოირჩევიან პასიურობით - „ძალიან პასიური მოსახლეობა გვყავს. ხშირ შემთხვევაში, არ უყვართ ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აქ არიან ეთნიკური უმცირესობის ჯგუფები და ქალები, ისინი არ ერთვებიან გადაწყვეტილების მიღების პროცესში“ (მერიის წარმომადგენელი ბოლნისიდან).

მოქალაქეთა ჩართულობის შესახებ ადგილობრივი ხელისუფლების და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა პოზიციები განსხვავებულია. მუნიციპალური სამსახურის წარმომადგენლების თქმით, ბოლო სამი წლის განმავლობაში მოსახლეობა გააქტიურდა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის თვალსაზრისით, ხოლო სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვანი ცვლილებები არ შეინიშნება. ჩაურთველობას ხელს უწყობს მოსახლეობაში ინფორმაციის ნაკლებობა ან ინფორმაციის დაგვიანებული მიწოდება.

> *„არაფერი შეცვლილა საერთოდ ბოლო წლებში, ისევ ისეა. არასდროს არ არის ინფორმაცია ზუსტი შეხვედრების შესახებ და რატომ დაინტერესდება ადამიანი ამით. სხდომის შესახებ ხომ საერთოდ ბოლო წუთს წერენ ხოლმე“ („დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი“ - მარნეული).*

ქვემო ქართლის რეგიონში მომუშავე სოციალური მუშაკების განცხადებით, ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის კომუნიკაცია არსებობს. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები მოსახლეობას ხვდებიან და მათი საჭიროებების გათვალისწინებით ახორციელებენ პროექტებს, თუმცა პროექტების რაოდენობა შეზღუდულია, რადგან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის

სიმწირის გამო არ აქვს შესაძლებლობა, გასწვდეს ყველა იმ პრობლემას, რომლებიც მოსახლეობას აწუხებს.

> *„ვერ ვიტყვი, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მოსახლეობას არ ხვდებიან. გადაწყვეტილებების მიღებისას მოსახლეობის ინტერესს ითვალისწინებენ მეტ-ნაკლებად. ბიუჯეტიდან არ არის შესაძლებელი ბევრი პროექტი დაფინანსდეს და მოსახლეობა ირჩევს თავად, რომელი უფრო საჭიროა და შემდეგ შერჩეული პროექტი ფინანსდება მუნიციპალიტეტის მიერ“ (სოციალური მუშაკი).*

გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის ჩართულობის გასაზრდელად როგორც ადგილობრივი ხელისუფლების, ასევე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წევრები მიიჩნევენ, რომ მნიშვნელოვანია მოსახლეობას მიეწოდოს შესაბამისი ინფორმაცია. რესპონდენტთა თქმით, ამ მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია საერთო კრებები, რომლებიც ძირითადი პლატფორმა უნდა გახდეს მოსახლეობასთან აქტიური კომუნიკაციისთვის.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელმა გარდაბნის მუნიციპალიტეტიდან აღნიშნა, რომ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის ზრდას ხელს უშლის ქართული ენის არცოდნა ან არასათანადოდ ცოდნა. ხოლო, ასოციაცია „ტოლერანტობის“ წარმომადგენლის თქმით, მოსახლეობას არ აქვს განცდა, რომ მათ აზრს გაითვალისწინებს ადგილობრივი ხელისუფლება.

> *„მოსახლეობა ფიქრობს, რომ ბიუჯეტს ისე შეადგენს ხელისუფლება, როგორც უნდა. ხელისუფლებას უკვირს, რატომ არ მოდის მოსახლეობა კრებებზე. ეს კი ინფორმაციის ნაკლებობის ბრალია, არავინ აწვდის მოსახლეობას სრულყოფილ ინფორმაციას“ (ასოციაცია „ტოლერანტობა“ - სამცხე-ჯავახეთი).*

ახალციხის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების თქმით, მოსახლეობის ინფორმირებულობის გასაზრდელად საჭიროა უფრო აქტიური შეხვედრების ორგანიზება სოფლის რწმუნებულების მიერ, ასევე მედიაწყაროების (სოციალური ქსელების ჩათვლით) აქტიური გამოყენება ინფორმაციის გასავრცელებლად. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის წარმომადგენელთა აზრით, მოქალაქეების ჩართულობის გასაზრდელად მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან არსებობდეს სურვილი/ნება, რომ მოსახლეობამ მიიღოს მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებისას და ამისთვის შესაბამისი ნაბიჯები გადადგას. სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის წარმომადგენელმა მარნეულიდან აღნიშნა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება პასიურია მოქალაქეების მობილიზების თვალსაზრისით, მისთვის კომფორტულია გადაწყვეტილებების არასაჯაროდ, ვიწრო წრეში, მიღება. რესპონდენტის განცხადებით, შეხვედრების შესახებ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები არ აკეთებენ განცხადებას დროულად და მხოლოდ ვიწრო წრეს უზიარებენ ინფორმაციას.

> *„თვითმმართველობას შეუძლია უფრო მეტად მოინდომოს მოსახლეობის ჩართვა პროცესებში. არ იციან, როგორ უნდა გააკეთონ ეს, ალბათ არც უნდათ, არ ამბობენ წინასწარ, რომ ამა და ამ დღეს იქნება შეხვედრა, თუ ამბობენ, მხოლოდ ახლო წრეს ეუბნებიან და არა ყველას“ (დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი - მარნეული).*

თეთრიწყაროს მერიის წარმომადგენლის თქმით, მოსახლეობის ჩართულობის გასაზრდელად

მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით შეიქმნა ახალგაზრდული ცენტრი, რომელიც ატარებს საგანმანათლებლო და კულტურულ ღონისძიებებს. ახალციხის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის თქმით, მუნიციპალიტეტში არსებობს გენდერული განყოფილება, რომელიც ხელს უწყობს ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას, უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლებას და მათი ჩართულობის გაზრდას. რესპონდენტის განცხადებით, აღნიშნულ საქმიანობაში არასამთავრობო ორგანიზაციებიც აქტიურად მონაწილეობენ - „გენდერის განყოფილება გვაქვს, რომელიც საკმაოდ აქტიურია. გადის სოფლად, ქალაქში, ყველგან და ინფორმაციას სხვადასხვა კუთხით აწვდის მოქალაქეებს. არასამთავრობო სექტორიც ჰყავთ ჩართული და საკმაოდ აქტიურები არიან“ (მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი ახალციხიდან). ამის საპირისპიროდ, სამოქალაქო ორგანიზაცია „ქალთა ოთახის“ წარმომადგენლის თქმით, წალკის მუნიციპალიტეტი ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით არ აქტიურობს. მეტიც, რესპონდენტის შეფასებით, აღნიშნული მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი არ არის „გენდერულად მგრძნობიარე“.

ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურებთან კომუნიკაცია

აღმოჩნდა, რომ კვლევაში მონაწილე პირებს ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურებთან აქტიური კომუნიკაცია არ აქვთ. გამოკითხულთა უმრავლესობას (81.8%) ბოლო 2 წლის განმავლობაში მათთვის კონკრეტული პრობლემის მოგვარების მიზნით არ მიუმართავს (სამცხე-ჯავახეთი - 83.7%, ქვემო ქართლი - 80%). მსგავსი გამოცდილება მხოლოდ 17% აქვს (1.2%-მა პასუხზე უარი განაცხადა). შემდგომ დაზუსტდა, თუ კონკრეტულად რა საკითხ(ებ)თან დაკავშირებით მიუმართავთ ადგილობრივი თვითმმართველობისთვის. მსგავსი გამოცდილების მქონე რესპონდენტთა შორის დომინანტურ კატეგორიებად დასახელდა შემდეგი:

- სხვადასხვა სოციალურ/მოწყვლად ჯგუფთან (შშმ, ბავშვები, ხანდაზმულები, უსახლკაროები, იძულებით გადაადგილებული პირები) დაკავშირებული გარემოს გაუმჯობესება - 13.7%
- ინფრასტრუქტურული პრობლემები (გაზმომარაგება, წყალმომარაგება, ელექტროენერგია და ა.შ.) – 21.8%
- სოციალური საკითხები (სოციალური დახმარება, უმუშევრობა და ა.შ.) – 28%
- ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული საკითხები - 19.3%

დამატებით, რესპონდენტთა 7.7%-მა აღნიშნა, რომ ტერიტორიის კეთილმოწყობასთან დაკავშირებით მიუმართავს ადგილობრივი თვითმმართველობისთვის, 3.8%-ის გამოცდილება კი სახლის/

მიწის რეგისტრაციას უკავშირდება. ცალკეული კატეგორიები შეესაბამებოდა წყლის პრობლემას, უპატრონო ცხოველთა პრობლემას, ავტოფარეხის მშენებლობას და ა.შ. (იხ. ცხრილი #34).

ცხრილი #34

ბოლო 2 წლის განმავლობაში რა საკითხ(ებ)თან დაკავშირებით მიმართეთ ადგილობრივ თვითმმართველობას? (N=215)	
სხვადასხვა სოციალურ/მოწყვლად ჯგუფთან (შშმ, ბავშვები, ხანდაზმულები, უსახლკაროები, იძულებით გადაადგილებული პირები) დაკავშირებული გარემოს გაუმჯობესება	13.7%
ინფრასტრუქტურული პრობლემები (გაზმომარაგება, წყალმომარაგება, ელექტროენერგია და ა.შ.)	21.8%
ტერიტორიის კეთილმოწყობა (ნარჩენების გატანა, გამწვანება და ა.შ.)	7.7%
სოციალური საკითხები (სოციალური დახმარება, უმუშევრობა და ა.შ.)	28%
ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული საკითხები	19.3%
სახლის/მიწის რეგისტრაცია	3.8%
სხვა	5.3%
უარი პასუხზე / მიჭირს პასუხის გაცემა	0.4%

დომინანტური საკითხები, რომელთა დაკავშირებითაც რესპონდენტებს ბოლო 2 წლის განმავლობაში მიუმართავთ ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის, მსგავსია ორივე რეგიონში:

- ინფრასტრუქტურული პრობლემები (გაზმომარაგება, წყალმომარაგება, ელექტროენერგია და ა.შ.): სამცხე-ჯავახეთი - 27.6%, ქვემო ქართლი - 16.8%
- სოციალური საკითხები (სოციალური დახმარება, უმუშევრობა და ა.შ.): სამცხე-ჯავახეთი - 33.1%, ქვემო ქართლი -23.5%
- ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული საკითხები: სამცხე-ჯავახეთი - 15.3%, ქვემო ქართლი -22% (იხ. ცხრილი #35).

ცხრილი #35

ბოლო 2 წლის განმავლობაში რა საკითხ(ებ)თან დაკავშირებით მიმართეთ ადგილობრივ თვითმმართველობას? (რეგიონის ჭრილი)	სამცხე-ჯავახეთი **(N=98)**	ქვემო ქართლი **(N=117)**
სხვადასხვა სოციალურ/მოწყვლად ჯგუფთან (შშმ, ბავშვები, ხანდაზმულები, უსახლკაროები, იძულებით გადაადგილებული პირები) დაკავშირებული გარემოს გაუმჯობესება	15.2%	12.4%
ინფრასტრუქტურული პრობლემები (გაზმომარაგება, წყალმომარაგება, ელექტროენერგია და ა.შ.)	27.6%	16.8%
ტერიტორიის კეთილმოწყობა (ნარჩენების გატანა, გამწვანება და ა.შ.)	5.8%	9.4%
სოციალური საკითხები (სოციალური დახმარება, უმუშევრობა და ა.შ.)	33.1%	23.5%
ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული საკითხები	15.3%	22.8%
სახლის/მიწის რეგისტრაცია	1%	6.3%
სხვა	1.3%	8.9%
უარი პასუხზე / მიჭირს პასუხის გაცემა	0.8%	-

იმ რესპონდენტთა მესამედზე მეტმა, ვისაც სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით ადგილობ-

რივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის მიუმართავს, აღნიშნა, რომ მისი არცერთი პრობ-ლემა არ მოუგვარებიათ (39.6%) (სამცხე-ჯავახეთი - 36.4%, ქვემო ქართლი - 42.3%), 23.5%-ის გამოცდილებით, ზოგიერთი პრობლემა მოგვარდა, ხოლო მეხუთედის შეფასებით, თვითმმარ-თველობამ ყველა ის პრობლემა გადაუჭრა, რომლებითაც მიმართა. მეათედს აღემატება მათი წილი, რომელთა შემთხვევაშიც თვითმმართველობა ეცადა, თუმცა პრობლემა ვერ მოგვარდა. 2.1%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა.

საჯარო აქტივობებში მონაწილეობა

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ბოლო 1 წლის განმავლობაში რესპონდენტთა 11.1%-ს საჯა-რო შეხვედრებში მიუღია მონაწილეობა, 10.3%-ს კი - დასახლების პრობლემის გადაწყვეტაში; 8.1% დასახლების საერთო კრებაში ჩართულა, თუმცა აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა უმრავ-ლესობას (57.4%) არცერთ აქტივობაში არ მიუღია მონაწილეობა(იხ. დიაგრამა #35).

დიაგრამა #35

როგორც სამცხე-ჯავახეთში, ისე ქვემო ქართლში გამოკითხულთა საშუალოდ მეათედი მიუთი-თებს, რომ საჯარო შეხვედრებში მიუღია მონაწილეობა; ამასთან, ქვემო ქართლის მოსახლეობის-თვის დამახასიათებელია დასახლების პრობლემის გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღებაც (12.4%). თუმცა, აღსანიშნავია, რომ მოქალაქეთა ჩართულობა ცალკეულ რეგიონში დაბალია - უმრავლესობა მიუთითებს, რომ ბოლო 1 წლის განმავლობაში არცერთ აქტივობაში არ მიუღია მონაწილეობა (სამცხე-ჯავახეთი - 65.4%, ქვემო ქართლი - 50.3%) (იხ. ცხრილი #36).

ცხრილი #36

ქვემოთ ჩამოთვლილი აქტივობებიდან ბოლო 1 წლის განმავლობაში მიიღეთ თუ არა მონაწილეობა რომელიმე აქტივობაში? (რეგიონის ჭრილი)	სამცხე-ჯავა-ხეთი **(N=600)**	ქვემო ქართლი **(N=600)**
დასახლების პრობლემის გადაწყვეტაში მონაწილეობა	8%	12.4%
ადგილობრივი ან ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლისთვის წერილობით მიმართვა	2.4%	8.6%
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ბიუჯეტის განხილვაში მონაწილეობა	2.9%	7.5%
საჯარო შეხვედრებში მონაწილეობა	11.3%	10.9%



ბოლო 1 წლის განმავლობაში სამოქალაქო აქტივობებში მონაწილეობის გამოცდილების არქონის დომინანტურ მიზეზებად განისაზღვრა:

- დროის უქონლობა - 20.9%
- განცდა, რომ რესპონდენტის აქტივობა არაფერს შეცვლიდა - 23.9%
- რესპონდენტი მიიჩნევს, რომ ამ საკითხებზე ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს - 22.8%

ამასთან, მეათეზე მეტმა აღნიშნა, რომ მას საკუთარი უფლებების შესახებ საკმარისი ინფორმაცია არ აქვს (13.5%). გამოკითხულთა 14.9%-ს კი გაუჭირდა პასუხის გაცემა ან უარი განაცხადა (იხ. დიაგრამა #36).

დიაგრამა #36

როგორც სამცხე-ჯავახეთში, ისე ქვემო ქართლში გამოკითხულთა შორის მეხუთედს აჭარბებს

მათი წილი, ვინც სამოქალაქო აქტივობებში ჩაურთველობის მიზეზად ასახელებს, რომ:

- ჰქონდა განცდა, მისი აქტივობა არაფერს შეცვლიდა: სამცხე-ჯავახეთი - 24%, ქვემო ქართლი - 23.8%
- მიაჩნია, ამ საკითხებზე ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს: სამცხე-ჯავახეთი - 20.7%, ქვემო ქართლი - 25.2% (იხ ცხრილი #37).

ცხრილი #37

როგორ ფიქრობთ, ბოლო 1 წლის განმავლობაში რატომ არ მიიღეთ მონაწილეობა არანაირ სამოქალაქო აქტივობაში? (რეგიონის ჭრილი)	სამცხე-ჯავახეთი **(N=384)**	ქვემო ქართლი **(N=302)**
დროის უქონლობის გამო	16.3%	26.5%
მქონდა განცდა, რომ ჩემი აქტივობა არაფერს შეცვლიდა	24%	23.8%
არ მაქვს საკმარისი ინფორმაცია ჩემი უფლებების შესახებ	17.5%	8.8%
მიმაჩნია, რომ ამ საკითხებზე ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს	20.7%	25.2%
მიმაჩნია, რომ ამ საკითხებზე არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა იზრუნოს	4%	1%
სხვა	1.8%	0.9%
უარი პასუხზე / მიჭირს პასუხის გაცემა	15.7%	13.9%



ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობით კმაყოფილება

კვლევაში მონაწილე ყველა პირის შეფასება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობასთან დაკავშირებით დადებითია. შეფასებისთვის გამოყენებულ იქნა 5-ქულიანი სკალა, რომელზეც ქულა 1 აღნიშნავდა კატეგორიას „სრულიად უკმაყოფილო“, ხოლო ქულა 5 - კატეგორიას „სავსებით კმაყოფილი“. გამოვლინდა, რომ რესპონდენტთა 38.8% მუნიციპალიტეტების საქმიანობით კმაყოფილია (ქულები 4 და 5), მესამედი კი (33.3%) ნეიტრალურ პოზიციას იკავებს (ქულა 3) (იხ. დიაგრამა #37).

დიაგრამა #37

იმის დასადგენად, თუ რა ფაქტორები ახდენს გავლენას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობით, რესპონდენტთა კმაყოფილებაზე რეგრესიული მოდელი შემუშავდა. აღმოჩნდა, რომ მუნიციპალიტეტის საქმიანობით მეტად კმაყოფილნი ის რესპონდენტები არიან:

- ვინც ქალაქის მაცხოვრებელია;
- ვინც ზედა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელია;[14]
- ვისაც ბოლო 2 წლის განმავლობაში ადგილობრივი თვითმმართველობისთვის ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული საკითხების გამო მიუმართავს;
- ვისაც ბოლო 1 წლის განმავლობაში დასახლების საერთო კრებაში მიუღია მონაწილეობა (იხ. ცხრილი #38)

ცხრილი #38

	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობით კმაყოფილება		
	Beta	Standardized CI	Sig
დასახლების ტიპი (ქალაქი/სოფელი)	-0.382	-1.817 - -0.481	**0.001**
ასაკი	0.285	0.008 – 0.048	**0.007**

14 რაც უფრო მზარდია რესპონდენტთა ასაკი, მით მეტად არიან კმაყოფილნი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობით



ადგილობრივი თვითმმართველობისადმი ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული საკითხების გამო მიმართვა	0.361	0.359 – 1.558	**0.002**
დასახლების საერთო კრებაში მონაწილეობა	0.291	0.257 – 1.682	**0.008**

საინტერესოა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობით სამცხე-ჯავახეთში (47.5%) მეტად არიან კმაყოფილნი, ვიდრე ქვემო ქართლში (30.2%) (ქულები 4 და 5). ორივე რეგიონში საშუალოდ მესამედი ნეიტრალურ პოზიციას იკავებს, თუმცა ქვემო ქართლში მუნიციპალიტეტის მუშაობით უკმაყოფილოთა წილი ჭარბობს - 35.5% (იხ. ცხრილი #39).

ცხრილი #39

ზოგადად, რამდენად კმაყოფილი ხართ ადგილობრივი თვითმმა-რთველობის ორგანოების მუშაობით? (რეგიონის ჭრილი)	სამცხე-ჯავახეთი **(N=600)**	ქვემო ქართლი **(N=600)**
სრულიად უკმაყოფილო	3.7%	10.9%
უფრო უკმაყოფილო, ვიდრე კმაყოფილი	10.7%	24.7%
თანაბრად კმაყოფილი და უკმაყოფილო	36%	30.5%
უფრო კმაყოფილი, ვიდრე უკმაყოფილო	37.1%	17.7%
სავსებით კმაყოფილი	10.4%	12.5%
უარი პასუხზე	2%	3.8%

რეგრესიული მოდელის მიხედვით, ქვემო ქართლში გამოკითხულთა კმაყოფილებაზე ორი ძირითადი ფაქტორი ახდენს გავლენას - დასახლების ტიპი და თვითმმართველობებისადმი სხვა-დასხვა საკითხთან დაკავშირებით მიმართვა. გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის საქმიანობით მეტად კმაყოფილნი არიან:

- ქალაქის მაცხოვრებლები;
- ის რესპონდენტები, რომელთაც ბოლო 2 წლის განმავლობაში ადგილობრივი ან ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლისთვის წერილობით არ მიუმართავთ;
- ის რესპონდენტები, რომელთაც თვითმმართველობისთვის ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული საკითხების გამო მიუმართავთ (იხ. ცხრილი #40)

ცხრილი #40

	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობით კმაყოფილება (ქვემო ქართლი)		
	Beta	Standardized CI	Sig
დასახლების ტიპი (ქალაქი/სოფელი)	-0.328	-2.170 - -0.239	**0.016**

	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობით კმაყოფილება (ქვემო ქართლი)		
	Beta	Standardized CI	Sig
ადგილობრივი ან ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლისთვის წერილობით მიმართვა	-0.357	-1.845 - -0.385	**0.004**
ადგილობრივი თვითმმართველობისადმი ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული საკითხების გამო მიმართვა	0.271	0.031 – 1.579	**0.042**

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობით უკმაყოფილების ძირითად მიზეზად მოქალაქეთა საჭიროებების გაუთვალისწინებლობა (41.8%) დასახელდა. მეოთხედს აღემატება მათი წილი, ვისი აზრითაც ადგილობრივ მოსახლეობასთან აქტიური კომუნიკაცია არ არის, 15.3%-ის შეფასებით, პრობლემური თანამშრომლების კვალიფიკაციის დონეა. მეათედზე მეტი უკმაყოფილების მიზეზად ნეპოტიზმს ასახელებს (იხ. დიაგრამა #38).

დიაგრამა #38

თავი 12. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

კვლევაში მონაწილე პირთა უმრავლესობა (93.8%) მუნიციპალიტეტში არსებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციას არ ფლობს (სამცხე-ჯავახეთი - 91.3%, ქვემო ქართლი - 96.3%). ამ მიმართულებით ინფორმირებულობაზე მხოლოდ 5.5%-მა მიუთითა (0.6%-მა უარი განაცხადა პასუხზე). რესპონდენტებს კონკრეტული ორგანიზაციების დასახელება, ძირითადად, გაუჭირდათ, თუმცა გამოიკვეთა შემდეგი ორგანიზაციები: „ტოლერანტი“, „დემოკრატ მესხთა კავშირი“, „დემოკრატ ქალთა საზოგადოება“, სათემო ცენტრები.

სამოქალაქო საზოგადოების შესახებ ინფორმირებულ რესპონდენტთა უმრავლესობა (58.5%)

რით ხართ უკმაყოფილო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობით?(N=298)



მიიჩნევს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობაში ჩართულია (4 და 5 ქულები 5-ქულიან სკალაზე), მეხუთედზე მეტი კი (21.9%) დაბალ მონაწილეობაზე/არმონაწილეობაზე მიუთითებს (ქულები 1 და 2) (იხ. დიაგრამა #39).

დიაგრამა #39

ზოგადი ტენდენცია ნარჩუნდება საკითხის რეგიონების ჭრილში განხილვისასაც. როგორც სამცხე-ჯავახეთში (57.9%, N=30), ისე ქვემო ქართლში (60.1%, N=11) სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესახებ ინფორმირებულ პირთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მოსახლეობა აქტიურად მონაწილეობს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობაში (ქულები 4 და 5). უარყოფითი შეფასების მქონე პირთა რაოდენობა სამცხე-ჯავახეთში ჭარბობს - 23.5% (იხ. ცხრილი #41).

ცხრილი #41



რამდენად მონაწილეობს ადგილობრივი მოსახლეობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობაში? (რეგიონის ჭრილი)	სამცხე-ჯავახეთი (N=53)	ქვემო ქართლი (N=18)
საერთოდ არ მონაწილეობს	9.8%	6.1%
უფრო არ მონაწილეობს, ვიდრე მონაწილეობს	13.7%	11.2%
თანაბრად, მონაწილეობს კიდეც და არც მონაწილეობს	15%	16.7%
უფრო მონაწილეობს, ვიდრე არ მონაწილეობს	55.2%	49.3%
სრულად მონაწილეობს	2.7%	10.7%
უარი პასუხზე / მიჭირს პასუხის გაცემა	3.6%	6%

კვლევისას რესპონდენტთა იმ ჯგუფში, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების შესახებ ინფორმირებულია, შეფასდა ბოლო 1 წლის განმავლობაში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული კონკრეტული სერვისებით სარგებლობის გამოცდილება. ძირითადი

დატვირთვა სოციალური სერვისებით სარგებლობას აქვს - 18.7%. აღსანიშნავია, რომ ამ მომსახურებით მხოლოდ სამცხე-ჯავახეთში სარგებლობენ (25.5%), ქვემო ქართლში მსგავსი გამოცდილება არ ჰქონიათ. სხვა ცალკეული სერვისის მაჩვენებელი 3%-საც კი ვერ აღწევს: ქალთა გაძლიერებაზე მიმართული პროექტები - 2.9%, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ინტეგრაციაზე მიმართული პროექტები - 2.7%. ქვემო ქართლში გამოკითხულთა ყოველ მეათე რესპონდენტს სწორედ ქალთა გაძლიერებაზე მიმართული პროექტებით უსარგებლია.

გამოიკვეთა, რომ თავად იმ რესპონდენტებს, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციას ფლობენ, ასეთ ორგანიზაციებთან, ძირითადად, კომუნიკაცია არ აქვთ - 62.1%-ს ბოლო 1 წლის განმავლობაში არცერთი სერვისით არ უსარგებლია (სამცხე-ჯავახეთი - 57.7%, ქვემო ქართლი - 74.4%) (იხ. ცხრილი #42, #43). ამის მიზეზად მომსახურებით სარგებლობის საჭიროების არარსებობა დასახელდა (67%). 5%-ს აჭარბებს მათი წილი, ვინც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს ან რეგისტრაციის გართულებული პროცედურების გამო არ უსარგებლია (იხ. დიაგრამა #40).

ცხრილი #42

ბოლო 1 წლის განმავლობაში თქვენ თავად სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული რომელი სერვისით გისარგებლიათ? (N=71)	
სოციალური სერვისები	18.7%
ჯანდაცვის სერვისები	1.3%
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტეგრაციაზე მიმართული პროექტები	2.3%
ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ინტეგრაციაზე მიმართული პროექტები	2.7%
ხანდაზმულთა სოციალურ-კულტურულ აქტივობებში ჩართულობაზე მიმართული პროექტები	1.5%
ქალთა გაძლიერებაზე მიმართული პროექტები	2.9%
არ მისარგებლია არცერთი სერვისით	62.1%
უარი პასუხზე / მიჭირს პასუხის გაცემა	8.6%

ცხრილი #43

ბოლო 1 წლის განმავლობაში თქვენ თავად სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული რომელი სერვისით გისარგებლიათ? (რეგიონის ჭრილი)	სამცხე-ჯავახეთი **(N=53)**	ქვემო ქართლი **(N=18)**
სოციალური სერვისები	25.5%	-
ჯანდაცვის სერვისები	1.7%	-
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტეგრაციაზე მიმართული პროექტები	3.1%	-
ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ინტეგრაციაზე მიმართული პროექტები	1.7%	5.4%
ხანდაზმულთა სოციალურ-კულტურულ აქტივობებში ჩართულობაზე მიმართული პროექტები	-	5.4%

ბოლო 1 წლის განმავლობაში თქვენ თავად სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული რომელი სერვისით გისარგებლიათ? (რეგიონის ჭრილი)	სამცხე-ჯა-ვახეთი (N=53)	ქვემო ქართლი (N=18)
ქალთა გაძლიერებაზე მიმართული პროექტები	-	10.9%
არ მისარგებლია არცერთი სერვისით	57.7%	74.4%
უარი პასუხზე / მიჭირს პასუხის გაცემა	10.3%	3.8%

დიაგრამა #40

სამოქალაქო საზოგადოების შესახებ ინფორმირებულ რესპონდენტთა უმრავლესობის (77.6%) შეფასებით, ასეთი ორგანიზაციების საქმიანობა მოქალაქეთა მოთხოვნებსა და საჭიროებებს შეესაბამება (4 და 5 ქულები 5-ქულიან სკალაზე), მათ შორის მეოთხედი მიიჩნევს, რომ სრულად პასუხობს (25.6%). ნეგატიურ ველში რესპონდენტთა მხოლოდ 6.5%-ის პოზიცია მოექცა (ქულებია 1 და 2) (იხ. დიაგრამა #41).



დიაგრამა #41

რეგიონულ ჭრილში ზოგადი ტენდენცია შენარჩუნებულია - სამცხე-ჯავახეთში სსო-ების შესახებ ინფორმირებულთა უმრავლესობა (90.9%) მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობა მოქალაქეთა მოთხოვნებსა და საჭიროებებს შეესაბამება (ქულები 4 და 5). ქვემო ქართლში ეს პოზიცია დომინანტურია, თუმცა მაჩვენებელი 38.8%-მდეა შემცირებული. აქ გამოკითხულ რესპონდენტთა მესამედზე მეტი (38.6%) საკითხს ნეიტრალურად აფასებს



(ქულა 3) (იხ. ცხრილი #44).

ცხრილი #44

თქვენი შეფასებით, რამდენად პასუხობს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქ-მიანობა მოქალაქეთა მოთხოვნებსა და საჭიროებებს? (რეგიონის ჭრილი)	სამცხე-ჯა-ვახეთი **(N=53)**	ქვემო ქართლი **(N=18)**
საერთოდ არ პასუხობს	1.4%	-
უფრო არ პასუხობს, ვიდრე პასუხობს	1.7%	16.6%
თანაბრად პასუხობს კიდეც და არც პასუხობს	4.4%	38.6%
უფრო პასუხობს, ვიდრე არ პასუხობს	68.4%	4.3%
სრულად პასუხობს	22.5%	34.5%
უარი პასუხზე / მიჭირს პასუხის გაცემა	1.7%	6%

მსგავსი შეფასების მიხედვით ლოგიკურია, რომ სსო-ების შესახებ ინფორმირებულ რესპონდენ-ტთა 73.2% მუნიციპალიტეტში არსებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მუშაო-ბით კმაყოფილია (4 და 5 ქულები 5-ქულიან სკალაზე). უკმაყოფილოთა წილი კი მხოლოდ 4.2%-ს უტოლდება (იხ. დიაგრამა #42).

დიაგრამა #42

ქვემო ქართლში სსო-ების შესახებ ინფორმირებულ რესპონდენტთა უმრავლესობა (57.9%) მუნიციპალიტეტში არსებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მუშაობის შეფასე-ბისას ნეიტრალურ პოზიციას გამოხატავს. სამცხე-ჯავახეთში აღნიშნული მაჩვენებელი მხოლოდ 8.8-ს უტოლდება. აღნიშნულ რეგიონში ინფორმირებულ რესპონდენტთა 88.2% სსო-ების მუშაო-ბით კმაყოფილია. მსგავს აზრს ქვემო ქართლში მხოლოდ 29.4% იზიარებს (იხ. ცხრილი #45).



ცხრილი #45

ზოგადად, რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენს მუნიციპალიტეტში არსებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მუშაობით? (რეგიონის ჭრილი)	სამცხე-ჯა-ვახეთი **(N=53)**	ქვემო ქართლი **(N=18)**
სრულიად უკმაყოფილო	1.4%	6%
უფრო უკმაყოფილო, ვიდრე კმაყოფილი	-	6.7%
თანაბრად კმაყოფილი და უკმაყოფილო	8.8%	57.9%
უფრო კმაყოფილი, ვიდრე უკმაყოფილო	51.4%	18.7%
სავსებით კმაყოფილი	36.8%	10.7%
უარი პასუხზე	1.7%	

* * *

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ფოკუს-ჯგუფებმაც აჩვენა, რომ მონაწილეებში მწირი ინფორმაცია არსებობს რეგიონში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესახებ. მათ დაასახელეს ის სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც ქვემო ქართლსა და ჯავახეთში ფუნქციონირებს. ქვემო ქართლის მაცხოვრებლებს სმენიათ ქალთა უფლებათა დამცველი ორგანიზაციების შესახებ, რადგან ქალთა ნაადრევი ქორწინება ერთ-ერთი წამყვანი საკითხია ქვემო ქართლში. მოწყვლად მდგომარეობაში მყოფ რესპონდენტებს სმენიათ ისეთი ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც მატერიალურად ეხმარებიან შეჭირვებულ ოჯახებს.

> *„ნინოწმინდაში მსმენია ასეთი ორგანიზაციის - „სერექის“ შესახებ, რომელიც კეთილ საქმეს აკეთებს. მაგალითად, ახალ წელს იყვნენ ჩემთან სახლში და როგორც სოციალურად დაუცველ ოჯახს, ჩემს პატარა შვილებს მოუტანეს საახალწლო საჩუქრები“ (44 წლის კაცი, უმუშევარი, ეთნიკურად სომეხი, ნინოწმინდა).*

ნინოწმინდაში პოპულარობით სარგებლობს არასამთავრობო ორგანიზაცია „ნური“, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას უფასო მთარგმნელობით და იურიდიულ მომსახურებას სთავაზობს.

მარნეულში სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაძლიერებაში მნიშვნელოვანი წვლილი მარნეულის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრმა შეიტანა, რომელიც 2011 წელს დაარსდა და ადგილობრივ საინიციატივო ჯგუფებსა და ორგანიზაციებს დაუთმო სივრცე აქტივობების დასაგეგმად და ჩასატარებლად. მარნეულელებმა სამოქალაქო ორგანიზაციების საქმიანობის უარყოფით მხარეზეც გაამახვილეს ყურადღება და აღნიშნეს, რომ ზოგიერთი ორგანიზაციის მიმართ ნდობა დაბალია, რადგან რელიგიურ აზერბაიჯანელ თემს როგორც ჩამორჩენილს, ისე აღიქვამენ.

> *„ერთ-ერთმა ორგანიზაციამ გაავრცელა ვიდეო, რომელიც რელიგიური თემისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. აუცილებელია, რომ მუშაობისას გაითვალისწინონ ადგილზე არსებული მდგომარეობა და ნაკლებად რადიკალურნი იყვნენ“ (29 წლის ქალი, დასაქმებული, ეთნიკურად აზერბაიჯანელი, მარნეული).*

ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში სამოქა-

ლაქო საზოგადოების ორგანიზაციები ხელისუფლების ოპოზიციურ ორგანიზაციებად არიან მიჩნეულნი, ამდენად, მათ მიმართ დისტანცირებას ამჯობინებენ. მნიშვნელოვანია, რომ ეს დამოკიდებულება შეიცვალოს და მოსახლეობაში ორგანიზაციების მიმართ უფრო მეტი ნდობა გაჩნდეს.

წალკასა და გარდაბანში ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებში არავინ აღმოჩნდა ისეთი, რომელსაც ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან ჰქონია შეხება, თუმცა წალკაში დასახელდა ქართული ენის შემსწავლელი და აბიტურიენტების მოსამზადებელი ცენტრი, რომლითაც ადგილობრივები სარგებლობენ.

როგორც ბოლნისში ჩატარებული ფოკუს ჯგუფიდან გაირკვა, მუნიციპალიტეტში არაერთი აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია ფუნქციონირებს. მათ შორის აღსანიშნავია ბოლნისის ახალგაზრდული სახლი, ბოლნისის სწავლებისა და დასაქმების ხელშეწყობისა და ზრდასრულთა განათლების ცენტრები, სადაც, დასაქმების გარდა, ახალგაზრდებს ქსოვის და კულინარიის დაუფლება შეუძლიათ. აღსანიშნავია სათემო ორგანიზაციები, რომლებიც აზერბაიჯანულ სოფლებში მოსახლეობას ქართული ენის შემსწავლელ კურსებს სთავაზობენ. როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს, „წითელი ჯვარი“ ფუნქციონირებს კაზრეთში, რომელიც იქ არსებული პრობლემების შესახებ ადგილობრივი ხელისუფლების ინფორმირებას ცდილობს.

დმანისელებთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფში მოსახლეობამ ორგანიზაცია „დმანისელები“ დაასახელა, რომელიც ერთჯერად მატერიალურ დახმარებას უწევს სხვადასხვა საჭიროების მქონე ოჯახებს - „დმანისელები“ ეხმარებოდნენ გაჭირვებულ ხალხს - მარტოხელებს და ბავშვებს პროდუქტებით. მეც მივესალმები ამ ჯგუფს და მოძრაობას“ (49 წლის კაცი, უმუშევარი, ეთნიკურად ქართველი, დმანისი). „დმანისელები“ საქველმოქმედო ორგანიზაციაა, რომელიც ჯანდაცვის და სოციალური საჭიროებების მქონე ოჯახებსაც ეხმარება. ორგანიზაცია შემოწირულებას იღებს ადგილობრივი მოსახლეობისგან და კერძო სექტორიდან.

თეთრწყაროელმა რესპონდენტებმა შემდეგი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები დაასახელეს - კოდის სათემო განათლების ცენტრი, ახალგაზრდული ცენტრი, „კოდორი 2013“ და „გარისი“. როგორც ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, კოდის სათემო განათლების ცენტრი ჯანდაცვის მიმართულებითაც მუშაობს, კერძოდ, მუნიციპალიტეტის ცენტრში იწვევენ სხვადასხვა სპეციალობის ექიმებს. ასევე, იწვევენ ტრენერებს, რომლებიც სხვადასხვა სფეროსა და თემატიკაზე ტრენინგებს ატარებენ ადგილობრივებისთვის.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობას მთლიანობაში დადებითად აფასებენ. თუმცა, ისურვებენ, რომ უფრო მეტი გაიგონ მათი საქმიანობის შესახებ, კერძოდ, მათი მიზნებისა და სამიზნე ჯგუფების შესახებ. ფოკუს ჯგუფების რესპონდენტების აზრით, საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა უპირველესად ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემების მოგვარებისკენ უნდა იყოს მიმართული. როგორც უკვე აღინიშნა, მუნიციპალიტეტებში არსებული მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის მოგვარება მოსახლეობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სწორედ ამ მხრივ, საჭიროა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ადგილობრივ მოსახლეობას დახმარება აღმოუჩინოს, მაგალითად, სპეციალიზაციისა და კვალიფიკაციის ამაღლებაში დაეხმაროს, რაც ნაწილობრივ მაინც შეუწყობს ხელს უმუშევრობის შემცირებას. კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლება,

რეზიუმეს შედგენასა და სამოტივაციო წერილების მომზადებაში დახმარება, ასევე, არის ის სერვისები, რომლებიც საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა შეიძლება უზრუნველყონ. ფოკუს ჯგუფებში ჩართული პირები აღნიშნავენ, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობის გაზრდის მხრივ, როგორც სასკოლო ასაკის ბავშვებში, ისე ახალგაზრდებში. მონაწილეთა ერთი ნაწილის შეფასებით, სასურველია, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა მუშაობა გააძლიერონ მუნიციპალიტეტის მერიებსა და საკრებულოებთან, მათ ახალი იდეები და გამოსავლის გზები შესთავაზონ არსებული პრობლემების დასაძლევად.

თავი 13. რესპონდენტთა ზოგიერთი სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებელი

კვლევაში მონაწილე პირთა 52.7% ქალი იყო, ხოლო 47.3% - კაცი. რესპონდენტები შემდეგ ასაკობრივ ჯგუფებში გადანაწილდნენ:

- 18-24 წლის - 13.1%
- 25-34 წლის - 20.3%
- 35-44 წლის - 15.7%
- 45-54 წლის - 18.1%
- 55-64 წლის - 15.6%
- 65 წლის ან მეტის - 17.2%

გამოკითხულთა დიდ ნაწილს სრული საშუალო განათლება აქვს მიღებული (43.6%), თითქმის მეოთხედს კი - უმაღლესი განათლება (24.7%). მეათედს აჭარბებს მათი წილი, ვისი მიღწეული განათლების უმაღლესი დონეც საბაზო (10.7%) ან პროფესიული განათლებაა (16%) (იხ. დიაგრამა #43).

დიაგრამა #43



რესპონდენტთა დიდი ნაწილი ეროვნებით ქართველია (47.9%), თითქმის თანაბრად არიან წარმოდგენილნი ეთნიკურად სომხები (25.1%) და აზერბაიჯანელები (26.2%). კვლევაში სხვა კავკასიური ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლის (აფხაზი, ლეკი, ოსი სხვ.) ან რუსის მონაწილეობის ერთეული შემთხვევები გამოვლინდა.

სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში არსებული სოციალური სერვისების საბაზისო კვლევა